საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი

UNIVERSITY OF GEORGIA TAMAZ BERADZE INSTITUTE
OF GEORGIAN STUDIES

IV საერთაშორისო კონფერენცია

საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი

# მოხსენებათა თეზისები
# ABSTRACTS

IV INTERNATIONAL CONFERENCE

GEORGIA AND THE CAUCASUS – PAST, PRESENT, FUTURE

8-9 ნოემბერი, 2025
NOVEMBER 8-9, 2025

თბილისი, საქართველო
Tbilisi, Georgia

**ორგანიზატორები / Organizers:**

ქართველოლოგიის მხარდამჭერი ფონდი
Georgian Studies Support Foundation

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
The University of Georgia Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი
Goethe-Universität Frankfurt

პასუხისმგებელი რედაქტორი / Executive Editor

ანტონ ვაჭარაძე / Anton Vatcharadze

ქართული ტექსტის რედაქტორი / Editor of the Georgian Text

გუგა ტაბატაძე / Guga Tabatadze

**კონფერენციის სამეცნიერო საბჭო / Scientific board of the conference:**


გიული ალასანია (თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნანა მრევლიშვილი (თანათავმჯდომარე, საქართველოს უნივერსიტეტი)

ნანა ბურჭულაძე (საქართველოს უნივერსიტეტი)

გიორგი გაგოშიძე (საქართველოს უნივერსიტეტი)

იულონ გაგოშიძე (საქართველოს უნივერსიტეტი)

მარიამ გველესიანი (საქართველოს უნივერსიტეტი)

ლაურა გრიგოლაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქეთევან დათუკიშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი)

ფარშიდ დელშადი (შუა აღმოსავლეთის ინსტიტუტი, აშშ)

მარიამ დიდებულიძე (გ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი)

ნინო დობორჯგინიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მაკა ელბაქიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მანანა თანდაშვილი (ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი)

ეკა კაჭარავა (საქართველოს უნივერსიტეტი)

დამანა მელიქიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ჯუზეპე მოტა (რომის საპიენცის უნივერსიტეტი, იტალია)

თამარ პატარიძე (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია)

გულ მუქერიმ ოზთურქი (რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი)

ჰაიატე სოტომე (ცუკუბას უნივერსიტეტი)

ზაზა სხირტლაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თინათინ ღუდუშაური (საქართველოს უნივერსიტეტი)

ქეთევან ცხადაძე (საქართველოს უნივერსიტეტი)

შალვა ძებისაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი)

დოდო ჭუმბურიძე (საქართველოს უნივერსიტეტი)

# სარჩევი / TABLE OF CONTENTS


**ნოდარ არონიშიძე / Nodar Aronishidze**

სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპოლოგიური თავისებურების რამდენიმე საკითხისთვის

On Certain Typological Characteristics of the Three-Church Basilica............................18

**მარია არქანია / Maria Arkania**

წახალისების სისტემების გავლენა თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე

The Impact of Reward Systems on Employee Productivity......................................20

**ნინა ბარნოვი / Nino Barnovi**

სემიოლოგიის მეთოდები: „დაუსწრებელი" სტრუქტურა და პროცესი (უმბერტო ეკოს მიხედვით)

Methods of Semiotics: the "Absent" Structure and Process (according to Umberto Eco).........22

**ნანა ბურჭულაძე / Nana Burchuladze**

დავით აღაშენებლის დროინდელი ხატები სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში (ახალი მონაცემები)

Icons from the Era of David the Builder in Saint Catherine's Monastery on Mount Sinai (New Data)........................................................26

**მზისა ბუსკივაძე / Mzisa Buskivadze**

აზიზ ნესინის შემოქმედების ანალიზი მიშელ ფუკოს ძალაუფლების თეორიის კონტექსტში

An Analysis of Aziz Nesin's Works in the Context of Michel Foucault's Theory of Power ........30

**გიორგი გაგოშიძე / Giorgi Gagoshidze**

ნაქალაქარ სამშვილდის დავით აღმაშენებლის დროინდელი დარბაზული ეკლესია და XII-XIII საუკუნეების რიგითი მშენებლობის საკითხები

The Hall Church of Samshvilde from the Reign of King David IV the Builder and Issues of Ordinary Church Construction in the 12th-13th Centuries.............................................33

**სოფიო გულიაშვილი / Sopio Guliashvili**

**თინათინ ჯიქურაშვილი / Tinatin Jikurashvili**

ძველი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია – თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების პრემეტაფრასული და მეტაფრასული ვერსიები

Old Georgian Translated Hagiography: Premetaphrastic and Metaphrastic Versions of the Life of Theodora of Alexandria...............................................................37

**ქეთევან დიღმელაშვილი / Ketevan Digmelashvili**

ახლად აღმოჩენილი დასახლება ადგილ სატორგეში

Newly discovered settlement in Satorge ....................................................40

**ალექსანდრე ცაგარელი / Alexander Tsagareli**

ქართული საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაცია გარდამავალ პერიოდში

Social Stratification of Georgia in the Period of Transition ....................................42

**მაია არველაძე / Maia Arveladze**

**ელისაბედი ზარდიაშვილი / Elisabedi Zardiashvili**

საარქივო და საგაზეთო მასალები ნ. ბარათაშვილის თხზულებების პირველი სამეცნიერო გამოცემის შესახებ

Archival and Press Materials on the First Scholarly Edition of N. Baratashvili's Works ..........45

**ლევან გელაშვილი / Levan Gelashvili**

პროლეტარული პოეზიის ავანგარდისტული ტენდენციები (1921-1929)

Avant-Garde Tendencies in Proletarian Poetry (1921-1929)....................................48

**მარიამ გველესიანი / Mariam Gvelesiani**

ასპავრუკ პიტიახშის სატევრის ქარქაშის გარსაკრავი არმაზისხევის N1 სამარხიდან

The Scabbard Sheath of Aspavruk the Pitiakhsh's Sword from Burial No. 1 at Armaziskhevi .....50

**ანდრო გოგოლაძე / Andro Gogoladze**

**თეა წითლანაძე / Tea Tsitlanadze**

საქართველოს სამეფოს ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი ჯვაროსნული ლეგენდის ევოლუციაში

The Historical-Geographical Image of the Kingdom of Georgia in the Evolution of the Crusader Legend ....................................................................................52

**შალვა დუნდუა / Shalva Dundua**

ფორმატული შეფასების ტრანსფორმაციული როლი საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში

The Transformative Role of Formative Assessment in the Process of University Teaching .......55

**ლალი ზაქარაძე / Lali Zakaradze**

კავკასიური ფილოსოფია, როგორც ინტერკულტურული ფილოსოფიის ახალი პარადიგმა

Caucasian Philosophy as a New Paradigm of Intercultural Philosophy .........................58

**გიორგი თურაზაშვილი / Giorgi Turazashvili**

"ეკონომიკური ტრანსფორმაცია კავკასიაში – საქართველოს როლი რეგიონალურ და გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე"

"Economic Transformation in the Caucasus – Georgia's Role in Regional and Global Financial Markets" ...............................................................................60

**ეკატერინე კობახიძე / Ekaterine Kobakhidze**

LAPSUS CALAMI – გადამწერის შეცდომა „ქართლის ცხოვრებაში“

Lapsus Calami – Scribe's Mistake in the Georgian Medieval Chronicles The Life of Kartli .......63

**მანუჩარ გუნცაძე / Manuchar Guntsadze**

ალექსანდრე ლომთათიძის არქივი და მისი მემუარების სპეციფიკა

Alexander Lomtatidze's Archive and the Specifics of His Memoirs ............................65

**შოთა თვალაძე / Shota Tvaladze**

მგალობლისძიესეულ ნუსხაში აღწერილი ქართლის მეფეთა დინასტიების მონაცვლეობა ფარნავაზიდან მირიან მეფემდე

The Succession of the Kings of Kartli in the Megaloblisdze Manuscript from Pharnavaz to Mirian67

**ირინა გოგონაია / Irina Gogonaia**

**ლელა შათირიშვილი / Lela Shatirishvili**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ კოლექციაში (H ფონდი) დაცული რამდენიმე ხელნაწერის შესახებ

About several manuscripts preserved in the former collection of the Historical-Ethnographic Society of the National Centre of Manuscripts (H Fund) .....................................69

**ბექა კაციტაძე / Beka Katsitadze**

ხელოვნური ინტელექტის დანერგვის დადებითი და უარყოფითი გამოვლინებები დემოკრატიული მმართველობისთვის

The Positive and Negative Aspects of Implementation of Artificial Intelligence in Democratic Governance...........................................................................72

**ნინო კვირიკაძე / Nino Kvirikadze**

"პატარა ადამიანის" თემა XIX საუკუნის ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, თომას მანი)

The theme of the "little man" in Georgian and German literature of the 19th century (Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, Thomas Mann) ..................................................74

**ვაჟა კიკნაძე / Vazha Kiknadze**

რა ენაზე იყო დაწერილი თავდაპირველად „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ერეკლე II-ს დროს

In What Language Was the Original "Treaty of Georgievsk" Written During the Reign of Erekle II77

**ბუბა კუდავა / Buba Kudava**

მეფის გარდაცვალება საქართველოში – მნიშვნელოვანი მოვლენა უმნიშვნელო ცნობებით

The Death of a King in Georgia – A Significant Event with Insignificant Records................79

**ნანა კუპრაძე / Nana Kupradze**

„პოსტკონვენციური მორალი ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ეპიკური ნაწარმოების მაგალითზე“

“Post-Conventional Morality in Selected Epic Works of Vazha-Pshavela” ....................82

**ნესტან კუტივაძე / Nestan Kutivadze**

„ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული ზღაპარი“

“Literary Fairy Tale of Aleksandre Kazbegi” ..................................................84

**ნინო ლაღიძე / Nino Laghidze**

„სოცრეალიზმი არქიტექტორ გიორგი ჩახავას შემოქმედებაში“

“Socialist Realism in the Work of Architect Giorgi Chakhava” ...............................86

**თამრიკო ლეკიაშვილი / Tamriko Lekiashvili**

**თეა მეშველიშვილი / Tea Meshvelishvili**

თურქეთის ეროვნულ არქივში დაცული XVI საუკუნის უცნობი ფირმანები და ბარათები საქართველოს შესახებ

Previously unknown firmans and cards concerning Georgia from the 16th century preserved in the National Archives of Turkey ........................................................89

**ლიკა ხუციბერიძე / Lika Khutsiberidze**

პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული დივერსიფიკაცია – სომხეთის მულტივექტორული ტენდენციები / STRATEGIC DIVERSIFICATION OF THE FOREIGN POLICY OF A SMALL STATE – ARMENIA›S MULTI-VECTOR TENDENCIES

Strategic Diversification of the Foreign Policy of a Small State – Armenia’s Multi-Vector Tendencies ........................................................................92

**ანა მანაგაძე / Ana Managadze**

რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო

Russia’s Eastern Policy and Georgia ........................................................95

**ტრისტან მაჭარაშვილი / Tristan Macharashvili**

შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება (მედიცინა შუა საუკუნეების საქართველოში)

Life in Medieval Georgian Society (Medicine in Medieval Georgia)...........................98

**დარეჯან მენაბდე / Darejan Menabde**

სამგზავრო ნარკვევები საქართველოს დაკარგული ტერიტორიებიდან და მათი მსოფლმხედველობრივი დისკურსი (XIX ს.)

Travel Writings from Georgia’s Lost Territories and Their Worldview Discourse (19th Century) .100

**ნაილე მიქელაძე / Naile Mikeladze**

რამდენიმე ტოპონიმის ეტიმოლოგია ხალხური სიტყვიერი მასალებიდან

Etymology of Several Toponyms from Oral Sources. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .101

**ნანა მრევლიშვილი / Nana Mrevlishvili**

ღირსი თეოდორა ალექსანდრიელი: ძირითადი რელიგიური მოტივები

The Main Religious Motifs in the Life of the Venerable Theodora of Alexandria . . . . . . . . . . . . . . .103

**ნადიმ ვარშანიძე / Nadim Varshanidze**

ქართული ცივილიზაციური იდენტობის რეტროსპექტიული თუ თანამედროვე გააზრებისთვის

On a retrospective or contemporary understanding of Georgian civilizational identity . . . . . . . . . .105

**ნიკა ხოფერია / Nika Khoperia**

დავით აღმაშენებლის ეპოქის ყივჩაღი მეომარი

Kipchak Warrior of the Reign of David the Builder. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .108

**ქეთევან ნადარეიშვილი / Ketevan Nadareishvili**

**თამარ ჭეიშვილი / Tamar Cheishvili**

კავკასია და ქართველური ეთნოსები, როგორც „სხვა“, რომაული ბატონობის პერიოდის ბერძენი და რომაელი მწერლების რეპრეზენტაციებში

Caucasus and the Kartvelian Ethnoses, as ”the Other”, in the Representations of Greek and Roman Authors of the Roman Period . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .111

**ირინა ნოზაძე / Irina Nozadze**

თანამედროვე ბასკური პოეზიის (XX-XXI სს.) პერიოდიზაციის პრობლემა

The Issue of Periodisation of Modern Basque Poetry (XX-XXI Centuries) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .114

**ეკა ორაგველიძე / Eka Oragvelidze**

თავისუფლების იდეალი მერაბ კოსტავას პოეზიაში

The Concepts of Freedom in Merab Kostava’s Poetry. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .116

**ნინო პოპიაშვილი / Nino Popiashvili**

პროზელიტიზმის ფუნქციისათვის ჰაგიოგრაფიულ პარადიგმაში

On the Function of Proselytism in the Hagiographical Paradigm . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .118

**ქეთევან რამიშვილი / Ketevan Ramishvili**

**ელენა გიუნაშვილი / Elena Gyunashvili**

ტახის გამოსახულებები ძველ ქართულ ხელოვნების ძეგლებზე

Depictions of Boars in Early Georgian Art Monuments. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .120

**მანანა სანაძე / Manana Sanadze**

ქართლოსის წილხვედრი ქვეყანა, როგორც ქართლის საზღვრების ასახვა VI-ის 60-80-იან წლებში

The Allotted Land of Kartlos as a Reflection of the Borders of Kartli in the 560s-580s..........122

**დიმიტრი სილაქაძე / Dimitri Silakadze**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლების სამხედრო განათლება და საბრძოლო გამოცდილება

The Military Education and Combat Experience of the Commanders-in-Chief of the Democratic Republic of Georgia ..............................................................125

**თენგიზ სიმაშვილი / Tengiz Simashvili**

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა და ლეკების (ხუნძები/ავარები) 1950-იან წლებში საქართველოში ხელახლა ჩასახლების ანალიზი

Soviet National Policy and the Re-settlement of the Lezgi (Khundz/ Avars) in Georgia in the 1950s: An Analysis..............................................................127

**მარი სიმონიშვილი / Mari Simonishvili**

გივი მარგველაშვილის მინიატურების სამყაროში

In the Miniature World of Givi Margvelashvili .............................................129

**ქეთევან სირაძე / Ketevan Siradze**

დავით აღმაშენებლის მრწამსი და საგანმანათლებლო ღვაწლი

Faith and Educational Contribution of King David IV the Builder .............................131

**ნესტან სულავა / Nestan Sulava**

ღმერთი, სამყარო, ადამიანი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით

God, the World, and Humanity in David IV the Builder's Galobani Sinanulisani ................133

**ლალი ფირცხალავა / Lali Pirtskhalava**

ვირჯინია ოლდოინის – კასტილიონეს გრაფინიას სამეფო კარის თამაშები

Virginia Oldoini, Countess of Castiglione: The Royal Court Games...........................135

**ნანა ფრუიძე / Nana Pruidze**

რაფიელ ერისთავი – ი. კრილოვის იგავ-არაკების მთარგმნელი

Raphiel Eristavi – Translator of I. Krilov's Fables .........................................137

**ანა ფუტკარაძე / Ana Futkaradze**

სატრფიალო-სალაღობო ლექს-სიმღერები ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით

Love and Playful Songs in the Stories of Egnate Ninoshvili...................................140

**კახაბერ ფიფია / Kakhaber Phiphia**

ტერმინ „სუანო-კოლხების“ გაგებისათვის

On the Term “Suano-Colchians” ....................................................... 142

**ნინო ქართველიშვილი / Nino Kartvelishvili**

უცხოური ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში

Foreign Investments in Developing Countries ............................................. 144

**ნინო ქოთოლაშვილი / Nino Kotolashvili**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი: რელიგია, უსაფრთხოება და იდენტობის პოლიტიკა

The Status of the Autonomous Republic of Adjara: Religion, Security, and Identity Politics ..... 146

**ნანა შავთვალაძე / Nana Shavtvaladze**

„ზმნის უღლების სისტემის სწავლება ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად (II სერია)“

Teaching the Verb Conjugation System According to the CEFR (Series II)...................... 148

**ხათუნა ჩაფიჩაძე / Khatuna Chapichadze**

ამერიკული „ატომური ინდივიდუალიზმის“ თანამედროვე ქართული რელაცია?

The Contemporary Georgian Relation of American “Atomic Individualism”?................... 151

**ეკა ჩიკვაიძე / Eka Chikvaidze**

დავით აღმაშენებელი და საგანმანათლებლო რეფორმა (XI-XII საუკუნეების მონარქიულ გამოცდილებათა შედარებითი ანალიზი)

David the Builder and Educational Reform (A Comparative Analysis of Monarchical Practices in the 11th-12th Centuries) ............................................................. 154

**მაია ცერცვაძე / Maia Tsertsvadze**

თამარ ბაგრატიონი – გიორგი XIII-ის ასული

Tamar Bagrationi – Daughter of Giorgi XIII................................................ 157

**მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი / Nun Ioane (Mamuka) Tsukhishvili**

პირველი ქართველი მოწამე ქრისტიანები

The First Georgian Christian Martyrs...................................................... 160

**დეკანოზი გიორგი წეროძე / Archpriest Giorgi Tserodze**

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის აქტუალობა თანამედროვე გამოწვევების ფონზე

The Relevance of King David the Builder’s Legacy in the Context of Contemporary Challenges. . 162

**მანანა წერეთელი / Manana Tsereteli**

**სალიჰ უჩაქი / Salih Uçak**

ციურ სხეულებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები თურქულ და ქართულ ფოლკლორში

Beliefs and Rituals Belonging to the Sky and Sky Spirits in Turkish and Georgian Folklore ......164

**ალექსანდრე ჭულუხაძე / Aleksandre Chulukhadze**

ძვირფასი ქვის სემანტიკა და ეტიმოლოგია ძველ ქართულ წყაროებში

The Semantics and Etymology of Precious Gemstones in Ancient Georgian Sources ...........167

**მარინა ფუთურიძე / Marina Puturidze**

ლითონის ჭურჭლის პირველად გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში: გავრცელება, მისი განმაპირობებელი ფაქტორები და ტიპობრივი მრავალფეროვნება

First Appearance of the Metal Vessels in South Caucasus: Distribution, Their Determining Factors and Typological Variety ..............................................................170

**ხათუნა ქოქრაშვილი / Khatuna Kokrashvili**

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ჯილდო და მისი სიმბოლური პარადიგმები (წმინდა ნინოს სახელობის საპატიო ნიშანი)

The Award of the "Society for the Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus" and Its Symbolic Paradigms (The Order of St. Nino) ................................................174

**გივი ღამბაშიძე / Givi Gambashidze**

კავკასიის ხალხთა ერთობის ისტორიის ფურცლები – ქრისტიანული კულტურის ქართული წრის ძეგლები იმერიკავკასიაში

Pages from the History of the Unity of the Peoples of the Caucasus – Monuments of Georgian Christian Culture in Imericaucasia ......................................................176

**გაგა შურღაია / Gaga Shurgaia**

ბალაჰვარისა და იოდასაფის ლეგენდის არაბული, ქართული და ბერძნული ვერსიების ურთიერთმიმართება და ლეგენდის პირველი ქრისტიანული ვერსია

Tracing the Relationship between the Arabic, Georgian, and Greek Versions of the Bilawhar and Būḏāsaf Legend and Its Earliest Christian Adaptation .......................................177

**ნინო ჩიხლაძე / Nino Chikhladze**

მარტვილის ეკლესიის XI-XII საუკუნეების მხატვრული დეკორის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

The Cultural and Historical Significance of the XI-XII Century Artistic Decoration of Martvili Church ...............................................................180

**ნარი ჩხაბერიძე / Nari Chkhaberidze**

იოანე ზიზიულასის საღვთისმეტყველო ხედვა ზოომორფულ საკითხებზე და სახარებისეული სიმბოლო „ვირის“ ეგზეგეტური ანალიზი

Theological Vision of John Zizioulas on Zoomorphic Issues and the Exegetical Analysis of the Gospel Symbol "Donkey" ........ 183

**დოდო ჭუმბურიძე / Dodo Chumburidze**

ქართული საისტორიო აზროვნების მთავარი პარადიგმა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში და გიორგი წერეთელი

The Main Paradigm of Georgian Historical Thought at the End of the 19th and the Beginning of the 20th Century and Giorgi Tsereteli ........ 186

**ბეჟან ხორავა / Bezhan Khorava**

კოდორის ზემო წელი – დალის ქვეყანა (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)

Upper Kodori Valley – The Land of Dali (A Historical-Geographical Overview) ........ 189

**ნინო ხუნდაძე / Nino Khundadze**

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების ისტორია

History of the Development of Georgian Art Studies ........ 191

**ილონა ჯოხაძე / Ilona Jokhadze**

კომუნიკაციის ბარიერების გავლენა თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე ცვლილებების მენეჯმენტის პროცესში

The Impact of Communication Barriers on Employee Productivity in Change Management Processes ........ 194

**გიორგი ჯღარკავა / Giorgi Jgharkava**

ფიტონიმები მეგრულ ანდაზებში

Phytonyms in Megrelian Proverbs ........ 196

**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი / Nana Khocholava-Machavariani**

მევენახეობის ამსახველი ტოპონიმია საქართველოში: კულტურულ-ენობრივი მემკვიდრეობის კვლევა, გამოყენების პერსპექტივები, პოპულარიზაცია

Viticulture-Related Toponymy in Georgia: A Study of Cultural and Linguistic Heritage, Prospects for Use, and Popularization ........ 198

**ვახტანგ ჯაფარიძე / Vakhtang Japaridze**

ძველი კოლხეთის (ლაზიკის) ახალი არქეოლოგიური მონაცემების შესახებ (ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების ჭრილში)

New Archaeological Data on Ancient Colchis (Lazica) in the Context of Historical Geography ... 202

**ნინო ჯორბენაძე / Nino Jorbenadze**

**იამზე გაგუა / Iamze Gagua**

**ნარგიზ ახვლედიანი / Nargiz Akhvlediani**

**ლელა ჩოთალიშვილი / Lela Chothalishvili**

დიდი დედის კულტის ნანა და ნVნ ფუძის ეტიმოლოგიური ტრაექტორია მსოფლიო ცივილიზაციების ჭრილში

The Etymological Trajectory of the Root ნVნ and the Cult of the Great Mother Nana In the Context of World Civilizations . . . . . 207

**იოსტ გიპერტი / Jost Gippert**

ქართული ხელნაწერები გერმანიაში

Georgian Manuscripts in Germany . . . . . 209

**ევგენია რავცოვა / Jevgenija Ravcova**

სიძველეთა ძიებაში: კავკასიის მუზეუმის დაკარგული ფრესკები

In Search of Antiquity: The Lost Murals of The Caucasus Museum . . . . . 211

**ულრიკა სიოდერლინდი / Ulrica Söderlind**

გასტრონომიული საკვები პრაქტიკები ფოკას მონასტერში, საქართველოში

Gastronomical Foodways at the Phoka Nunnery in Georgia . . . . . 213

**მარცინ სკლადანოვსკი / Marcin Składanowski**

საქართველო ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკაში ონტოლოგიური უსაფრთხოების პერსპექტივიდან

Georgia in the European Union's Security Policy from the Perspective of Ontological Security . . 215

**მარიამ ყამარაული / Mariam Kamarauli**

ახალი ასპექტები გაყოფილ ერგატივაზე ქართულში

New Insights into Split Ergativity . . . . . 218

**ტიფაინ გინგელვეინი / Tiphaine Gingelwein**

კრივობა: ქართული კრივის აღდგენა და ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში

Krioba: The Revival of Georgian Boxing and the Transformation of Traditional Martial Arts in Contemporary Georgia . . . . . 221

**ლუსინე მადათიანი / Lusine Madatyan**

კოგნიტური რეფლექსია დროის შესახებ (სპეციალური მითითებით სომხურ და ირლანდიურ ხალხურ ზღაპრებზე)

A Cognitive Reflection on Time (with Special Reference to Armenian and Irish Folktales) . . . . . 224

**ჰასმიკ გალსტიანი / Hasmik Galstyan**

ქვედა მითოლოგიური პერსონაჟების კლასიფიკაცია სომხური ზღაპრების მიხედვით

Classification of Lower Mythological Characters in Armenian Folktales ........................ 227

**ჰასმიკ ჰარუთუნიანი / Hasmik Harutyunyan**

**ჰასმიკ მათიკიანი / Hasmik Matikyan**

ლინგვო-ფოლკლორისტული ანალიზი სომხურ და ქართულ ზღაპრებში არსებული სიმღერების შესახებ (ჟანრებსშორისი ინტერპენეტრაცია)

A Linguo-Folkloristic Analysis of Songs in Georgian and Armenian Fairy Tales /Intergeneric Penetration/ ........................ 229

**ვიტალი შტიბინი / Vitalii Shtybin**

საქართველოს არქივები, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის კვლევის წყარო (ჩერქეზთა მაგალითი)

Georgian Archive as a Source of Research into the History of the Peoples of the North Caucasus (Circassian Case)........................ 231

**რიკ ფონი / Rick Fawn**

კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური პერიოდის კავშირები და გაუცხოებები სამხრეთ კავკასიაში

Conflict and Post-conflict Connectivities and Disconnectivities in the South Caucasus ......... 233

**Elena Rova / ელენა როვა**

**Iulon Gagoshidze / იულონ გაგოშიძე**

**Nikoloz Gobejishvili / ნიკოლოზ გობეჯიშვილი**

**Liana Bitadze / ლიანა ბითაძე**

**Shorena Laliashvili / შორენა ლალიაშვილი**

**Elisabetta Boaretto / ელიზაბეტა ბოარეტო**

**Piera Allegra Rasia / პიერა ალეგრა რასია**

The Doghlauri burial ground in the context of Bronze and Iron age peopling in Georgia ......... 235

დოღლაურის სამარხები ბრინჯაოსა და რკინის ხანის მოსახლეობის კონტექსტში საქართველოში

**ნოდარ არონიშიძე**

დოქტორანტი
მეცნიერ-თანამშრომელი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0001-3706-7925
nm.aronishidze@gmail.com

# სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპოლოგიური თავისებურების რამდენიმე საკითხისთვის

სამეკლესიიანი ბაზილიკა, როგორც არქიტექტურული ტიპი, ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს თემას წარმოადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბაზილიკის ამგვარი კომპოზიცია, თავისი ჩამოყალიბებული სახითა და დროში განვრცობილი განვითარების ეტაპებით, მხოლოდ საქართველოშია დაფიქსირებული. „ბიზანტიური სამყაროს" სხვადასხვა ნაწილში ცალკეული ძეგლების სახით გაირჩევა სამეკლესიიანი ბაზილიკის მსგავსი კომპოზიციის მქონე ცალკეული ვარიაციები – ნაგებობათა გეგმარებითი ფორმები, რომლებიც მეტ-ნაკლები სიახლოვით ხასიათდება ქართულ სამეკლესიიან ბაზილიკასთან. მიუხედავად ამისა, იმავე ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში ჩვენ ვერ ვხვდებით სამეკლესიიანი ბაზილიკის ჩამოყალიბებულ გეგმარებით კომპოზიციებს, რომლებსაც გააჩნია ტიპის ჩასახვის, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორია. სამეკლესიიანი ბაზილიკის შესახებ არაერთი ნაშრომია გამოცემული, თუმცა გამუდმებული დავის საგანს წარმოადგენს მისი როგორც ფუნქციური მხარე, ისე თავად ტიპის განმარტებითი სახელდება. ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები ხშირად მიუთითებენ თემაზე, რომ ეს გახლავთ დარბაზული ეკლესია მინაშენებით, ნაცვლად სამეკლესიიანი ბაზილიკისა. ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ტიპის ისტორიის განსაზღვრის თვალსაზრისით, არამედ ადრეული შუა საუკუნეების ქართული სატაძრო მშენებლობის ფართო კონტექსტის გააზრებისთვის. წინამდებარე მოხსენების მიზანია რამდენიმე სადავო საკითხის შესახებ წინასწარი სამეცნიერო მიგნებების პრეზენტირება, რომელიც დაკავშირებულია ტიპის გეგმარებით მახასიათებლებთან. ჩვენი მიზანია, გეგმარებითი პრინციპების ანალიზის საფუძველზე მკაფიო ზღვარი გავავლოთ მინაშენებიან დარბაზულ ეკლესიასა და სამეკლესიიან ბაზილიკას შორის.

**საკვანძო სიტყვები:** სამეკლესიიანი ბაზილიკა; ქართული ხუროთმოძღვრება; ადრექრისტიანული ქართული ხელოვნება; ქართული ქრისტიანული არქიტექტურა; ქართული ბაზილიკური თემა.

**Nodar Aronishidze**

Doctoral Candidate
Researcher
Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0001-3706-7925
nm.aronishidze@gmail.com

# ON CERTAIN TYPOLOGICAL CHARACTERISTICS OF THE THREE-CHURCH BASILICA

The three-church basilica constitutes one of the most significant phenomena in Georgian architectural history. Of particular importance is the fact that this compositional scheme, in its fully developed form and with a continuous trajectory of evolution, is attested exclusively in Georgia. In various regions of the so-called "Byzantine world," individual monuments can be found that exhibit certain analogies—planning solutions which, to varying degrees, approximate the Georgian three-church basilica. However, within the Byzantine Empire proper, no fully developed examples of this architectural type are attested—examples that would demonstrate a consistent history of conception, formation, and development.

Although a substantial body of scholarship has been devoted to the study of the three-church basilica, debates persist regarding both its functional significance and the terminological accuracy of the type designation itself. Georgian as well as foreign scholars frequently argue that these structures should rather be identified as hall churches with annexes, rather than as a distinct basilica form. This issue is crucial not only for defining the historical trajectory of the type but also for situating it within the broader context of early medieval Georgian ecclesiastical architecture.

The aim of the present paper is to introduce preliminary scholarly reflections on a number of contentious issues concerning the planning characteristics of the type. More specifically, it seeks to establish a clear conceptual distinction between the hall church with annexes and the three-church basilica, based on an analysis of their respective planning principles.

**Keywords:** Three-church basilica, Georgian architecture, Early Christian Georgian art, Georgian ecclesiastical architecture, Georgian basilica tradition.

**მარია არქანია**

დოქტორანტი
აკადემიური მენეჯერი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0006-7648-9641
mariaarkania@gau.edu.ge

# წახალისების სისტემების გავლენა თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე

წახალისების სისტემები გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამშრომელთა პროდუქტიულობის ფორმირებაში, ვინაიდან ისინი გავლენას ახდენენ მოტივაციაზე, ჩართულობასა და სამუშაო გარემოსადმი კმაყოფილებაზე. კარგად სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც აერთიანებს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ წახალისებებს, ზრდის ორგანიზაციულ შედეგიანობას. მხოლოდ მატერიალური ჯილდოები ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა მდგრად პროდუქტიულობას. ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშავონ აღიარების, კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და შიდა მოტივატორების პრინციპები, რათა შექმნან რეალურად ეფექტური წახალისების სისტემა. სისტემების სტრუქტურა და სამართლიანობა პირდაპირ აისახება თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე. გამჭვირვალე და პერსონალიზებული წახალისებები იწვევს უფრო მაღალ შედეგს, ხოლო ცუდად დაგეგმილი პროგრამები ხელს უწყობს ჩართულობის შემცირებასა და კადრების გადინებას.

**საკვანძო სიტყვები:** წახალისების სისტემები, თანამშრომელთა პროდუქტიულობა, მოტივაცია, სამუშაო კმაყოფილება.

**Maria Arkania**

Doctoral Candidate
Academic Manager
School of Business, Georgian-American University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0006-7648-9641
mariaarkania@gau.edu.ge

## THE IMPACT OF REWARD SYSTEMS ON EMPLOYEE PRODUCTIVITY

Reward systems play a critical role in shaping employee productivity by influencing motivation, engagement, and workplace satisfaction; a well-structured system that combines financial and non-financial rewards leads to higher organizational performance. Monetary rewards alone are insufficient to drive sustainable employee productivity; organizations must integrate recognition, career development opportunities, and intrinsic motivators to create a truly effective reward system. The structure and fairness of reward systems directly affect employee productivity, with transparent and personalized incentives resulting in higher output, while poorly designed reward programs contribute to disengagement and turnover.

**Keywords:** Reward systems, Employee productivity, Motivation, Workplace Satisfaction.

**ნინა ბარნოვი**

ისტორიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0001-2899-8963
nino.barnovi@gmail.com

# სემიოლოგიის მეთოდები: „დაუსწრებელი“ სტრუქტურა და პროცესი (უმბერტო ეკოს მიხედვით)

ოპერატივისტული სემიოლოგია გვაძლევს მოდელს მნიშვნელობის წარმომქმნელი მექანიზმისა, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციურ ჯაჭვს. ეს მოდელი გულისხმობს, რომ ადრესატთან წვდომის დროს შეტყობინება „ცარიელია“. მაგრამ ეს არაა უფსკრულის სიცარიელე, ეს არის გარკვეული მნიშვნელობების შემქმნელი აპარატის მზადყოფნა მუშაობისთვის, აპარატისა, რიმელიც ჯერ არაა გაშუქებული ჩემ მიერ შერჩეული კოდებით, რომლებიც მის აზრს, მის არსს გამიშუქებენ.

მაგრამ როგორ მივხვდები მე, ადრესატი, რომ ეს შინაარსის შემქმნელი მექანიზმია? – იმის დახმარებით, რომ მისი მიღების მომენტში მე ვაშუქებ მას გარკვეული ფუნდამენტური კოდებით. მაგრამ რა მნიშვნელობებს აღვიქვამთ ჩვენ? შეტყობინებისათვის რაღაც კოდის მიყენება უკვე წარმოადგენს გარკვეულ სტრუქტურულ ჰიპოთეზას, რომელიც სულაც არ არის ნაკლებ სარისკო და საინტერესო იმის გამო, რომ ჩვენ მას, როგორც წესი, ვიყენებთ ბრმად, სათუოდ, კოდის შემოთავაზება – ეს არ არის ჰიპოთეზის შექმნა და წარმოდგენა, თუ რა გამოვა აქედან. წარდგენილი კოდი გამოავლენს განსაზღვრულ მნიშვნელობებს, მაგრამ შემდეგ დაუპირისპირდება სხვა კოდებს, ლექსიკოდებსა და ქველექსიკოდებს იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ კონოტაციური შესაძლებლობების სრულ ამოწურვაში. ამ დროს მოძრაობის, მოქმედების დაწყება უკავშირდება იმას, რომ შეტყობინება – გაცნობიერებული შეტყობინება (ხელოვნების ქმნილება) ანდა გაუცნობიერებელი შეტყობინება (ნათესაობის მიმართება) – ეჯახება სოციალური კონვენციების , ე.ი. კოდების და ვითარებების, მძლავრ აისბერგებს, რომლებიც განაპირობებენ კოდების შერჩევას და წარმოადგენენ რეფერენციების ისეთ პარამეტრს, რომელიც ავიწროებს, ზღუდავს ძიებას, თუმცა სულაც არ განსაზღვრავს ცალსახად შეტყობინების შინაარსს.

უმბერტო ეკოს აზრით, ხაზგასასმელია ისიც, რომ აღსანიშნის ე.წ. „მცდარი შთაბეჭდილება“ ვრცელდება სემიოლოგიის ისეთ განშტოებაზე, რომელიც თითქოსდა დაზღვეულია ამისგან, კერძოდ, სემანტიკაზე, როგორც მეცნიერებაზე მნიშვნელობების შესახებ. როდესაც სტრუქტურული სემანტიკა ცდილობს მნიშვნელობათა ერთეულების სისტემატიზაციაში მოყვანას, ჩნდება დიდი ცდუნება, ჩავთვალოთ, – რახან ჩვენ წინაშეა სისტემა, – რომ საქმე გვაქვს ცალსახად განსაზღვრულ რეალობასთან.

მაგალითისათვის უ.ეკოს მოჰყავს კლოდ ბრემონის საყვედურები ავტორებს, რომლებიც ცდილობენ ყურანის ტექსტების სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზის ჩატარებას პერფობარათების გამოყენებით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ უმბერტო ეკო იხრება იმ მოსაზრებისაკენ, რომ ოპერატივისტული მიდგომა წარმოგვიდგება გამორჩეულად ეფექტურად, რადგანაც არ გამორიცხავს განსხვავებულ მიდგომებს. ჩვენ შეიძლება დავინტერესდეთ დამკვიდრებული კოდების ახალ კომუნიკაციურ სტრუქტურებში გარდასახვის შესწავლით.

საკვანძო სიტყვები: სემიოლოგიური კვლევა, კომუნიკაციური ჯაჭვი, „დაუსწრებელი, ცარიელი სტრუქტურა“, რეფერენცია, კომუნიკაციური უნივერსალია, კონვენცია.

**Nino Barnovi**

Doctor of History
Associate Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0001-2899-8963
nino.barnovi@gmail.com

## METHODS OF SEMIOTICS: THE "ABSENT" STRUCTURE AND PROCESS (ACCORDING TO UMBERTO ECO)

Operativist semiotics provides us with a model of the mechanism of meaning production, which functions as a communicative chain. This model assumes that, at the moment of reaching the addressee, the message is "empty." Yet, this emptiness is not that of a void; rather, it is the readiness of a certain apparatus of meaning-production to operate—an apparatus that has not yet been illuminated by the codes I, as the sender, select to disclose its meaning and essence.

But how does the addressee recognize that this is indeed a mechanism of meaning production?—By the fact that, at the moment of reception, they illuminate it through the application of certain fundamental codes. Which meanings, then, do we actually perceive? The very act of assigning a code to a message already constitutes a structural hypothesis—one that is no less risky or intriguing for the fact that we usually employ it blindly, tentatively. To propose a code is not to test a hypothesis nor to foresee what outcome may arise. The selected code reveals certain meanings, but then confronts other codes, lexicodes, and sub-lexicodes in order to ensure the exhaustion of its connotative potential. At this point, the movement or action begins precisely

when the message—whether a conscious message (an artwork) or an unconscious one (a kinship relation)—collides with the massive "icebergs" of social conventions, i.e., codes and situations. These conventions condition the selection of codes and constitute parameters of reference that narrow and constrain the interpretive search, though they do not definitively determine the content of the message.

According to Umberto Eco, it is important to emphasize that the so-called "misleading impression" extends even to that branch of semiotics which appears immune from it—namely, semantics, understood as the science of meaning. When structural semantics attempts to systematize units of meaning, there arises a strong temptation to assume that—since we are faced with a system—we are dealing with a clearly defined reality.

As an example, Eco cites Claude Brémond's critique of those authors who seek to analyze Qur'anic texts through structural and semantic approaches using perforated cards.

In summary, Eco inclines toward the view that the operativist approach proves to be particularly effective, precisely because it does not exclude alternative perspectives. We may, for instance, become interested in examining how established codes are transformed within new communicative structures.

**Keywords:** semiotic research, communicative chain, "absent/empty structure," reference, communicative universals, convention.

**ნანა ბურჭულაძე**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0002-3689-1397
Nanaburchuladze23@gmail.com

# დავით აღმაშენებლის დროინდელი ხატები სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში (ახალი მონაცემები)

ქართველთა დიდმა მეფემ, დავით IVაღმაშენებელმა, უმნიშვნელოვანესი კვალი დაამჩნია ქართული კულტურისა და ქრისტიანული ხელოვნების განვითარებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთის სასულიერო ცენტრებშიც. მისი ისტორიკოსის ცნობით, მას საბერძნეთში, ათონის მთაზე, ბულგარეთში, ასურეთში, კვიპროსზე, შავ მთასა და პალესტინაში უხვი ძღვენი გაუღია წმინდა სალოცავებისთვის. მათ შორის მეფეს განსაკუთრებულად უღვაწია უფლის გამოცხადების ადგილას, სინას მთაზე მცხოვრები ქართველი ბერებისთვის, რომლებისთვისაც აუშენებია მონასტერი და გაუგზავნია ოქრო, ძვირფასი ქსოვილები, საეკლესიო წიგნები და მრავალი საღვთისმსახურო ნივთი.

ამ ჩამონათვალში არ შედის ხატები, ვინაიდან ქართველი ბერები სინას მთაზევე ქმნიდნენ ხატწერის უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს, რომლებიც ერთნაირად ღირებულ ნაწილს წარმოადგენს როგორც ქართული, ისევე ბიზანტიური კულტურული მემკვიდრეობისთვის.

მათ შორისაა საქვეყნოდ ცნობილი ორმხრივ მოხატული ჰექსაპტიხი, რომლის ოთხ ფრთაზე განაწილებულია მენოლოგიონი (ლიტურგიული წლის კალენდარი), მეხუთეზე – „საშინელი სამსჯავრო", მეექვსეზე კი – კონსტანტინოპოლში ცნობილი ღვთისმშობლის 5 სასწაულთმოქმედი ხატისა და ქრისტეს სასწაულებისა და ვნების ციკლების ამსახველი სცენები. ჰექსაპტიხზე არსებული ბერძნულ-ქართული წარწერების მიხედვით, მისი ავტორიცა და ქტიტორიც ყოფილა ქართველი ბერ-მონაზონი იოანე თოჴაბი, რომელსაც არა მხოლოდ წარწერებით აქვს დაფიქსირებული საკუთარი ვინაობა, არამედ ჰექსაპტიხზე ორგან ჰქონია დახატული ავტოპორტრეტიც. მხატვრული სტილისა და იკონოგრაფიული თავისებურებებით სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ხატი თარიღდება XI-XII საუკუნეების მიჯნით, ანუ დავით აღმაშენებლის ზეობის დროით.

იოანეს მიერ შექმნილ მრავალკარედზე ასახული კალენდარიც, „საშინელი სამსჯავროცა" და ქრისტეს სასწაულებისა და ვნებების ციკლებიც უძველეს ნიმუშებად ითვლება ზოგადად ბიზანტიური ხატწერის ისტორიაში და, ამასთანავე, თოჴაბის პორტრეტებიც ყველაზე ადრეულ ნიმუშებადაა მიჩნეული მხატვართა გამოსახულებებს შორის ბიზანტიის არეალში შემავალი ქვეყნების ხელოვნებაში.

სინას კოლექციის მეორე, XII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ, ქართულ-ბერძნული

წარწერების მქონე ხატზე წარმოდგენილია წმ. გიორგის გვერდით მდგარი დავით აღმაშენებლი, რომელსაც წმინდანის შუამდგომლობით ზეციდან აკურთხებს მაცხოვარი. ეს ხატი, ტექნიკური და მხატვრული თავისებურებების მიხედვით, უდავოდ სინას მთაზეა დახატული და იქაური ხატების მრავალათასიან კოლექციაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ის ერთადერთია, რომელზეც მეფეა გამოსახული.

სინას ხატებისადმი მიძღვნილი უახლესი გამოკვლევით დავით აღმაშენებლის პორტრეტიანი ხატი არა ვოტივური დანიშნულების საგნად, არამედ სამეფო პანოდაა მიჩნეული, რომელზეც ქართველთა სახელოვანი მეფე სრული დიდებითაა წარმოდგენილი (დ. მურელატოსი).

ვეთანხმები რა ამ ახალ მოსაზრებას, ვფიქრობ, რომ სინას კოლექციაში არსებობს ამ პანოს მეორე ნაწილიც. ვგულისხმობ იმავე ზომის – კომპოზიციურად, კოლორისტულად, თემატურად და დეტალებითაც კი მსგავს სხვა ხატს, რომელზეც ნაჩვენებია ერთმანეთის გვერდზე მდგარი ორი წმინდა მეომარი – თევდორე და დიმიტრი. ამ ხატების ერთად წარმოდგენით იქმნება ერთგვარი სამეფო დიპტიხი, რომელზეც დავით IV საქართველოში ყველაზე პოპულარულ წმინდა მეომართა თანხლებითაა გამოსახული. დიპტიხის ერთ „ფრთაზე" წმ. გიორგი, როგორც მეფის უშუალო მფარველი, შუამავლადაა ნაჩვენები მასსა და იესო ქრისტეს შორის, ხოლო მეორე „ფრთაზე" წარმოდგენილი წმ. თევდორე და წმ. დიმიტრი გააზრებული არიან, როგორც წმ. გიორგისთან ერთად მეფის შემწე – ზეციური მებრძოლები.

სინას მთის ეს „დიპტიხი" მხატვრული ღირსებებითა და იკონოგრაფიული პროგრამით მართლმადიდებლური ხატწერის უნიკალური ნიმუშია, რომლის შექმნა დავით მეფის ეპოქასთან და უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული.

**საკვანძო სიტყვები:** დავით აღმაშენებელი, სინას მთა, ქართული ხატწერა, ჰექსაპტიხი / დიპტიხი, ბიზანტიური კულტურული მემკვიდრეობა.

**Nana Burchuladze**

PhD of Art Studies
Chief Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0002-3689-1397
Nanaburchuladze23@gmail.com

## ICONS FROM THE ERA OF DAVID THE BUILDER IN SAINT CATHERINE'S MONASTERY ON MOUNT SINAI (NEW DATA)

King David IV the Builder of Georgia left a profound mark on the development of Georgian culture and Christian art not only within his own kingdom but also in major religious centers abroad. According to his chronicler, the king bestowed generous gifts upon holy sites in Greece (Mount Athos), Bulgaria, Assyria, Cyprus, the Black Mountain, and Palestine. Among these, he paid special attention to the Georgian monks residing on Mount Sinai—the place of the Lord's Revelation—where he founded a monastery and sent gold, precious fabrics, liturgical books, and numerous ecclesiastical objects.

This list, however, does not include icons, since the Georgian monks themselves created remarkable examples of icon painting on Mount Sinai. These icons are of equal significance to both Georgian and Byzantine cultural heritage.

Among them is the world-renowned *hexaptych*, a double-sided painted icon consisting of six wings. Four of these panels depict a *Menologion* (liturgical calendar), the fifth portrays the *Last Judgment*, and the sixth illustrates scenes representing five miraculous icons of the Virgin venerated in Constantinople, together with cycles of the miracles and Passion of Christ. According to the Greek-Georgian inscriptions preserved on the hexaptych, both the painter and the donor of the work were the Georgian monk Ioane Tokhabi, who not only identified himself in the inscriptions but also painted his own portrait on the icon.

On stylistic and iconographic grounds, the hexaptych is dated to the turn of the 11th-12th centuries—that is, the period of King David the Builder's reign. The calendar, the *Last Judgment*, and the cycles of Christ's miracles and Passion depicted by Ioane are considered among the earliest known examples in the history of Byzantine icon painting. Moreover, Tokhabi's self-portraits are regarded as the earliest depictions of artists within the art of the Byzantine cultural sphere.

A second icon from the Sinai collection, dated to the early 12th century and bearing Georgian-Greek inscriptions, portrays King David the Builder standing beside Saint George, who intercedes on his behalf as Christ blesses him from heaven. In terms of its technique and artistic features, this icon was undoubtedly painted on Mount Sinai. Within the vast Sinai collection of thousands

of icons, it holds particular importance as the only one depicting a king.

According to recent research dedicated to the Sinai icons, the icon featuring King David's portrait is not to be viewed as a votive image but rather as part of a royal *pano* (ensemble), representing the glorious sovereign in full majesty (D. Mourelatos).

Agreeing with this new interpretation, I propose that the Sinai collection contains the second part of this *pano*. I refer to another icon of identical dimensions that is compositionally, chromatically, and thematically similar—even in detail—depicting two standing warrior saints, Theodore and Demetrius. When viewed together, these two icons form a kind of royal diptych, with King David IV flanked by the most venerated warrior saints in Georgia. On one "wing" of the diptych, Saint George appears as the king's direct protector and intercessor before Christ; on the other, Saints Theodore and Demetrius accompany him as celestial warriors aiding the monarch alongside Saint George.

This Sinai "diptych," distinguished by its artistic quality and iconographic program, represents a unique example of Orthodox icon painting, directly connected with the era—and indeed the person—of King David the Builder.

**Keywords:** King David the Builder, Mount Sinai, Georgian icon painting, Hexaptych / Diptych, Byzantine cultural heritage.

**მზისა ბუსკივაძე**

ფილოლოგიის დოქტორი
ასისტენტ პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-9094-6291
mzisa.buskivadze@tsu.ge

# აზიზ ნესინის შემოქმედების ანალიზი მიშელ ფუკოს ძალაუფლების თეორიის კონტექსტში

აზიზ ნესინი თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული სატირიკოსი ავტორია. ავტორი თავისი ნარატივებით ასახავს არა მხოლოდ ინდივიდუალური ყოფის ტრაგიკომიკურ განზომილებებს, არამედ ახდენს დომინანტური დისკურსების დეკონსტრუქციას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინოს თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში ძალაუფლების გავრცელების მექანიზმები. ნესინის ტექსტებში მკითხველი მუდმივად წააწყდება ბიუროკრატიული კონტროლის, სოციალურ-კულტურული რეგულაციების, მორალური რეპრესიისა და თვითდასჯის პრაქტიკის რეპრეზენტაციებს. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს აზიზ ნესინის შემოქმედების ანალიზს მიშელ ფუკოს ძალაუფლების თეორიული ჩარჩოს გამოყენებით. ფუკოს ძალაუფლების კონცეფცია უარყოფს მის კლასიკურ გაგებას, როგორც მხოლოდ ცენტრალიზებულ ინსტიტუციურ ძალას, და წარმოადგენს მას დეცენტრალიზებულ, დისკურსულად წარმოებულ და ქსელურად გადანაწილებულ ფენომენად. მოცემული კვლევის თეორიული ღერძი ეფუძნება ფუკოს ისეთ ცენტრალურ ცნებებს, როგორიცაა დისციპლინა, ზედამხედველობა (პანოპტიზმი), ბიოპოლიტიკა. კვლევის მთავარი კითხვაა: როგორ იყენებს ნესინი ფუკოსეული ძალაუფლების მექანიზმების მხატვრულ რეპრეზენტაციას საზოგადოების კრიტიკისთვის და როგორ წარმოჩინდება წინააღმდეგობის იმპლიციტური სტრატეგიები მის ტექსტებში? დისციპლინა და სახელმწიფო სტრუქტურები, მიშელ ფუკოს თეორიული სისტემის მიხედვით, დისციპლინა წარმოადგენს ძალაუფლების ისეთ ფორმას, რომელიც მიმართულია სხეულის, დროისა და სივრცის კონტროლისკენ, რაც მიზნად ისახავს ინდივიდების ქცევების სისტემატურ რეგულაციას. ეს მექანიზმი, როგორც წესი, არ მიმართავს ფიზიკურ რეპრესიას, არამედ ეფუძნება ნორმების დადგენასა და მათი დაცვის მეშვეობით თვითდამორჩილების გენერირებას. აზიზ ნესინის მოთხრობაში „Vatandaş ve Polis“ (მოქალაქე და პოლიციელი) მკაფიოდ იკვეთება დისციპლინური ძალაუფლების ფუნქციონირების პრინციპები. პოლიცია იქცევა ზედამხედველობის სიმბოლოდ, რომლის არსებობაც მოქალაქეს აიძულებს, შეიმუშაოს ქცევის თვითრეგულაციის მექანიზმები. აღნიშნული დინამიკა შეგვიძლია მივაკუთვნოთ ფუკოს მიერ აღწერილ პანოპტიციზმის მოდელს, სადაც სუბიექტი მუდმივი შესაძლო ზედამხედველობის პირობებში ცხოვრობს. შედეგად, იქმნება „დისციპლინაური სუბიექტი“ — ადამიანი, რომელიც თავად იმეორებს და აწარმოებს დომინანტურ წესრიგს. ნიშანდობლივია,

რომ ნესინის ტექსტებში სახელმწიფო ინსტიტუციები ძალაუფლებას მხოლოდ ფიზიკური ან იურიდიული ზეწოლის გზით არ ავლენენ. ისინი ქმნიან სოციალურ გარემოს, სადაც მოქალაქეთა თვითრეგულაცია წახალისებულია და ბუნებრივად აღიქმება. ეს მოდელი სრულ თანხვედრაშია ფუკოს ძალაუფლების კონცეფციასთან, რომლის თანახმად ძალაუფლება ეფუძნება არა ძალადობას, არამედ ცოდნას, ნორმატიულობასა და სტრუქტურულ პროდუცირებას. ბიუროკრატიული აბსურდი და ბიოპოლიტიკური კონტროლი. ფუკოს ბიოპოლიტიკის თეორია ეხება ისეთ ძალაუფლებრივ სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის რეგულირებისკენ სიცოცხლის დონეზე — რესურსებზე წვდომა, ჯანმრთელობის მართვა, სივრცითი ორგანიზება და ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ამ კონტექსტში აზიზ ნესინის მოთხრობები იძლევა გამორჩეულად მკაფიო ლიტერატურულ ილუსტრაციებს. მოთხრობაში „Bir İnsan Başarır", პერსონაჟის არსებობა დამოკიდებულია ბიუროკრატიული აპარატის მიერ მის აღიარებაზე. მოთხრობის აბსურდული გარემო წარმოსახავს სისტემას, რომელშიც ინდივიდუალური იდენტობა და სოციალური სტატუსი განისაზღვრება მხოლოდ ადმინისტრაციული კრიტერიუმებით. პერსონაჟი ებმება ბიუროკრატიული რეგულაციების დაუსრულებელ ჯაჭვში, რაც ასახავს ფუკოსეულ ბიოპოლიტიკურ რეალობას — არსებობა აღიარებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ფორმალიზებულია და რეგისტრირებულია. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ პერსონაჟები თავად იღებენ მონაწილეობას ამ სისტემაში — ისინი ავსებენ დოკუმენტებს, ითხოვენ ნებართვებს. ეს პროცესი წარმოადგენს ფუკოსეული ძალაუფლების დეცენტრალიზებული მოდელის მაგალითს, სადაც ძალაუფლება ფუნქციონირებს თანხმობის, ცოდნისა და თვითკონსტიტუციის გზით. ნესინის მიერ შექმნილი სატირული დისკურსი აშიშვლებს იმ პარადოქსულ რეალობას, როდესაც ინდივიდის ცხოვრება და არსებობა დაქვემდებარებულია რეპრესიული ცოდნის მექანიზმებს. ფუკოს ტერმინოლოგიით, ეს მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც „ცოდნის ძალაუფლება", რომლის მეშვეობითაც საზოგადოება სიცოცხლეს არა როგორც გამოცდილებას, არამედ როგორც სტატისტიკურ მონაცემს აღიქვამს. ზედამხედველობა და საზოგადოების თვითდასჯის მექანიზმები, ფუკოს ზედამხედველობა სცდება ინსტიტუციური კონტროლის ჩარჩოებს და ვლინდება სოციალურ-კულტურულ თვითრეგულაციაში, რაც იწვევს ინდივიდთა ქცევების ინტერიალიზებულ მონიტორინგს. აზიზ ნესინის მოთხრობებში აღნიშნული ფენომენი განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება მორალური დისციპლინისა და საზოგადოებრივი შერცხვენის მეშვეობით განხორციელებულ კონტროლში. მოთხრობაში „Korkudan Korkmak" („შიშის შიში") პერსონაჟები იმყოფებიან მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, რაც განპირობებულია არა რეალური დევნით, არამედ იმის განცდით, რომ ყოველგვარი ქცევა დაქვემდებარებულია პოტენციურ შეფასებას. ამგვარად იქმნება ინტერიალიზებული ზედამხედველობის მექანიზმი, სადაც სოციალური სირცხვილი და მორალური დოგმები ფუნქციონირებს, როგორც კონტროლის ინსტრუმენტები. აღნიშნული სტრუქტურა შეესაბამება ფუკოს პანოპტიციზმის მოდელს, რომელიც ზუსტად აღწერს იმ ძალაუფლებრივ სქემას, სადაც ინდივიდი თავად იქცევა საკუთარი თავის ზედამხედველად. ნესინის ტექსტებში თვითდასჯა არ არის მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობის გამოვლინება, არამედ სისტემის პროდუქტია, რომელიც ქმნის მორჩილ სუბიექტს. საზოგადოების როლი ამ პროცესში განისაზღვრება როგორც კოლექტიური ზედამხედველის

ფუნქცია, რაც იწვევს მორალური კონფორმიზმისა და შიშზე დაფუძნებული ქცევის ნორმალიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** თურქული ლიტერატურა, აზიზ ნესინის შემოქმედება, მიშელ ფუკოს ძალაუფლების თეორია

**Mzisa Buskivadze**

PhD in Philology
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9094-6291
mzisa.buskivadze@tsu.ge

## AN ANALYSIS OF AZIZ NESIN'S WORKS IN THE CONTEXT OF MICHEL FOUCAULT'S THEORY OF POWER

Aziz Nesin is one of the most distinguished satirists of Turkish literature. Through his narratives, he not only depicts the tragicomic dimensions of individual existence but also deconstructs dominant discourses, thereby exposing the mechanisms of power dissemination in contemporary Turkish society. Nesin's texts consistently represent bureaucratic control, socio-cultural regulation, moral repression, and practices of self-punishment.

The aim of this study is to analyze Nesin's oeuvre within the theoretical framework of Michel Foucault's concept of power. Foucault's notion rejects the classical understanding of power as a purely centralized institutional force and instead conceptualizes it as a decentralized, discursively produced, and networked phenomenon. The theoretical axis of this research is grounded in Foucault's key concepts—discipline, surveillance (panopticism), and biopolitics. The central research question is: How does Nesin employ the artistic representation of Foucauldian power mechanisms to critique society, and what implicit strategies of resistance emerge in his texts?

Discipline and State Structures

According to Foucault, discipline constitutes a form of power directed at the regulation of the body, time, and space, aimed at systematically controlling individual behavior. Such mechanisms typically do not rely on physical repression but on the establishment of norms and the internalization of self-subjugation. Nesin's short story Vatandaş ve Polis ("The Citizen

and the Policeman") vividly illustrates the functioning of disciplinary power: the police act as a symbol of surveillance, compelling citizens to develop self-regulatory mechanisms. This dynamic resonates with Foucault's model of panopticism, in which the subject exists under conditions of constant potential surveillance, thereby producing the "disciplinary subject"—an individual who reproduces and perpetuates the dominant order. Nesin's texts underscore that state institutions do not exert power solely through physical or legal coercion; rather, they create an environment in which self-regulation becomes encouraged and naturalized. This aligns closely with Foucault's concept of power as rooted not in violence but in knowledge, normativity, and structural production.

Bureaucratic Absurdity and Biopolitical Control

Foucault's theory of biopolitics addresses strategies of power directed at regulating populations at the level of life itself—access to resources, health management, spatial organization, and administrative registration. In this context, Nesin's stories provide particularly striking literary illustrations. In Bir İnsan Başarır ("When a Person Succeeds"), a character's very existence depends upon recognition by the bureaucratic apparatus. The absurd circumstances of the story depict a system in which identity and social status are defined exclusively through administrative criteria. The protagonist becomes entangled in an endless chain of bureaucratic regulations, mirroring the Foucauldian biopolitical reality in which existence is acknowledged only when formalized and registered. Notably, Nesin's characters actively participate in this system—filling out documents, requesting permits, and thus perpetuating the cycle. This dynamic exemplifies Foucault's decentralized model of power, operating through consent, knowledge, and self-constitution. Nesin's satirical discourse exposes the paradoxical reality in which individual life is subordinated to repressive mechanisms of knowledge production. In Foucauldian terms, this condition may be described as the "power of knowledge," through which life is perceived not as lived experience but as statistical data.

Surveillance and the Mechanisms of Self-Punishment in Society

Foucault's concept of surveillance transcends institutional control and manifests in socio-cultural self-regulation, generating internalized monitoring of behavior. This phenomenon is sharply rendered in Nesin's stories through the mechanisms of moral discipline and public shaming. In Korkudan Korkmak ("Fear of Fear"), characters live under constant psychological pressure—not due to real persecution, but owing to the perception that every action is subject to potential judgment. This creates an internalized surveillance system, in which social shame and moral dogma function as instruments of control. Such structures reflect Foucault's panoptic model, where the individual becomes their own overseer. In Nesin's works, self-punishment emerges not merely as an expression of moral responsibility but as a systemic product that shapes obedient subjects. Society itself assumes the role of collective overseer, reinforcing moral conformity and normalizing fear-based behavior.

**Keywords:** Turkish literature, Aziz Nesin, Michel Foucault, Power theory.

**გიორგი გაგოშიძე**

დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მატერიალური კულტურის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი
g_gagoshidze@yahoo.com

# ნაქალაქარ სამშვილდის დავით აღმაშენებლის დროინდელი დარბაზული ეკლესია და XII–XIII საუკუნეების რიგითი მშენებლობის საკითხები

ნაქალაქარ სამშვილდის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დარბაზული ეკლესია გამორჩეულია თავისი საქტიტორო წარწერებით, ის აუშენებიათ დავით აღმაშენებლის ზეობაში, 1119 წელს, მოუხატავთ 1123 წელს. ისტორიული მნიშვნელობის მიუხედავად, ადგილობრივი კლდის ნამტვრევი ქვით ნაჩქარევად აშენებული ეკლესიის ხუროთმოძღვრება საშუალოზე დაბალი დონისაა, წყობაში გამოყენებულია სელჯუკთა მიერ სამშვილდის დაპყობის შემდგომ დაზიანებული სიონის გუმბათიანი ეკლესიის კედლის ყვითელი ქვათლილები. აშკარაა, ამ ეკლესიის აგება ისე ეჩქარებოდათ, რომ არ გარჯილან მისი ხუროთმოძღვრული ფორმების დახვეწითა და კედლების გამშვენებისთვის. იქ მხატვრულ ეფექტს ქმნიდა ეკლესიის ინტერიერის მაღალი დონის კედლის მხატვრობა, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. დავით აღმაშენებლის ეპოქის მთავარი ნიშანი, თუ წარწერებს არ ჩავთვლით, ამ ეკლესიის აღმოსავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებისთვის ნაკლებ სახასიათო, ნახევარწრიული შვერილი აფსიდაა. შვერილი აფსიდები აქვს დავით აღმაშენებლის ქტიტორობით აგებულ ტაძრებს გელათსა და შიომღვიმეში, XII საუკუნის ეკლესიებს – არმაზსა და ახატანში.

XII–XIII საუკუნის პირველი ნახევრის ნათალი ქვით აგებული, მდიდრულად დეკორირებული დარბაზული ეკლესიების (საორბისი, მაღალაანთ ეკლესია, გუდარეხი, კაზრეთი, ბეთანია, წყლულეთი და სხვ.) კვალდაკვალ შენდება დაბალბიუჯეტიანი, ნამტვრევი ქვით უხარისხოდ ნაგები რიგითი სამლოცველოებიც, როგორებიცაა: სამშვილდის დარბაზული ეკლესიის გარდა, კალაუბნის წმ. გიორგის, გარდატენის ღმრთისმშობლის, ნასოფლარ ნასპარსევის, რკონის ციხის, თუ სამოჭალოს ეკლესიები და სხვ. ზოგიერთი ამ ძეგლის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობა, ფასადების გაფორმება ღარიბულია, იშვიათად გვხვდება ნათალი ქვის წარწერიანი თუ დეკორირებული ჩანართები ან სარკმლის საპირეები. ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება როგორც სამარტომყოფოს ასკეტიზმს, ისე ციხის ეკლესიის უპრეტენზიო ხასიათს, ღარიბი სოფლის ან გაჭირვებული ქტიტორის შესაძლებლობებს. რიგითი ძეგლების სტილის მათარიღებელი ნიშნები რთული გამოსავლენია და ყველაზე უკეთ ეკლესიათა პროპორციებში ჩანს. ამგვარად, საქართველოს „ოქროს ხანად“ წოდებულ ეპოქაში მდიდრულად გაფორმებული საქტიტორო ეკლესიების პარალელურად შენდება უსახური, დაბალი სამშენებლო ხარისხის, შე-

უმკველი სამლოცველოებიც, რაც ეპოქის რთულ, სოციო-კულტურულ ვითარებას ასახავს.

**საკვანძო სიტყვები:** სამშვილდე, დარბაზული ეკლესია, დავით აღმაშენებელი, XII-XIII საუკუნეები, რიგითი მშენებლობა.

**Giorgi Gagoshidze**

Doctor
Chief Research Fellow
Head of the Material Culture Research Department of the Tamaz Beradze Institute of Georgian Studies,
The University of University
g_gagoshidze@yahoo.com

## THE HALL CHURCH OF SAMSHVILDE FROM THE REIGN OF KING DAVID IV THE BUILDER AND ISSUES OF ORDINARY CHURCH CONSTRUCTION IN THE 12TH–13TH CENTURIES

The hall church located in the far eastern part of the ruined city of Samshvilde is distinguished by its dedicatory inscriptions. It was built during the reign of King David IV the Builder, in 1119, and painted in 1123. Despite its historical significance, the church—constructed hastily of rubble stone—displays architecture of below-average quality. In its masonry, yellow stone blocks taken from the dome church of Sioni, damaged after the Seljuk conquest of Samshvilde, were reused. Clearly, the builders were in such a rush that they did not concern themselves with refining its architectural forms or adorning the walls. The artistic effect was created instead by the high-quality wall paintings inside the church, of which only a few fragments survive. Apart from the inscriptions, the most notable feature reflecting David's era is the semicircular projecting apse—an element atypical for the ecclesiastical architecture of eastern Georgia. Similar projecting apses appear in churches founded by David IV, such as Gelati and Shio-Mgvime, and in other 12th-century churches at Armazi and Akhatani.

Alongside the richly decorated hall churches of the first half of the 12th-13th centuries, built of finely cut stone (e.g., Siorbisi, Maghlaant Church, Gudarekhi, Kazreti, Betania, Tsq'luleti, and others), there emerged low-budget parish churches constructed of rubble stone, often of poor workmanship. These include, in addition to the Samshvilde hall church, St. George of Kalaubani, the Mother of God of Gardateni, the abandoned Nasparsevi, the fortress church of Rkoni, and Samochalo, among others. In some of these monuments, the artistic quality is determined by the wall paintings in the interior; facades are generally plain, with only occasional decorative

or inscribed inserts of finely cut stone, or framed window surrounds. Such solutions reflect monastic asceticism, the modest character of fortress churches, or the limited means of poor villages and humble patrons.

The chronological markers of these ordinary churches are difficult to establish and are most evident in the proportions of the buildings. Thus, during Georgia's so-called "Golden Age," while sumptuous donor churches were erected with rich decoration, modest, architecturally plain, and poorly built parish churches were constructed as well—mirroring the complex socio-cultural realities of the time.

**Keywords:** Samshvilde, Hall Church, David the Builder, 12th-13th centuries, Ordinary Construction.

**სოფიო გულიაშვილი**

მეცნიერი თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
ORCID: 0009-0009-4225-9946
s.guliashvili@ug.edu.ge

**თინათინ ჯიქურაშვილი**

მეცნიერი თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
ORCID: 0009-0002-7752-5537
t.jikurashvili@ug.edu.ge

# ძველი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია – თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების პრემეტაფრასული და მეტაფრასული ვერსიები

ძველი ქართული მწერლობა მდიდარია როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლებით, მათ შორის – ჰაგიოგრაფიული თხზულებებით. ბოლო წლებში ნათარგმნი ლიტერატურის კვლევის მეთოდების დახვეწამ და ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის შესწავლის პროგრესმა ქართულ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის კვლევების საჭიროება კიდევ უფრო ნათელი გახადა. ცნობილია, რომ წმინდანთა ცხოვრების კიმენური (პრემეტაფრასული) და მეტაფრასული თხზულებების ქართული თარგმანები ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპს თითქმის სინქრონულად ასახავს. ეს გარემოება კი ქართულ ტექსტებს – მათ შორის *თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების* ქართული თარგმანებსაც – დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ეროვნული, ასევე ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლისთვის.

თეოდორა ალექსანდრიელი (VI ს.), ქრისტიანულ სამყაროში ძალიან პოპულარული პერსონაა. მისი ცხოვრების ჰაგიოგრაფიული ტექსტი კი შეიცავს ე. წ. „გადაცმული წმინდანის“ იშვიათ და ჰაგიოგრაფიაში ერთ-ერთ უძველეს სიუჟეტად მიჩნეულ თხრობას. ქართულად ჩვენამდე მოაღწია *ცხოვრების* როგორც პრემეტაფრასულმა, ისე მეტაფრასულმა რედაქციებმა. ამასთან, მეტაფრასული რედაქცია ორი განსხვავებული თარგმანით გვაქვს ხელმისაწვდომი: 1) 1565 წლით დათარიღებულ სექტემბრის თვის მეტაფრასულ კრებულში შესული ტექსტი, ხელნაწერი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში (K-4), და 2) ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში დაცული 1081 წლის ხელნაწერი (Ivir. georg. 20), თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი. რაც შეეხება პრემეტაფრასულ

(კიმენურ) რედაქციას, ის ჩვენამდე 10 ქართული ხელნაწერითაა მოღწეული, მათ შორის ყველაზე ადრეულია 1038-1040 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაწერილი *მენოლოგიონი*, რომელიც ამჟამად ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში ინახება შიფრით Bodl. Georg. 1. ამ უძველესი წყაროს მიხედვით ტექსტი გამოქვეყნებული არ არის.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული ხელნაწერი, რომელიც *თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების* პრემეტაფრასულ რედაქციას შეიცავს, მე-11 საუკუნით თარიღდება და ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება (BnF Paris. gr. 1468; 012v-16v). სწორედ ამ ხელნაწერის მიხედვითაა გამოქვეყნებული ტექსტი 1889 წლის გამოცემაში (K. Wessely, *Die Vita S. Theodorae*, Fünfzehnter Jahresbericht des k. k. Staatsgymnasiums in Hernals, Wien, 1889, pp. 25-44). მართალია, *თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრება* მე-11 საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ კიდევ ერთ ხელნაწერშიცაა შესული (MS. Holkham Gr. 15), თუმცა ის მონაკვეთი, რომელზეც ჩვენთვის საინტერესო ტექსტია მოცემული (1r-6r), გვიანდელ, მე-14-მე-15 საუკუნის ჩანართადაა მიჩნეული. სამეცნიერო სივრცეში ცნობილია ასევე ეგვიპტეში, ფაიუმში აღმოჩენილი ბერძნული მაიუსკულით შესრულებული მე-7 საუკუნის პაპირუსის ხელნაწერი, რომელიც *თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების* ფრაგმენტებს შეიცავს (**P. Louvre Hag. 3)**.

რაც შეეხება მეტაფრასული რედაქციას – ის X საუკუნეში ჩამოყალიბდა. ყველაზე ძველი ბერძნული ხელნაწერი, რომელიც *თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების* მეტაფრასულ რედაქციას შეიცავს, მე-14 საუკუნისაა და ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება შიფრით – BnF Paris. gr. 1526 (გვერდები 093v-109v), სწორედ ამ ხელნაწერის მიხედვითაა გამოქვეყნებული ტექსტი მინის პატროლოგიაში: Migne, *Patrologia Graeca* (PG 115, cols. 452-468). ამდენად, ქართულ თარგმანს, განსაკუთრებით კი 1071 წლით დათარიღებულ Ivir.Geo.20-ს, რომელშიც ტექსტის თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანია შესული და რომელიც სამი საუკუნით უსწრებს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ბერძნულ წყაროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოხსენებაში განხილული იქნება *თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების* პრემეტაფრასული და მეტაფრასული რედაქციები, მათი ურთიერთმიმართება და მიმართება ბერძნულ ორიგინალთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტექსტთა სტრუქტურას, ადაპტაციებსა და განსხვავებების სისტემატიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრება, ბიზანტიური ჰაგიოგრაფია, მეტაფრასული ჰაგიოგრაფია, პრემეტაფრასული ჰაგიოგრაფია.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-24-7685, „ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლების კორპუსი, I“].

**Sopio Guliashvili**

Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
ORCID: 0009-0009-4225-9946
s.guliashvili@ug.edu.ge

**Tinatin Jikurashvili**

Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
ORCID: 0009-0002-7752-5537
t.jikurashvili@ug.edu.ge

## OLD GEORGIAN TRANSLATED HAGIOGRAPHY: PREMETAPHRASTIC AND METAPHRASTIC VERSIONS OF THE LIFE OF THEODORA OF ALEXANDRIA

Old Georgian literature is rich in both original and translated monuments, among them numerous hagiographical works. In recent years, the refinement of research methods in the study of translated literature, together with progress in Byzantine hagiographical studies, has made the investigation of Georgian translated hagiography increasingly important. It is known that Georgian translations of kimenic (premetaphrastic) and metaphrastic *Lives* of saints reflect different stages of Byzantine hagiographical development almost synchronously. This circumstance lends particular significance to the Georgian texts – including the translations of the *Life of Theodora of Alexandria* – for the study of both national and Byzantine literature.

Theodora of Alexandria, a saint of the fifth century, was highly venerated in the Christian world. Her *Life* contains the rare and ancient "disguised saint" narrative, regarded as one of the earliest plot types in hagiography. Both premetaphrastic and metaphrastic recensions of *Theodora's Life* have survived in Georgian. The metaphrastic recension exists in two distinct translations: (1) in the September menologion of 1565, preserved at the Kutaisi Historical-Ethnographic Museum (shelfmark K-4), and (2) in a manuscript of 1081 from the Iviron Monastery on Mount Athos (Ivir. georg. 20), translated by Teopile the Priestmonk. The premetaphrastic recension survives in ten Georgian manuscripts, the earliest being a menologion copied between 1038-1040 at the Monastery of the Cross in Jerusalem, today preserved in the Bodleian Library, Oxford (Bodl. Georg. 1). This source has not been published.

The earliest surviving Greek manuscript of the premetaphrastic version dates from the 11th century and is preserved in the Bibliothèque nationale de France (BnF Paris. gr. 1468, fols. 12v-16v). The text was published from this manuscript in 1889 (K. Wessely, *Die Vita S. Theodorae*, *Fünfzehnter Jahresbericht des k. k. Staatsgymnasiums in Hernals*, Vienna, 1889, pp. 25-44). Although the Life is also included in another 11th-century manuscript (MS. Holkham Gr.15), the relevant section (fols. 1r-6r) is considered a later, 14th-15th century addition. Scholarly literature also records a 7th-century papyrus fragment, written in Greek majuscule and discovered in Fayum, Egypt, which preserves parts of the *Life* (P. Louvre Hag. 3).

The metaphrastic recension was formed in the 10th century and it's earliest Greek manuscript dates only to the 14th century (BnF Paris. gr. 1526, fols. 093v-109v). The text was published in *Patrologia Graeca* (PG 115, cols. 452-468). Therefore, the Georgian translation of metaphrastic text in Ivir.Geo.20, copied in 1081 and containing Teopile the Priestmonk's rendering of the text, is of exceptional importance, predating the earliest Greek witness by three centuries.

The paper will consider the premetaphrastic and metaphrastic recensions of the *Life of Theodora of Alexandria*, their mutual relationship, and their correspondence with the Greek originals. Special attention will be paid to textual structure, adaptations, and the classification of differences.

**Keywords:** Georgian Translated Hagiography, The life of Theodora of Alexandria, Byzantine Hagiography, Metaphrastic Hagiography, Premetaphrastic Hagiography.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-24-7685, "Corpus of Georgian Translated Hagiography, I"].

**ქეთევან დიღმელაშვილი**

ისტორიის დოქტორი
კვლევის სამსახურის სპეციალისტი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0000-3329-9676
Ketisha80@gmail.com

# ახლად აღმოჩენილი დასახლება ადგილ სატორგეში

მოხსენება ეხება ივრის ქვემო წელში, ყაჯირის მთასთან, ადგილ სატორგეში, ბოლო წლებში მიკვლეულ ნამოსახლარს, რომელიც 30 ჰექტარზეა გაშლილი. იგი შედგება ტერასულად ნაგები საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების, წყლის რეზერვუარის, სათვალთვალო კოშკისა და კლდეში ნაკვეთი გუმბათოვანი ეკლესიისგან. ნამოსახლარზე იკრიფება IX-XIII სს კერამიკული, ლითონისა და მინის ნაწარმი და, რაც მთავარია, წიდები და წუნდებული ნიმუშები, რაც მათ ადგილზე წარმოებაზე მიუთითებს. ნამოსახლარზე აკრეფილი არტეფაქტების თარიღს ეთანხმება გუმბათიანი ეკლესიის მხატვრულ-არქიტექტურული და პალეოგრაფიული მონაცემებიც. როგორც ჩანს, ეკლესია და ნამოსახლარი თანადროულად არსებობდა.

სატორგეს ნამოსახლარის აღმოჩენას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ივრის ზეგანზე, გარეჯის მრავალმთის ტერიტორიაზე, აქამდე მხოლოდ ერთი ნამოსახლარი იყო მიკვლეული და ნაწილობრივ შესწავლილი – ქვაბების ნამოსახლარი. იგი ქვაბების კლდეში ნაკვეთი კომპლექსთან მდებარეობდა და ამდენად ძალიან ბევრ პასუხგაუცემელ კითხვებს აჩენდა, პირველ რიგში გამოქვაბული კომპლექსისა და მასთან არსებული დასახლების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ქვაბები ეს იყო მონასტერი სამოსახლოთი, თუ საერო ხასიათის სამოსახლო – კლდის სოფელი, ირგვლივ არსებული დასახლებით. ამ მხრივ ახლად აღმოჩენილ სატორგეს ნამოსახლარს შეუძლია გარკვეული დაზუსტებები და სიახლეები შეიტანოს ამ საკითხების ირგვლივ კვლევაში. ამავე დროს, სატორგეს დასახლება ახალ ფურცელს შლის ივრის ქვემო წელში განვითარებული შუა საუკუნეების დასახლებათა ტიპოლოგიისა და მეურნეობის კუთხით კვლევაში.

**საკვანძო სიტყვები:** გარეჯის მონასტრები, ყაჯირის მთა, ივრისპირი, ნამოსახლარი, განვითარებული შუა საუკუნეები.

**Ketevan Digmelashvili**

Research Specialist
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0000-3329-9676
Ketisha80@gmail.com

## NEWLY DISCOVERED SETTLEMENT IN SATORGE

The report concerns a recently discovered settlement in the lower reaches of the Iori River, near Mount Kajiri, in the Satorge area. Covering approximately 30 hectares, the site includes terraced residential and economic structures, a water reservoir, a watchtower, and a rock-hewn domed church. Ceramic, metal and glass artifacts dating from the 9th to 13th centuries have been collected at the site, as well as slag and defective samples — indicating the presence of local production.

The dating of these artifacts corresponds with the artistic, architectural, and paleographic data of the domed church, suggesting that the church and the settlement existed contemporaneously.

The discovery of the Satorge settlement is particularly significant, as only one other settlement — Kvabebi — has previously been traced and partially studied on the Iori Plateau, in the mountainous region of Gareji. Kvabebi was located near the rock-hewn monastic complex of the same name, which raised numerous unanswered questions, primarily regarding the relationship between the cave complex and the adjacent settlement. Specifically, it remained unclear whether Kvabebi was a monastery with residential buildings or a secular rock-hewn village surrounded by other populated areas.

In this context, the newly discovered Satorge settlement may provide important clarifications and fresh insights into the nature and function of settlements in the region. At the same time, Satorge opens a new chapter in the study of the typology and economic structure of medieval settlements that developed in the lower reaches of the Iori River.

**Keywords:** Gareja Monasteries, Mount Qajiri, Ivirspiri, Settlement, High Middle Ages

**ალექსანდრე ცაგარელი**

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0002-6170-7328
alexander.tsagareli300@sps.tsu.edu.ge

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, მიიღო ახალი ნორმები და მოიხარა ევროპული ორიენტაციისკენ. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სოციალური სტრატიფიკაციის საკითხი მცირე კვლევის საგანი გახდა. პროექტის მიზანია, გამოიკვეთოს და აღწეროს საქართველოს სოციალური გარემოები, გამოყენებული იქნება EVS, ISSP და Eurobarometer-ის 1992 წლიდან დღემდე არსებული გამოკითხვის მონაცემები.

სოციალური გარემოები წარმოდგენილია, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული სოციალური ჯგუფები, რომლებიც ფორმირდება ცხოვრების წესით, კლასით, იდენტობითა და დამოკიდებულებებით. კვლევა გააანალიზებს ისეთ ცვლადებს, როგორებიცაა: პოლიტიკური ორიენტაცია, განათლება, შემოსავალი, ღირებულებითი სკალები, ცხოვრების კმაყოფილება და იდენტობის მარკერები, რისი შედარებაც მოხდება ევროპულ მონაცემებთან. მეთოდოლოგია მოიცავს სოციალური გარემოების კლასსა და ღირებულებებზე ორი ღერძის მიხედვით კლასტერიზაციასა და რუკირებას. კვლევა მიზნად ისახავს როგორც აკადემიურ ცოდნას, ისე პოლიტიკის დაგეგმვას შეუწყოს ხელი საქართველოს სოციალური სტრუქტურის ღრმა გაგებით.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური სტრატიფიკაცია, კლასის ანალიზი, გარდამავალი პერიოდი, სოციალური გარემო.

**Alexander Tsagareli**

P.h.D. Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0002-6170-7328
alexander.tsagareli300@sps.tsu.edu.ge

## SOCIAL STRATIFICATION OF GEORGIA IN THE PERIOD OF TRANSITION

Following the collapse of the Soviet Union, Georgian society underwent a profound transformation, adopting new norms and shifting toward a European orientation. Nevertheless, little research has examined the issue of social stratification in the country. This project seeks to identify and describe social milieus in Georgia, drawing on survey data from EVS, ISSP, and Eurobarometer spanning from 1992 to the present.

Social milieus are conceptualized as value-based social groups shaped by lifestyle, class, identity, and attitudes. The study will analyze variables such as political orientation, education, income, value scales, life satisfaction, and identity markers, framed in a comparative European perspective. The methodology involves clustering and mapping milieus along two axes—class and values. The research aims to contribute both to academic knowledge and to policy planning by providing a nuanced understanding of Georgia's social structure.

**Keywords:** Social Stratification, Class Analysis, Transition, Social Milieu

**მაია არველაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მეცნიერი თანამშრომელი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0001-2607-5620
maiko1@bk.ru

**ელისაბედი ზარდიაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მეცნიერი თანამშრომელი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0004-0016-9727
mukhti@inbox.ru

# საარქივო და საგაზეთო მასალები ნ. ბარათაშვილის თხზულებების პირველი სამეცნიერო გამოცემის შესახებ

კლასიკოსთა თხზულებების გამოცემაზე მუშაობისას არსებული ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების შესწავლა-დამუშავების პარალელურად დიდი ადგილი ეთმობა მწერლის დოკუმენტების, საბუთების, მოწმობების (მაგ.: ცნობები დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ) და სხვა საარქივო მასალების შესწავლას. ეს მასალები ნათელს ჰფენს მწერლის ბიოგრაფიის უცნობ დეტალებს, მის თანამედროვეებთან ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდებსა და სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ახლობლებისა თუ მკვლევრების, როგორც კლასიკოსის პიროვნებასთან, ასევე მის შემოქმედებასთან დამოკიდებულებას.

საარქივო თუ პერიოდულ გამოცემათა შესწავლით ირკვევა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის ირგვლივ ბიოგრაფიული საბუთების შექმნა მწერლის გარდაცვალებიდან გარკვეულ ხანს კიდევ გრძელდებოდა. ერთ-ერთი საყურადღებო მსგავს ინფორმაციებში პოეტის თხზულებათა გამოცემებთან დაკავშირებული მასალაა.

1895 წელს დაისტამბა ნ. ბარათაშვილის თხზულებების მეხუთე გამოცემა: *„ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები“* (რედაქტორები ექვთიმე თაყაიშვილი და დავით კარიჭაშვილი). აღნიშნული გამოცემისთვის მზადება ჯერ კიდევ 1893 წელს დაიწყო, მაშინ როდესაც პოეტის ნეშტი აზერბაიჯანიდან საქართველოში გადმოასვენეს. იმ დროის გაზეთებში

– *„დროება“*, *„თეატრი“*, *„ივერია“* – გარდა გადმოსვენებასთან დაკავშირებული ცნობებისა, ხშირად იბეჭდებოდა ამა თუ იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ცნობები ტატოს თხზულებების ირგვლივ, რაფიელ ერისთავის *„ნ. ბარათაშვილის ხუთი ნაპოვნი ლექსი“*, ილია ჭყონიას *„სამწიგნობარო შენიშვნა“*, ზაქარია ჭიჭინაძის *„წერილი რედაქციის მიმართ“*, *„ბარათაშვილის ლექსების რვეული“* და სხვ., სადაც ავტორები განიხილავენ პოეტის ავტოგრაფებს, მსჯელობენ ზოგიერთი ლექსის ავთენტურობაზე, ხელნაწერების წარმომავლობასა და წინა გამოცემებში დაშვებულ შეცდომებზე.

იმ ფაქტზე, რომ ბარათაშვილის თხზულებების კრებულის 1895 წელს გამოცემისთვის სერიოზული მზადება მიმდინარეობდა, მიუთითებს კიდევ რამდენიმე საბუთი, რომლებიც საქართველოს ისტორიულ არქივშია დაცული: ქშწკგ საზოგადოების გამგეობის საჯარო განცხადება ნ. ბარათაშვილის ნაწერების ამავე გამგეობისთვის მიწოდების შესახებ გამოსაცემად, პოეტის მემკვიდრეებისგან მიღებული განსაკუთრებული უფლება მისი ნაწერების გამოცემის თაობაზე, 1894 წლის 21 მარტით დათარიღებული დ. კარიჭაშვილის ხელმოწერილი თხოვნა იონა მეუნარგიასადმი, რომ მას გამგეობისთვის „დროებით“ გადაეცა მგოსნის ხელნაწერები და სხვ.

1895 წლის გამოცემა წინა გამოცემებისგან განსხვავდება იმით, რომ მასში თხზულებების გარდა შეტანილია ვრცელი განმარტებითი წერილი – *„ცნობები თ. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების შესახებ“*. წერილში განხილულია ხელნაწერთა სამი კრებული – ე.წ. ექვთიმე თაყაიშვილისა და ბარბარე ვეზირიშვილის ავტოგრაფული და ვალერიან გუნიას მიერ გადაწერილი რვეულები და აღნიშნულია, რომ ტექსტები ძირითადად დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის კრებულის ვარიანტების მიხედვით. გამოცემის მეცნიერულ ღირსებას კი ის ფაქტი განაპირობებს, რომ ვეზირიშვილისეულ ხელნაწერებში არსებული განსხვავებები რედაქტორებმა სქოლიოში გაიტანეს, ხოლო, რადგანაც ვ. გუნიას რვეული გამომცემლებმა გვიან მიიღეს, ტექსტური ნაირწაკითხვები წიგნის ბოლოში გაიტანეს. ეს გახლდათ პირველი ტექსტოლოგიური მიდგომა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემისას.

საგაზეთო და საარქივო ნუსხებზე დაყრდნობით, სავსებით თამამად შეიძლება ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით 1895 წელს გამოცემული წიგნი ნ. ბარათაშვილის თხზულებების პირველ სამეცნიერო გამოცემად ჩაითვალოს.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, საარქივო მასალები, პერიოდიკა, ნაირწაკითხვები, სამეცნიერო გამოცემა.

**Maia Arveladze**

Doctor of Philological Sciences
Research Fellow
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0001-2607-5620, 0009-0004-0016-9727
maiko1@bk.ru

**Elisabedi Zardiashvili**

Doctor of Philological Sciences
Research Fellow
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0004-0016-9727
mukhti@inbox.ru

## ARCHIVAL AND PRESS MATERIALS ON THE FIRST SCHOLARLY EDITION OF N. BARATASHVILI'S WORKS

In the process of preparing editions of classical authors' works, alongside the study and processing of manuscript and printed sources, significant attention is paid to the author's documents, certificates (e.g., birth and death records), and other archival materials. These sources shed light on previously unknown details of the author's biography, reveal interesting episodes of his interactions with contemporaries, and clarify how relatives and scholars approached both his personality and literary output during his lifetime and posthumously.

Research into archival and periodical publications shows that the creation of biographical documentation concerning Niko Baratashvili continued for some time after the author's death. One particularly noteworthy aspect concerns materials related to the preparation of his works for publication.

In 1895, the fifth edition of N. Baratashvili's works was published: *"Poems and Letters of N. Baratashvili"* (edited by Ekvtime Takaishvili and David Karichashvili). Preparation for this edition began as early as 1893, when the poet's remains were transferred from Azerbaijan to Georgia. Contemporary newspapers – *Droeba*, *Teatri*, *Iveria* – in addition to reports on the transfer, frequently published notices from various prominent figures and writers regarding Baratashvili's works: Rapiel Eristavi's *"Five Newly Found Poems of N. Baratashvili"*, Ilia Chkhonia's

*"Bibliographical Note"*, Zakaria Chichinadze's *"Letter to the Editorial Office"*, *"Notebook of Baratashvili's Poems"*, and others, where the authors discuss the poet's autographs, debate the authenticity of certain poems, examine manuscript provenance, and identify errors in previous editions.

The fact that serious preparation was underway for the 1895 edition is further evidenced by several documents preserved in the Georgian Historical Archive: a public statement by the board of the KShChKG Society regarding the provision of Baratashvili's works for publication, special permissions from the poet's heirs, and a letter dated March 21, 1894, signed by D. Karichashvili requesting Iona Meunargia to temporarily provide the society with the poet's manuscripts, among others.

The 1895 edition differs from previous ones in that it includes, in addition to the works themselves, an extensive explanatory note – *"Information on the Autographs of N. Baratashvili"*. This note discusses three manuscript collections: the so-called Ekvtime Takaishvili and Barbale Vezirishvili autograph collections, as well as notebooks transcribed by Valerian Guni. The texts were mainly printed according to variants from Takaishvili's collection. The scientific merit of the edition is enhanced by the editors' inclusion of differences found in the Vezirishvili manuscripts in scholia, while textual variants from Guni's notebook, received by the publishers later, were placed at the end of the book. This represented the first textual-critical approach to publishing N. Baratashvili's works.

Based on archival and press sources, it can be confidently stated that the 1895 edition, edited by Ekvtime Takaishvili and David Karichashvili, constitutes the first scholarly edition of N. Baratashvili's works.

**Keywords:** Niko Baratashvili, archival materials, periodicals, textual variants, scholarly edition

**ლევან გელაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი
მეცნიერი თანამშრომელი
შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0003-1592-5743
levancinema6@gmail.com

# პროლეტარული პოეზიის ავანგარდისტული ტენდენციები (1921–1929)

1921-1929 წლების ბოლშევიკური პოეზია ლიტერატურათმცოდნეობაში სიღრმისეულად არ არის შესწავლილი. პოეზიაში რეფლექსირებული პოლიტიკური და იდეოლოგიური დისკურსები ღრმა ინტერ-სემიოტიკური კვლევის საგანია. სოცრეალიზმის თეორიასა და საბჭოთა პერიოდში არსებულ საგარეო და საშინაო ლიტერატურულ პოლიტიკაზე წარმოდგენა გვექნება საბჭოთა პერიოდის ნათარგმნი და ორიგინალური გამოცემების მიხედვით, თუმცა უცნობია, როგორ აისახა ოციანი წლების გარემო ბოლშევიკურ პოეზიაში.

ნაშრომი განიხილავს კონკრეტულ ლიტერატურულ მექანიზმებსა და არტეფაქტებს, რომლებიც ქმნიან პოეზიის მხატვრულ შინაარსს, იკვლევს შიგთავსის მხატვრულ იდეოლოგიასა და სპეციფიკურ კანონზომიერებებს. არ არსებობს არც სოცრეალიზმის ტექსტუალური კრებული, რომელიც მკვლევრებს სიღრმისეული ანალიზის ჩატარების საშუალებას მისცემდა. ფართოდ გავრცელებულია სტერეოტიპული მოსაზრება, რომ ბოლშევიკური პოეზია მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის, გმირისა და ბელადებისადმი მიძღვნილი ლექსებით შემოიფარგლება.

ოციან წლებშიც, ავანგარდისტული ჯგუფების გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება პროლეტარული პოეზია იყო. პროლეტარები რამდენიმე გამოცემას ფლობდნენ და მანიფესტებთან, პროზაულ ტექსტებთან ერთად აქტიურად ქმნიდნენ ლექსებსაც. ავანგარდისტული ნამუშევრები გამოირჩეოდნენ კარლო კალაძეს (*ლექსი კინოსთვის*) და ალიო მაშაშვილს (მირცხულავა, კრებული *მერრეხი*) შორის, რომლებიც ამ „გადახრის“ გამო იმ დროის პრესამაც მოიყვანა მაგალითებად და აკრიტიკა.

ნაშრომში შესწავლილია პროლეტარული პოეზიის ავანგარდისტული ტენდენციები: კინოს ენა და თხრობის სტილი, არატრადიციული გამომსახველობითი ხერხები ლექსებში, მანიფესტებსა და თარგმანებში, და განხილულია მათი ურთიერთქმედება ოციანი წლების ლიტერატურულ პროცესებთან.

**საკვანძო სიტყვები:** პროლეტარული პოეზია, ქართული ავანგარდიზმი, ლიტერატურული ექსპერიმენტი, 1920-იანი წლები.

**Levan Gelashvili**

Doctor of Philology
Research Fellow
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Faculty of Humanities
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0003-1592-5743
levancinema6@gmail.com

## AVANT-GARDE TENDENCIES IN PROLETARIAN POETRY (1921-1929)

The Bolshevik poetry of 1921-1929 remains largely underexplored in literary scholarship. The political and ideological discourses reflected in this poetry constitute a rich field for in-depth intersemiotic analysis. While the theory of Socialist Realism and the broader Soviet literary policy—both domestic and foreign—are partially accessible through translated and original publications from the Soviet period, little is known about how the socio-political context of the 1920s was inscribed into Bolshevik poetic production.

This study examines the specific literary mechanisms and artifacts that shape the aesthetic content of the poetry, investigates the aesthetic dimensions of its ideological message, and identifies its formal patterns. There is no comprehensive textual edition of Socialist Realist poetry that would allow scholars to conduct detailed analysis. Prevailing perspectives often reduce Bolshevik poetry to revolutionary verses glorifying struggle, heroes, and leaders.

In 1920s Georgian literature, alongside avant-garde literary groups, proletarian poetry emerged as a strong and multifaceted current. Proletarian writers not only published manifestos and prose, but also actively produced poetry. Avant-garde works were particularly notable in the writings of Karlo Kaladze (*Poem for Cinema*) and Alio Mashashvili (Mirtskhulava, collection *Merrekhi*), which attracted attention—and criticism—from contemporary press for their stylistic deviation.

The study explores avant-garde tendencies in proletarian poetry, including cinematic narration and non-traditional expressive techniques across poems, manifestos, and translations, analyzing their interaction with broader literary developments of the 1920s.

**Keywords:** Proletarian Poetry, Georgian Avant-Garde, Literary Experimentation, 1920s

**მარიამ გველესიანი**

აკადემიური დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0007-2448-6243
mar.gvelesiani@ug.edu.ge

# ᲐᲡᲞᲐᲕᲠᲣᲙ ᲞᲘᲢᲘᲐᲮᲨᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲕᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲥᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲠᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ N1 ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘᲓᲐᲜ

1940 წელს მცხეთასთან, არმაზისხევში, გამოიკვლიეს აკლდამა, რომელიც, აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდის წარწერის („ასპავრუკ პიტიახში") მიხედვით, ასპავრუკ პიტიახშის სამარხად განისაზღვრა (სამარხი N1, ახ.წ. II-III სს.).

სამარხეულ ინვენტარში გამორჩეულია ასპავრუკ პიტიახშის სატევრის ქარქაშის გარსაკრავი, დამზადებული სქელი ოქროს ფურცლისგან. გარსაკრავი ქვემოთ ვიწროვდება, ზემოთ ორი ჰორიზონტალური შვერილია, ქვედა ნაწილშიც მსგავსი, მომრგვალებული შვერილები. ვერტიკალურ ღერძზე განთავსებულია ოქროს კვადრატული ბუდეები მწვანე მინის თვლებით. შვერილების კიდეები წითელი გრანატებითაა გამოხატული, ქვები ჩასმულია ტიხრული ინკრუსტაციით.

ძვირფასი ლითონის იარაღები მმართველი კლასის სამარხებში პარადულ-საცერემონიო და რიტუალური დანიშნულების იყო, სიმდიდრისა და მაღალი სოციალური სტატუსის ინსიგნიას წარმოადგენდა. მსგავსად, V ს. „ლამაზი გორის" ბარელიეფზე პიტიახშის ფიგურას სატევარი ხელში აქვს, რაც ადასტურებს მის რიტუალურ მნიშვნელობას.

ოთხშვერილიანი სატევრები ჩნდება ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, ფართოდ ვრცელდება ავღანეთში, დასავლეთ ციმბირსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში. მსგავსი გარსაკრავები ცნობილი იყო კომაგენაში, პართიასა და სხვა აზიური სამეფოების ქანდაკებებში, ასევე სარმატთა სამარხებში, როგორც ინსიგნიები და ცერემონიული ატრიბუტები. არმაზისხევის გარსაკრავი განსხვავდება სარმატულ „ოქრო-ფირუზის" სტილისგან: დეკორი მკაცრად თავშეკავებულია, ხაზს უსვამს გარსაკრავის მონოლითურ სიმტკიცესა და სტრუქტურას.

**საკვანძო სიტყვები:** არმაზისხევი, სატევარი, გარსაკრავი, ინსიგნია, ინკრუსტაცია.

**Mariam Gvelesiani**

Doctor of Philosophy
Senior Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0007-2448-6243
mar.gvelesiani@ug.edu.ge

## THE SCABBARD SHEATH OF ASPAVRUK THE PITIAKHSH'S SWORD FROM BURIAL NO. 1 AT ARMAZISKHEVI

In 1940, a tomb was excavated near Mtskheta, in Armaziskhevi, identified as the burial of Aspavruk the Pitiakhsh (Pers. Bidaxš – marcher lord) based on an inscription on a signet ring discovered there. The tomb (Burial No. 1, dated to the 2nd-3rd centuries AD) contained a rich inventory, with the quadrilobe scabbard sheath of a sword standing out.

The sheath, made from a thick gold sheet, narrows toward the bottom. At the top, it features two horizontally protruding lobes; similar, rounded lobes appear at the bottom. Along the vertical axis, square gold settings with green glass stones are placed. The lobes' edges are accented with red garnets, inlaid using the cloisonné technique.

Weapons of precious metal in elite burials served ceremonial and ritual functions, representing wealth and the owner's high social status. The 5th-century AD bas-relief from Lamazi Gora shows a pitiakhsh holding a sword and scabbard, confirming their ceremonial role.

Quadrilobe swords appear from the early 1st millennium BC and spread widely across Afghanistan, Western Siberia, and the Northern Black Sea. Similar scabbards are known from Commagene, Parthia, and nomadic Sarmatian burials, serving as ceremonial insignia. The Armaziskhevi scabbard differs from the Sarmatian "gold-turquoise" animal-style artifacts: its restrained decoration emphasizes vertical and horizontal axes, highlighting the monolithic strength of the sheath.

**Keywords:** Armaziskhevi, sword, sheath, insignia, incrustation

**ანდრო გოგოლაძე**

ისტორიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0009-9543-5608
a.gogoladze@ug.edu.ge

**თეა წითლანაძე**

ისტორიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
თსუ, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0009-9127-2987
tea.tsitlanadze@tsu.ge

# საქართველოს სამეფოს ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი ჯვაროსნული ლეგენდის ევოლუციაში

ჩვენი მოხსენების მიზანია, განვიხილოთ XII საუკუნის ჯვაროსნულ აღმოსავლეთში წარმოქმნილი მეფე-ხუცესის ცნობილი ლეგენდის ევოლუციის ეტაპები, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში მისი მესიანისტური ფიგურისა და მისი სამყაროს ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი შუა საუკუნეების საზოგადოების წარმოდგენებში.

იოანე პრესვიტერი, ევროპელთათვის აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანი მეფე-ხუცესი (მეფე-მღვდელი), რომლის ამბავი მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის წინ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში წმინდა მიწიდან, ჯვაროსნულ სამყაროს მხსნელად ევლინება. მისი უცნობი მესიანისტური სახე ცენტრალური ფიგურაა XII-XIII საუკუნეების ლეგენდარულ ისტორიებში, რომლებიც ევოლუციას განიცდიან ჯვაროსნული ომების კონტექსტში. XIII საუკუნიდან ეს როლი მის მემკვიდრე პროტოტიპს მეფე დავითს ეკუთვნის, რომლის სახელითაც დასავლეთში ახალი, აღმოსავლური მესია იგულისხმება.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ იოანე პრესვიტერისა და მეფე დავითის ლეგენდები არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების გადმოცემაა, არამედ მოლოდინების დამკვიდრების ინსტრუმენტია, რაც გავლენას ახდენდა იმ დროის დიპლომატიურ ურთიერთობებზე ჯვაროსნულ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამეფოებს შორის. აქცენტი გამახვილებულია საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ-პოლიტიკურ სინამდვილეზე, კერძოდ, დავით IV აღმაშენებლისა და გიორგი IV-ლაშას მმართველობაზე, და როგორ აისახებოდა საქართველოს სამეფოს მნიშვნელობა ჯვაროსნულ იდეალებში.

გარდა ტექსტუალურ წყაროებზე აქცენტის, განხილულია ვიზუალური მასალაც, კერძოდ, ევროპული რუკები და პორტოლანები XIII-XV საუკუნეების პერიოდში. ისინი მნიშვნელოვანია ლეგენდის წარმოშობის, საფუძვლებისა და ევოლუციის შესწავლისთვის, აჩვენებს, როგორ ხედავდნენ ქრისტიანულ დასავლეთში აღმოსავლეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათს, მათ შორის საქართველოს სამეფოს ადგილს.

**საკვანძო სიტყვები:** იოანე პრესვიტერი, მესიანიზმი, ჯვაროსნული ომები, საქართველო, პორტოლანები, რუკები.

**Andro Gogoladze**

Ph.D in History
Associate Professor
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0009-9543-5608
a.gogoladze@ug.edu.ge

**Tea Tsitlanadze**

Ph.D in History
Associate Professor
TSU, Institute of World History
ORCID: 0009-0009-9127-2987
tea.tsitlanadze@tsu.ge

## THE HISTORICAL-GEOGRAPHICAL IMAGE OF THE KINGDOM OF GEORGIA IN THE EVOLUTION OF THE CRUSADER LEGEND

This paper aims to examine the stages in the evolution of the famous legend of the king-priest in the Crusader East of the 12th century, focusing on how the messianic figure and the historical-geographical image of his realm evolved over time in the perceptions of medieval society.

John the Presbyter, known to Europeans as a Christian king-priest in the East, whose story spread from the Holy Land to Western Europe before the Second Crusade, was regarded as a savior of the Crusader world. His unknown messianic aspect is a central figure in 12th-13th-

century legendary histories that evolved in the context of the Crusades. From the 13th century, this role shifted to his successor, King David, under whose name a new Eastern messiah was recognized in the West.

The presentation emphasizes that the legends of John the Presbyter and King David are not merely historical narratives but instruments for consolidating expectations, influencing diplomatic relations between the Crusader East and Eastern Christian kingdoms. The focus is on the historical-political reality of the Georgian state, particularly the reigns of David IV the Builder and George IV Lasha, and how the Kingdom of Georgia's significance was reflected in the Crusader imagination.

In addition to textual sources, the study examines visual materials, particularly European maps and portolans of the 13th-15th centuries. These sources are crucial for studying the legend's origins, foundations, and evolution, revealing how the Christian West perceived the historical-geographical landscape of the East, including the place of the Georgian kingdom.

**Keywords:** John the Presbyter, messianism, Crusades, Georgia, portolans, maps

**შალვა დუნდუა**

პროფესორი
განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0002-0939-6761
sha.dundua@ug.edu.ge

# ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ

თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, ფორმატიული შეფასება კი გადამწყვეტ როლს ასრულებს საუნივერსიტეტო სწავლების გარდაქმნაში, რადგან ის ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ შედეგების შეჯამებაზე, არამედ უწყვეტ სწავლებასა და გაუმჯობესებაზე. ტრადიციული შეფასებებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ სწავლების საბოლოო შედეგებს ზომავენ, ფორმატული შეფასება აქცენტს აკეთებს სწავლის უწყვეტ პროცესზე, რაც მოიცავს უკუკავშირს, თვითრეფლექსიასა და ინსტრუქციული მიდგომების ადაპტაციას სტუდენტების რეალურ საჭიროებებთან მიმართებაში. უმაღლეს განათლებაში, სადაც სტუდენტთა მრავალფეროვნება, ავტონომია და კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვან ფასეულობად მიიჩნევა, ფორმატული შეფასება იქცევა გარდაქმნის ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას, სწავლის მოტივაციის ზრდასა და თვითრეგულირებად სწავლებას. მოცემული სტატია იკვლევს იმას, თუ როგორ ცვლის ფორმატული შეფასება საუნივერსიტეტო აუდიტორიებში სწავლების დინამიკას — როგორ აძლევს იგი მასწავლებლებს საშუალებას, რეალურ დროში უპასუხონ სტუდენტთა საჭიროებებს, განავითარონ მათი მეტაკოგნიტური უნარები და შექმნან უფრო ინკლუზიური და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სტატიაში დეტალურად განვიხილავთ შეფასების ისეთ სტრატეგიებს, როგორებიცაა: თანატოლთა შეფასება, სავარჯიშო ტესტები, ჯგუფური ურთიერთმოქმედების აქტივობები (იფიქრე-დაწყვილდი-გაუზიარე) და უკუკავშირის ყულუფი — მათი ზეგავლენის გათვალისწინებით როგორც სწავლის შედეგებზე, ისე სწავლების ეფექტიანობაზე. ასევე აღწერილია ციფრული ტექნოლოგიებისა და სასწავლო ანალიტიკის ინტეგრაციის მნიშვნელობა, რაც აფართოებს ფორმატული შეფასების შესაძლებლობებს და ზრდის მის ხელმისაწვდომობას პერსონალიზებული და დროული უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვეხებით არსებულ გამოწვევებსაც — როგორიცაა: აკადემიური პერსონალის მზაობა, შეფასების წიგნიერება და ინსტიტუციური მხარდაჭერა — და მივანიშნებთ სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე, რათა ფორმატული შეფასების პრაქტიკა მყარად ინტეგრირდეს საუნივერსიტეტო პროგრამებში. დასასრულს, ვცდილობთ დავასაბუთოთ, რომ როდესაც შეფასება აღიქმება არა მხოლოდ როგორც სწავლების შედეგების გაზომვის მექანიზმი, არამედ როგორც სწავლის ხელშეწყობის ინსტრუმენტი, ის აძლიერებს როგორც

მასწავლებლებს, ისე სტუდენტებს და ქმნის ღრმა, რეფლექსური სწავლის გამოცდილების პირობებს სასწავლო პროცესში. კარგად გააზრებული და ორგანიზებული ფორმატული შეფასება მნიშვნელოვნად ზრდის საუნივერსიტეტო სწავლების ხარისხს და ხელს უწყობს უწყვეტი განვითარების კულტურის ჩამოყალიბებას უმაღლეს განათლებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ფორმატული შეფასება, მეტაკოგნიცია, სტუდენტთა ჩართულობა, მოტივაცია, თვითრეგულირებადი სწავლა, უწყვეტი განვითარების კულტურა.

**Shalva Dundua**

Professor
Head of the Department of Educational Sciences
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0002-0939-6761
sha.dundua@ug.edu.ge

## THE TRANSFORMATIVE ROLE OF FORMATIVE ASSESSMENT IN THE PROCESS OF UNIVERSITY TEACHING

At the present stage, higher education is undergoing significant transformation, with formative assessment playing a decisive role in reshaping university teaching. Unlike traditional assessments, which primarily measure final learning outcomes, formative assessment focuses on continuous learning and improvement. It emphasizes not only the summative dimension but also ongoing feedback, self-reflection, and the adaptation of instructional approaches to students' actual needs.

In higher education—where diversity, autonomy, and critical thinking are recognized as key values—formative assessment becomes a tool of transformation. It enhances student engagement, strengthens motivation to learn, and promotes self-regulated learning. This article explores how formative assessment changes the dynamics of university classrooms: how it enables instructors to respond in real time to students' needs, develop their metacognitive skills, and foster a more inclusive, student-centered learning environment.

The article discusses in detail such strategies as peer assessment, practice tests, group interaction activities (e.g., “think-pair-share”), and the feedback loop, analyzing their impact on both learning outcomes and teaching effectiveness. Special attention is given to the integration of digital technologies and learning analytics, which broaden the potential of formative

assessment and enhance its accessibility by providing personalized and timely feedback.

We also address existing challenges, including faculty readiness, assessment literacy, and institutional support, and highlight the need for systemic changes to ensure the solid integration of formative assessment practices into university programs.

In conclusion, we argue that when assessment is perceived not merely as a mechanism for measuring outcomes but as a tool for supporting learning, it empowers both teachers and students and fosters conditions for deep, reflective learning experiences. A well-designed and well-organized formative assessment significantly improves the quality of university teaching and contributes to the development of a culture of continuous improvement in higher education.

**Keywords:** formative assessment, metacognition, student engagement, motivation, self-regulated learning, culture of continuous improvement.

**ლალი ზაქარაძე**

პროფესორი, კავკასიური ფილოსოფიის განყოფილების გამგე
ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
ngu.lzakaradze@gmail.com

# კავკასიური ფილოსოფია, როგორც ინტერკულტურული ფილოსოფიის ახალი პარადიგმა

მოხსენებაში განხილული იქნება კავკასიური ფილოსოფია, როგორც ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ახალი ცნება/კატეგორია, მისი წარმოშობის საწყისები და ისტორია. ეს ცნება არსებითად ეფუძნება კავკასიელ ხალხთა, უწინარეს ყოვლისა, ქართულ-სომხურ ფილოსოფიურ აზროვნებას შუა საუკუნეებში, ახალ დროსა და XX საუკუნეში, რომელიც მეტწილად გვიანანტიკური და ბიზანტიური ფილოსოფიური მოძღვრებების საფუძველზე ჩამოყალიბდა. სხვადასხვა სააზროვნო მოდელების (პლატონური, არისტოტელური, ნეოპლატონური, სქოლასტიკური, ჰუმანისტური და სხვ.) თანაარსებობა, რეაქტუალიზება და დიალოგი, ერთი მხრივ, ადგილობრივ ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციების ფორმირებას უწყობდა ხელს და ამავრდროულად ინტელექტუალური ურთიერთგავლენების შედეგად ქმნიდა ფილოსოფიურ ენას, რომელიც ნოვატორული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას ქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ „კავკასიური ფილოსოფია", როგორც ფილოსოფიის ისტორიის ერთ-ერთი მიმართულება, XXI საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში პროფ. თ. ირემაძის კვლევებში იქნა გამოკვეთილი და ხაზგასმული, ის ინტერკულტურული ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარადიგმადაც გვესახება, რადგან მისი მეშვეობით დღის შუქზე გამოდის ერთ-ერთი თვითმყოფადი სააზროვნო ტრადიცია, რომლის საწყისების წარმოჩენა პირდაპირაა დაკავშირებული ინტერკულტურული აზროვნების საფუძველმდებარე პრობლემებთან. კავკასიური ფილოსოფიის კონცეპტუალიზაციის მიზანია, რომ წარმოაჩინოს ამ რეგიონში არსებული სააზროვნო მრავალფეროვნების შინაგანი ერთიანობა, საკუთრივი თავისებურებებისა და სპეციფიკის დიალექტიკური ურთიერთკავშირით. მოხსენებაში სწორედ ამ კუთხით იქნება წარმოდგენილი კავკასიური ფილოსოფიის მთავარი საკითხები, პრობლემები და პერსპექტივები. ასევე საგანგებო ყურადღება მიექცევა დიდი კავკასიელი მოაზროვნეების რეცეფციას ევროპულ აზროვნებაში, კერძოდ, იმ გამოკვლევებსა და ნაშრომებს, რომლებიც კავკასიური ფილოსოფიის რეცეფციისა და ტრანსფორმაციის ისტორიასა და პრობლემებს ეხება.

**საკვანძო სიტყვები:** კავკასიური ფილოსოფია, ინტერკულტურული ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორიის ახალი კატეგორია, საერთო კავკასიური ცნობიერება, კულტურის და აზროვნების ღიაობა, ქართულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობები.

**Lali Zakaradze**

Professor, Head of the Department of Caucasian Philosophy
New Georgian University, Research Archive of Caucasian Philosophy and Theology / Shota Rustaveli State University of Batumi
Batumi, Georgia
ngu.lzakaradze@gmail.com

## CAUCASIAN PHILOSOPHY AS A NEW PARADIGM OF INTERCULTURAL PHILOSOPHY

This presentation will discuss Caucasian philosophy as a new concept/category within philosophical historiography, its origins, and historical development. The concept is fundamentally rooted in the philosophical thought of the peoples of the Caucasus—primarily Georgian and Armenian—during the Middle Ages, the early modern period, and the 20th century. This tradition largely formed on the basis of Late Antique and Byzantine philosophical doctrines. The coexistence, re-actualization, and dialogue among various modes of thought—Platonic, Aristotelian, Neoplatonic, Scholastic, Humanist, and others—contributed, on the one hand, to the formation of local philosophical traditions and, at the same time, through intellectual interactions, fostered the creation of a philosophical language that enabled innovative interpretations.

Although the notion of "Caucasian philosophy" as a distinct strand in the history of philosophy was identified and emphasized in the 21st-century Georgian philosophical scholarship of Prof. Tengiz Iremadze, it also presents itself as an important paradigm of intercultural philosophy. Through this concept, a unique intellectual tradition is brought to light—one whose origins are directly linked to foundational problems of intercultural thinking. The aim of conceptualizing Caucasian philosophy is to reveal the internal unity of intellectual diversity in the region, through the dialectical interrelation of its unique characteristics and specificities.

The presentation will examine the key issues, problems, and prospects of Caucasian philosophy from this perspective. Special attention will also be paid to the reception of major Caucasian thinkers in European intellectual contexts, focusing in particular on studies and works that address the history and challenges of the reception and transformation of Caucasian philosophy.

**Keywords:** Caucasian philosophy; Intercultural philosophy; A new category in the history of philosophy; Pan-Caucasian consciousness; Openness of culture and thought; Georgian-Armenian philosophical relations.

**გიორგი თურაზაშვილი**

დოქტორანტი, კომერციული ფინანსური სპეციალისტი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0004-0180-0824
giorgiturazashvili@gmail.com

# "ეკონომიკური ტრანსფორმაცია კავკასიაში – საქართველოს როლი რეგიონალურ და გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე"

კავკასიის რეგიონი ისტორიულად წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო და სტრატეგიულ გზაჯვარედინს, თუმცა მრავალი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური ბლოკადა ხელს უშლიდა მისი სრული ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას. საბჭოთა ეპოქის მემკვიდრეობამ და შემდგომმა პოლიტიკურმა რღვევებმა 1990-იანი წლებიდან დღემდე ძლიერი გავლენა იქონია რეგიონის ეკონომიკურ სტრუქტურებზე. ამასთან საქართველოს შემთხვევაში საბჭოთა სისტემიდან დამოუკიდებელ ბაზარზე გადასვლამ მრავალი სირთულე და რეფორმების საჭიროება წარმოშვა. რომელიც დღემდე აქტუალირი და მნიშვნელოვანია.

დღევანდელ ეტაპზე საქართველო მიუხედავად უამრავი გამოწვევისა თუ პრობლემისა, აღიქმება, როგორც ეკონომიკურად ლიბერალური, საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყანა, რომელიც ცდილობს შექმნას ფინანსური ჰაბი შავი ზღვის აუზში. ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ფისკალური პოლიტიკა და სტაბილური საბანკო სექტორი განაპირობებს მის მზარდ და მნიშვნელოვან როლს როგორც რეგიონულ ბაზრებზე, ისე საერთაშორისო ფინანსურ სისტემასა და ქსელებში.

მოცემულ ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს როლი კავკასიის ეკონომიკურ ტრანსფორმაციაში წარსულიდან დღემდე. განხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც საქართველომ შეძლო გამოსვლა კრიზისიდან და დაიწყო ინტეგრაცია რეგიონულ და გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2000-იანი წლების სტრუქტურულ რეფორმებს, მათ შორის ფინანსური სექტორის გაძლიერებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, საბანკო სისტემის მოდერნიზაციასა და საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების გაფორმებას.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მონაწილეობას რეგიონალურ ეკონომიკურ პლატფორმებში და მის მცდელობებს, გააღრმავოს კავშირები ევროკავშირთან, აზიის განვითარებად და განვითარებულ ეკონომიკებთან და გლობალურ საინვესტიციო ბაზრებთან.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, ნაშრომი ასახავს საქართველოს წინაშე არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. მასში განხილულია ის საკითხები, რომლებიც აუცილებელია საქართველოში ფინანასური ბაზრების განვითარებისათვის. ქვეყანა სა-

ჭიროებს ეკონომიკური დივერსიფიკაციის გაღრმავებას, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას, მის ინტეგრაციას და შრომითი რესურსების პროდუქტიულობის ზრდას და გამოყენებას, რათა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი და გახდეს წამყვანი რგოლი, როგორც რეგიონალურ ისე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. სტატიაში მოცემულია გეოპოლიტიკური რისკების, ასევე ენერგეტიკულ და სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების მნიშვნელობა, რაც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე.

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს წარსული გამოცდილება, მიღწევები და მომავლის სტრატეგიული დაგეგმვა განსაზღვრავს მის რეალურ შესაძლებლობებს, რათა გახდეს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ცენტრი კავკასიაში და მისი გავლენა გაძლიერდეს როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ტრანსფორმაცია, სამრეწველო და ფინანსური სექტორი, სტრუქტურული რეფორმები, რეგიონული და გლობალური ბაზრები, გეოპოლიტიკური რისკები.

**Giorgi Turazashvili**

PhD Candidate, Commercial Financial Specialist
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0004-0180-0824
giorgiturazashvili@gmail.com

## "ECONOMIC TRANSFORMATION IN THE CAUCASUS – GEORGIA'S ROLE IN REGIONAL AND GLOBAL FINANCIAL MARKETS"

Historically, the Caucasus region has constituted a critical nexus of trade routes and strategic interests; nevertheless, for centuries, persistent political instability and economic isolation have impeded the full realization of its economic potential. The legacy of the Soviet system, coupled with the political disintegration that followed in the post-1990s era, has profoundly shaped the region's economic structures. In the case of Georgia, the transition from a centrally planned economy to a market-based system introduced substantial challenges, necessitating deep structural adjustments and comprehensive reforms – a process that continues to be of critical relevance and urgency today.

At the present stage, despite numerous challenges and obstacles, Georgia is perceived as an

economically liberal and investment-attractive country, striving to establish itself as a financial hub within the Black Sea region. The country's macroeconomic indicators, fiscal policies, and a stable banking sector contribute to its growing and increasingly significant role in both regional markets and the broader international financial system and networks.

The present research conducts a comprehensive analysis of Georgia's role in the economic transformation of the Caucasus region from a historical perspective to the contemporary era. It does systematically explores the fundamental drivers that enabled Georgia to overcome economic crises and progressively integrate into regional and global financial markets. Special focus is placed on the structural reforms undertaken during the 2000s, notably the strengthening of the financial sector, the enhancement of the business climate, the modernization of the banking system, and the negotiation and signing of international trade agreements.

The study makes particular emphasis on Georgia's participation in multilateral economic platforms and its efforts to deepen ties with the European Union, emerging and developed economies of Asia, and global investment markets.

Regarding future prospects, the study highlights both the opportunities and challenges facing Georgia. It examines the critical areas necessary for the development of the country's financial markets, emphasizing the need for deeper economic diversification, the integration of technological innovations, and the enhancement and effective utilization of labor productivity. These measures are essential for Georgia to maintain its competitiveness and to secure a significant and leading position within the global economic system. The paper also underscores the importance of addressing geopolitical risks, as well as challenges related to energy security and state stability, all of which exert a considerable influence on the country's future economic development.

In conclusion, Georgia's historical trajectory, contemporary accomplishments, and forward-looking strategic planning collectively pave the way for the country to position itself as a leading economic center in the Caucasus region and to expand its influence within both regional and global financial markets.

**Keywords:** Economic Transformation, Financial and Banking Sector, Structural Reforms, Regional and Global Markets, Geopolitical Risks.

**ეკატერინე კობახიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID: 0000-0003-2713-4554
Ekaterine.kobakhidze@tsu.ge

## LAPSUS CALAMI — გადამწერის შეცდომა „ქართლის ცხოვრებაში“

მოხსენება მიზნად ისახავს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ანონიმი ავტორის, ჟამთააღმწერლის თხზულების „ასწლოვანი ქრონიკის“ ერთი მონაკვეთის ანალიზს, სადაც, ჩემი აზრით, გადამწერის შეცდომა იძებნება.

როგორც ცნობილია, ეს თხზულება აღწერს საქართველოს ისტორიას XIII საუკუნის 10-იანი წლებიდან XIV საუკუნის 10-იან წლებამდე. მოცემული ქრონოლოგიური პერიოდის გათვალისწინებით, ნაშრომი ეხება მონღოლთა ბატონობას საქართველოში, დეტალურად განიხილავს დავით ულუსა და დავით ნარინის მეფობის პერიოდს, ასევე ქვეყნის დაშლისა და დაქვეითების ტრაგიკულ ისტორიას.

ქვეთავის „მესამეოცდახუთე მეფე ქართლისა დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატოანი“ ერთ-ერთ მონაკვეთში ნახსენებია, სავარაუდოდ ჰერეთის ერისთავი სამადავლა, რომელიც, როგორც ეს თხზულებიდან ირკვევა, მხარს უჭერს დავით მეფის გამოცხადებას ყაზან ყაენთან. მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს XIII საუკუნის ამ დიდებულის სამხედრო ღირსებებს: „ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამჴედროთა ზნითა შემკობილი და მსგავსი მოსომახოსა ებრაელისა, გინა ნეოპტოლემეოს პიღასი რჩეულისა, სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა“. ს. ყაუხჩიშვილი და თ. ყაუხჩიშვილი სხვადასხვა დროს ეცადნენ, გაერკვიათ ამ სიტყვის მნიშვნელობა, რათა სრულყოფილად განემარტათ მთლიანი ფრაზის შინაარსი, თუმცა, სამწუხაროდ, საბოლოო დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ამავე მიზეზით სიტყვა უთარგმნელადაა გადმოღებული როგორც რუსულ, ასევე ინგლისურ თარგმანებში. ჩემი ინტერპრეტაცია ხსნის ამ „ბუნდოვან“ სიტყვას და ამასთანავე ხსნის დაშვებული შეცდომის მიზეზს.

**საკვანძო სიტყვები:** ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი ქრონიკა, პიღასი.

**Ekaterine Kobakhidze**

Doctor of Philological Sciences
Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: 0000-0003-2713-4554
Ekaterine.kobakhidze@tsu.ge

## LAPSUS CALAMI – SCRIBE'S MISTAKE IN THE GEORGIAN MEDIEVAL CHRONICLES THE LIFE OF KARTLI

The paper aims to analyze one passage from The Chronicle of a Hundred Years from the Georgian medieval chronicle The Life of Kartli, where, according my opinion, a copyist's error can be found. As is known, this work describes the history of Georgia from the 10-s of the 13th century to the 10-s of the 14th century. Given the chronological period depicted in it, the work talks about the Mongol rule in Georgia, details the history of the reign of David Ulu and David Narin, as well as the tragic history of the decline and fragmentation of the country.

One of the sections of the subchapter "David, the sixty-fifth king of Kartli, son of King Dimitri, Bagrationi", mentions Samadavla, presumably the eristavi (head of the feudal lord) of Hereti, who, as can be seen from the text, supports the idea that King David had to introduce himself to the Ghazan Khan. The author particularly notes the military merits of this 13th-century nobleman: ""Eristavi Samadavlas [...], reminiscent of the Jew Mosimachus or the outstanding Neoptolemus Pighas, the celebrated general of the Myrmidons."" Several scholars (S.Kaukhchishvili, T.Kaukhchishvili) have tried to interpret and translate the word ""Pighas"" to understand the full meaning of this phrase, but, unfortunately, they have not come to a final conclusion. For this reason, this word is left untranslated in the texts of the Russian and English translations. My interpretation clarifies the ""obscure"" word and reveals the reason for the copyist's error.

**Keywords:** Chronicler, The Chronicle of a Hundred Years, Pighas.

**მანუჩარ გუნცაძე**

დოქტორანტი, ლექტორი
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0003-2954-8221
mguntsadze@cu.edu.ge

# ალექსანდრე ლომთათიძის არქივი და მისი მემუარების სპეციფიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის, ალექსანდრე ლომთათიძის, პირადი საარქივო მასალა დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი. აღნიშნული არქივი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თუმცა მისი სამეცნიერო დამუშავება თითქმის არ მომხდარა.

არქივი მოიცავს ვიზუალურ და ტექსტურ მასალას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლომთათიძის მოგონებებს, რომლებიც თავდაპირველად გამოცემისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა დღემდე პუბლიკაცია არ მომხდარა. ჩემი კვლევის მიზანია არქივის მნიშვნელოვანი მასალის გამოკვლევა და აღნიშნული მოგონებების გამოცემა.

მოგონებების სპეციფიკა მოიცავს საარქივო ერთეულის დამუშავების სტანდარტებს და ისტორიული ფაქტების გაშუქებას. საინტერესოა, რომ მიუხედავად ალექსანდრე ლომთათიძის პოლიტიკური როლისა, მისი ჩანაწერები უმეტესად არ ეხება პოლიტიკას. ისინი აღწერენ ყოველდღიურობას, შეხედულებებსა და ამბებს, რაც მათ ისტორიაში უნიკალურ წყაროდ აქცევს.

**საკვანძო სიტყვები:** ალექსანდრე ლომთათიძე, არქივის დამუშავება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მემუარები, ისტორიული წყაროები.

**Manuchar Guntsadze**

Doctoral Candidate, Lecturer
Caucasus University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0003-2954-8221
mguntsadze@cu.edu.ge

## ALEXANDER LOMTATIDZE'S ARCHIVE AND THE SPECIFICS OF HIS MEMOIRS

The personal archival materials of Alexander Lomtatidze, a member of the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia, remain largely understudied. The archive is preserved at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts, yet scholarly processing has been minimal.

The archive includes both visual and textual materials. Of particular significance are Lomtatidze's memoirs, originally intended for publication, which have not yet been published. The aim of this research is to study these important materials and prepare the memoirs for publication.

The specific nature of the memoirs reflects archival processing standards and provides insights into historical events. Interestingly, despite Lomtatidze's political role, the records largely avoid political matters. They focus on everyday life, personal views, and anecdotes, making them a unique source for historical study.

**Keywords:** Alexander Lomtatidze, archival processing, Democratic Republic of Georgia, memoirs, historical sources

**შოთა თვალაძე**

დოქტორანტი
მეცნიერი თანამშრომელი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0007-0650-1307
shota.tvaladze@ug.edu.ge

# მგალობლისძიესეულ ნუსხაში აღწერილი ქართლის მეფეთა დინასტიების მონაცვლეობა ფარნავაზიდან მირიან მეფემდე

მგალობლისძიესეული ნუსხა წარმოადგენს უნიკალურ ხელნაწერს ძველი ქართველი მეფეთა დინასტიების შესწავლისათვის. ნუსხა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სააღრიცხვო ნომრით № Q-1219 და გადაწერილია 1697 წელს იოსებ მგალობლისძის მიერ. მისი სახელწოდება ისტორიოგრაფიაში არ არის დამკვიდრებული, თუმცა ხშირად აღნიშნავენ როგორც „1697 წ-ის ნუსხა“. ძველი ქართველთა ცხოვრების ხელნაწერთა შორის ერთადერთი ნუსხაა, რომელიც შესრულებულია ნუსხახუცურით, გარდა ანდერძ-მინაწერებისა, რომელიც მხედრულადაა შესრულებული.

ხელნაწერი დღევანდელი სახით შეიცავს 201 ფურცელს (402 გვერდი). თითოეული რვეული შედგება რვა ფურცლისგან (16 გვერდი), ხოლო რვეულის ნომრები და პირველი ფურცელი დანომრილია მრგვლოვანი ასოებით, დანარჩენი ფურცლების ნომრები ნუსხახუცურით. ტექსტი თავის დროზე, როგორც ჩანს, თავებად იყო დაყოფილი, რაც ჩანს სათაურებიდან (მაგ. გვ.10r „თავი მეოთხე, ქართლისა შესლვაჲ სპ(ა)რსთა და მეფობა მირიანისი“).

წინამდებარე კვლევის მიზანია დეტალურად განხილვა ქართლის მეფეთა დინასტიის მონაცვლებისა ფარნავაზიდან მირიანამდე და მათი თავებად გამოყოფის საკითხი მგალობლისძიესეულ ნუსხაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართლის ცხოვრება, მგალობლისძიესეული ნუსხა, ქართლის მეფეთა დინასტია, მცხეთური რედაქცია.

**Shota Tvaladze**

Doctoral Candidate
Researcher
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0007-0650-1307
shota.tvaladze@ug.edu.ge

## THE SUCCESSION OF THE KINGS OF KARTLI IN THE MEGALOBLISDZE MANUSCRIPT FROM PHARNAVAZ TO MIRIAN

The Megaloblisdze Manuscript represents a unique source for the study of the dynastic succession of the kings of Kartli. The manuscript is preserved at the National Centre of Manuscripts (inventory № Q-1219) and was copied in 1697 by Ioseb Megaloblisdze. It is often referred to in scholarship as the "1697 Manuscript," although it has no established historiographical name. This manuscript is unique among old Georgian chronicles as it is entirely written in Nuskhakhutsuri script, except for the testamentary notes, which are in Asomtavruli.

The manuscript consists of 201 sheets (402 pages). Each quire contains eight sheets (16 pages), with quire numbers and the first sheet numbered in round letters, and the remaining pages in Nuskhakhutsuri script. The text was apparently divided into chapters, as indicated by titles (e.g., fol. 10r: "Chapter Four, the Governance of Kartli by the Spars and the Reign of Mirian").

The present study aims to analyze the succession of the kings of Kartli from Pharnavaz to Mirian and the division into chapters as presented in the Megaloblisdze Manuscript.

**Keywords:** Kartlis Tskhovreba, Megaloblisdze Manuscript, Dynasties of the Kings of Kartli, Mtskheta recension

**ირინა გოგონაია**

დოქტორი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-6540-2161
irinagogonaia@manuscript.ge

**ლელა შათირიშვილი**

დოქტორი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-7846-2630
Helensha30@yahoo.com

# ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ კოლექციაში (H ფონდი) დაცული რამდენიმე ხელნაწერის შესახებ

მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1907 წელს, შეიქმნა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის დაარსების მიზანს წარმოადგენდა ისტორიულ, არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ლიტერატურულ და ეთნოგრაფიულ ნიმუშებთან ერთად ხელნაწერების მოძიება, შეგროვება და შესწავლა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ კოლექციაში (H ფონდი) დაცულია რამდენიმე ხელნაწერი H 293, H 414, H 916, H 2156, H 2217, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ეპოქაში გადაწერილ კრებულებს, მათში ძირითადად სამედიცინო, ვეტერინარული და საბუნებისმეტყველო შინაარსის მასალაა თავმოყრილი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი H 293 წარმოადგენს კულინარიული შინაარსის თხზულებას, რომლის დარგობრივი ატრიბუცია კვლევის პროცესში გაფართოვდა. კულინარიული რეცეპტები აღმოჩნდა საინტერესო ქიმიურ-პრაქტიკული ცოდნის თვალსაზრისით, ვინაიდან მათში მოცემულია სპირტიანი ტკბილი სასმელების – ლიქიორებისა და რატაფიების – დაყენების/მომზადების ტექნოლოგია. ასევე კვლევის პროცესში დადგინდა აღნიშნული ხელნაწერის – H 293 – პირველწყარო, კერძოდ, ბაგრატ ბატონიშვილის (1776-1841), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილის, კულინარიული წიგნი „წიგნი ესე საუკეთესოთა სანოვაგეთა, შაქარლამათა, და სასმელთა შესამზადებელი“, რომელიც გამოიცა პეტერბურგში 1818 წელს.

თემატური კრებულები H 916, H 2156, H 2217 მოიცავს ინფორმაციას ინფექციური დაავადებების (ყვავილი) შესახებ, ავადმყოფის ძველ საქართველოში მიღებულ მკურნალობის მეთოდოლოგიას, ვეტერინარულ ცოდნას.

ამასთან თუ H 293, H 916, H 2156, H 2217 კრებულები თემატურია, H 414 კრებული შერეულია და ვეტერინარულ ცოდნასთან ერთად მოიცავს ხალხური მკურნალობის ხერხებს, ასევე საკითხავებს კურთხევანიდან.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ხეც (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) H ფონდი, ხელნაწერი, კულინარიული თხზულება, ლიქიორი, რატაფია, ბაგრატ ბატონიშვილი, თემატური კრებულები, ქიმიის ისტორია, ვეტერინარიის ისტორია.

**Irina Gogonaia**

PhD
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-6540-2161
irinagogonaia@manuscript.ge

**Lela Shatirishvili**

PhD
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-7846-2630
Helensha30@yahoo.com

## ABOUT SEVERAL MANUSCRIPTS PRESERVED IN THE FORMER COLLECTION OF THE HISTORICAL–ETHNOGRAPHIC SOCIETY OF THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS (H FUND)

At the beginning of the 20th century, in 1907, a Historical-Ethnographic Society was established in Georgia, the purpose of which was to search, collect and study manuscripts, along with historical, archaeological, anthropological, literary and ethnographic samples.

The former collection of the Historical-Ethnographic Society of the National Centre of Manuscripts (H Fund) contains several manuscripts: H 293, H 414, H 916, H 2156, H 2217, which represent collections copied in different eras, mainly containing medical, veterinary, and natural science material.

It is worth noting that the manuscript H 293 is a culinary work, the field attribution of which was expanded during the research process. The culinary recipes turned out to be interesting from the point of view of chemical-practical knowledge, since they provide the technology for making/preparing alcoholic sweet drinks – liqueurs and ratafia. Also, during the research process, the primary source of the mentioned manuscript – H 293 – was identified, namely, the culinary book "Book of the Best Recipes for Making Sweets, Sugars, and Beverages" that was published in St. Petersburg in 1818 by Bagrat Batonishvili (1776-1841), the son of the last king of Kartli-Kakheti, Giorgi XII.

Thematic collections H 916, H 2156, H 2217 include information about infectious diseases (smallpox), the methodology of treating the sick in ancient Georgia, and veterinary knowledge.

In addition, if the collections H 293, H 916, H 2156, H 2217 are thematic, the collection H 414 is mixed and, along with veterinary knowledge, includes folk treatment methods, as well as readings from the euchologion.

**Keywords:** Georgian Historical-Ethnographic Society, NCM (National Centre of Manuscripts) H Fund, manuscript, a culinary work, liqueur, ratafia, Bagrat Batonishvili, thematic collections, History of chemistry, History of veterinary"

**ბექა კაციტაძე**

მოწვეული ლექტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0007-0191-6108
beka.katsitadze.1@iliauni.edu.ge

# ხელოვნური ინტელექტის დანერგვის დადებითი და უარყოფითი გამოვლინებები დემოკრატიული მმართველობისთვის

ბოლო პერიოდში (2019-2024 წლები) მზარდია კვლევები ხელოვნური ინტელექტისა (AI) და დემოკრატიული მმართველობის ურთიერთქმედების შესახებ. ნაშრომები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დეზინფორმაციაზე, სოციალურ და პოლიტიკურ ბოტებზე, პოლიტიკურ სამიზნეებზე, ე.წ. "დიფ ფეიქებზე", საარჩევნო პროცესების მართვაზე, დემოკრატიის მხარდაჭერასა და პოლიტიკურ საფრთხეებზე. კვლევები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ადრეული სისტემები XX საუკუნის შუა წლებში გაჩნდა და დღევანდელთან შედარებით ვიწრო ამოცანების გადაჭრას ემსახურებოდა. თანამედროვე AI ძირითადად ღრმა დასწავლის მოდელებზეა დაფუძნებული, რაც საშუალებას აძლევს შექმნას განზოგადებული მოდელები სხვადასხვა სფეროში (მედიცინა, მეცნიერება, მასმედია, პოლიტიკა). აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში მრავალი სახელმწიფო შეიმუშავებს საკანონმდებლო რეგულაციებს AI-ის გამოყენების კონტროლისთვის (მაგ., EU AI Act, აშშ-ის აღმასრულებელი ბრძანება, ბრაზილიის საარჩევნო რეგულაციები). ამავდროულად, AI-ის გამოყენებას პოლიტიკურ პროცესებში თან ახლავს საფრთხეები, მათ შორის დეზინფორმაცია, პოლიტიკური ბოტები და ე.წ. "დიფ ფეიქები". თუმცა AI ასევე გაძლიერებს დემოკრატიულ პროცესებს: ზრდის ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას, ჩართულობას, ღიაობას, ქალთა პოლიტიკური ლიდერობის გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო პროგრამების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, პოლიტიკა, დემოკრატია, მმართველობა, არჩევნები.

**Beka Katsitadze**

Visiting Lecturer
Ilia State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0007-0191-6108
beka.katsitadze.1@iliauni.edu.ge

## THE POSITIVE AND NEGATIVE ASPECTS OF IMPLEMENTATION OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN DEMOCRATIC GOVERNANCE

In recent years (2019-2024), there has been increasing scholarly attention on the interaction between Artificial Intelligence (AI) and democratic governance. Studies particularly focus on disinformation, social and political bots, political targeting, deepfakes, management of electoral processes, support for democracy, and related political threats. Early AI systems emerged in the mid-twentieth century, addressing narrow tasks, whereas contemporary AI relies primarily on deep learning models capable of generating generalized models across diverse domains, including medicine, science, media, and politics. Notably, in the early 2020s, many states enacted legislative frameworks to regulate AI deployment (e.g., EU AI Act, U.S. Executive Order on AI, Brazil's Electoral Court Regulations). Nevertheless, AI use in political processes carries certain risks, such as disinformation, political bots, deepfakes, and micro-targeting. At the same time, AI also enhances democratic processes by promoting accountability, transparency, inclusion, openness, women's political leadership, and citizen awareness regarding electoral programs.

**Keywords:** Artificial Intelligence, Politics, Democracy, Governance, Elections

**ნინო კვირიკაძე**

ფილოლოგიის დოქტორი
გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
ORCID: 0009-0008-3494-9384
ninokvirikadze@yahoo.com

# "პატარა ადამიანის" თემა XIX საუკუნის ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, თომას მანი)

კვლევის საგანს წარმოადგენს „პატარა ადამიანის" თემა XIX საუკუნის ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში (აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და თომას მანის მოთხრობების მიხედვით). მიიჩნევენ, რომ რუსულ ლიტერატურაში შექმნილმა „პატარა ადამიანის" სახემ გავლენა მოახდინა ქართულ პროზაზე და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებშიც დასტურდება ეს ფენომენი. აღნიშნული თემა ჩნდება რეალიზმის განვითარებასთან ერთად, სადაც დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პერსონაჟები, ხშირად ჩინოვნიკები, მწერალთა ყურადღების ობიექტები ხდებიან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული ლიტერატურაც იჩენდა ინტერესს ამ თემისადმი. „პატარა ადამიანის" სახის ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობითი განმარტება ჩვეულებრივ ასეთია: „ეს არის დაბალი სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობის მქონე ადამიანი, დაუცველი, რომელსაც არ გააჩნია განსაკუთრებული მონაცემები, მაგრამ უბოროტო და უწყინარია". თუმცა სინამდვილეში „პატარა ადამიანი" ბევრად უფრო მრავალწახნაგოვანი სახეა, ძნელია მისცე მას ამომწურავი ახსნა, თითოეულ მწერალთან ის თავისებურად ისახება. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ „პატარა ადამიანის" თემის კონტექსტში პირველადაა მოცემული ცნობილ მწერალთა სამი მოთხრობის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, ესენია: აკაკი წერეთლის „ძველი ჩინოვნიკის აღსარება" (1875), ვაჟა-ფშაველას „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი" (1889) და თომას მანის „პატარა ბატონი ფრიდემანი" (1897). სიახლე არის აგრეთვე ისიც, რომ აღნიშნული თემა განიხილება დასახელებული მოთხრობების სათაურების ჭრილში სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდის მეშვეობით. კვლევის საფუძველია ვ.ვინოგრადოვის სიტყვათა რიგის თეორია. ჩვენი მიზანია, განვიხილოთ „პატარა ადამიანის" თემის კონტექსტში თითოეული დასახელებული მოთხრობის სათაური; თვალი გავადევნოთ სამივე სათაურის, როგორც დეტალების მოძრაობას შესაბამისი მოთხრობის მთელ ტექსტობრივ სივრცეში; გამოვავლინოთ მათი სემანტიკა ცალკეულ ფრაგმენტებში ნაწარმოების შინაარსთან მჭიდრო კავშირში და დავაფიქსიროთ ისინი სიტყვათა რიგების შემადგენლობაში. ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ როგორც აკაკი წერეთელთან, ასევე ვაჟა-ფშაველასთან ნაჩვენებია „პატარა ადამიანების" ტრადიციული სახეები, მაგრამ ამ ხატის ინტერპრეტაციაში მათ საკუთარი ნიუანსები შეაქვთ.

აკაკი წერეთელი, მაგალითად, „ძველი ჩინოვნიკის აღსარებაში“ წინ წამოსწევს ისტორიულ-ეროვნულ პრობლემატიკას, ვაჟა-ფშაველა კი მოთხრობაში „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“ აყენებს ეპოქის გლობალურ ეგზისტენციალურ პრობლემას. „პატარა ადამიანის“ თემის თავისებურ ახლებურ გააზრებას ვპოულობთ თომას მანის მოთხრობაში „პატარა ბატონი ფრიდემანი“. აქ მთავარი გმირი უკვე აღარ არის წვრილი ჩინოვნიკი, არამედ საშუალო ბიურგერია, საშუალო შეძლების ადამიანი. პატარა ბატონი ფრიდემანი პატარა ფირმის თანამფლობელია, რითაც მისი შესაძლებლობები, ფაქტობრივად, იწურება, მას მეტი გაქანება არ აქვს. ის ასე ხასიათდება: შეუხედავი გარეგნობა, სიმახინჯე, გულჩათხრობილობა, ადამიანებისაგან განრიდება, დარღვეული ფსიქიკა. ეს არის კონკრეტული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის მქონე ადამიანი — ტრავმისა, რომელიც მას გარემოცვის ზემოქმედების ქვეშ ჩამოუყალიბდა. თომას მანი აჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენს დეკადენტური განწყობა, ილუზიების მსხვრევა ადამიანის ფსიქიკაზე. მწერალი ამ მოთხრობაში ფსიქოლოგიური ანალიზის მეშვეობით აღრმავებს და აფართოებს „პატარა ადამიანის“ კონცეფციას იმით, რომ გააქვს ეს კონცეფცია სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის ფარგლებს გარეთ. მისი „პატარა ადამიანი“ ცდილობს, იპოვოს თავის ცხოვრებაში უფრო ღრმა აზრი და მოიპოვოს ბედნიერება — კონკრეტულად სიყვარულში, მაგრამ მარცხს განიცდის. როგორც ვხედავთ, „პატარა ადამიანის“ თემა ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში ასახავს თითოეული კულტურის უნიკალურ სოციალურ და ისტორიულ კონტექსტს.

**Nino Kvirikadze**

Doctor of Philology
Invited Lecturer, Department of German Philology
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
ORCID: 0009-0008-3494-9384
ninokvirikadze@yahoo.com

## THE THEME OF THE “LITTLE MAN” IN GEORGIAN AND GERMAN LITERATURE OF THE 19TH CENTURY (AKAKI TSERETELI, VAZHA-PSHAVELA, THOMAS MANN)

The Theme of the “Little Man” in Georgian and German Literature of the 19th Century (Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, Thomas Mann) Abstract The subject of the study is the theme of the “little man” in Georgian and German literature of the 19th century (based on the stories of Akaki

Tsereteli, Vazha-Pshavela and Thomas Mann). It is generally accepted that the image of the "little man" created in Russian literature influenced Georgian prose and is also used in the works of Georgian writers. This theme arises in connection with the development of realism, where characters with low social status, often officials, become the object of attention of writers. It should be noted that German literature has also long shown interest in the "little man". The scientific novelty of this work is that for the first time in the context of the image of the "little man" a comparative analysis of three stories by famous writers is given: "Confession of an Old Official" by Akaki Tsereteli (1875), "The Death of Bagrat Zakharych" by Vazha-Pshavela (1889) and "Little Mr. Friedemann" by Thomas Mann (1897). The novelty of the work also consists in the fact that the said topic is for the first time considered in the context of the title of the named works by means of the structural-semantic method. The basis of our study is the theory of the verbal series of V. Vinogradov. Our goal is to consider the title of each of the named works in the context of the theme of the "little man". As a result of the analysis, we come to the conclusion that both Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela depict images of "little people". However, both writers introduce their own nuances into the interpretation of this image. Akaki Tsereteli, for example, brings historical and national issues to the forefront. Vazha-Pshavela in his story "The Death of Zakhar Zakharych" through the theme of the "little man" poses a global existential problem of the era. A peculiar rethinking of the theme of the "little man" is found in Thomas Mann's story "Little Mr. Friedemann". With the help of psychological analysis, the writer deepens and expands the concept of the "little man", taking it beyond social and economic inequality. His "little man" tries to find a deeper meaning in his life and find happiness – specifically in love, but fails. Ultimately, the theme of the "little man" in Georgian and German literature reflects the unique social and historical context of each culture.

**ვაჟა კიკნაძე**

პროფესორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
vazhakiknadze@yahoo.com

# რა ენაზე იყო დაწერილი თავდაპირველად „გეორგიევსკის ტრაქტატი" ერეკლე II-ს დროს

ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი" (1783) ხშირად იქცევს მეცნიერთა და მოყვარულთა ყურადღებას, თუმცა კვლევები ძირითადად მის პოლიტიკურ ასპექტზე კონცენტრირდება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მისი ლინგვისტური მხარე — რა ენაზე იყო დაწერილი თავდაპირველი დოკუმენტი. საბჭოთა პერიოდში ამ თემაზე მსჯელობა თითქმის გამორიცხული იყო. ერთადერთი მინიშნება, რომ ტექსტი თავდაპირველად რუსულად იყო, გვხვდება ი. დოლიძის გამოცემაში „ქართული სამართლის ძეგლები" (ტ. 2), სადაც კომენტარებში აღინიშნა: „ჩვენი დაკვირვებით, ტექსტი რუსულიდან უნდა იყოს თარგმნილი" (თბილისი, 1965, გვ. 638). დეტალური ანალიზი და ქართული ტექსტის რუსულთან შედარება კიდევ უფრო ამყარებს ამ მოსაზრებას. მაგალითად, ტრაქტატის პრეამბულაში წერია: „მფარველობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართველოსთა, ნათესავთა და ყმათა მათდამი მინიჭებულმან, გამოიყუანა მოკიდებულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ, პირველთა ამათგან, რომელიცა უფროსღა იჩუენების რუსეთისა საიმპერატოროჲსა ტიტლოსაგან"; ასევე პრეამბულაში ვკითხულობთ: „გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მჴედართა თვისთა გენერალ-შეფი, ბრძანებელი სუშუქისა ცხენოსნისა, განსწავლულისა და განუსწავლელისა" («повелевающего легкой конницею, регулярнои и нерегулярной»). მსგავსი მდგომარეობაა არტიკულებშიც. მაგალითად, მერვე არტიკულში ნათქვამია: „ყოვლად უმოწყალეოსობით მიუბოძებს ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისა" (Всемилостивейше жалуя ему навсегда титул святйшего синода члена). ეს და მრავალი სხვა ადგილია მოწმობა იმისა, რომ თავდაპირველად ტექსტი დაწერილია რუსულად და მხოლოდ შემდეგ თარგმნილა ქართულად.

**საკვანძო სიტყვები:** გეორგიევსკის ტრაქტატი, ქართული ენა, რუსული ენა

**Vazha Kiknadze**

Professor
Senior Research Specialist
The University of Georgia; Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Tbilisi, Georgia
vazhakiknadze@yahoo.com

## IN WHAT LANGUAGE WAS THE ORIGINAL "TREATY OF GEORGIEVSK" WRITTEN DURING THE REIGN OF EREKLE II

The so-called Treaty of Georgievsk (1783) frequently attracts the interest of both scholars and enthusiasts, yet research has primarily focused on its political aspects. Equally important, however, is the linguistic dimension of the Treaty — that is, in which language the original document was written. During the Soviet period, discussion on this matter was largely excluded. The only hint that the original text was written in Russian is found in the second volume of *Monuments of Georgian Law* published by I. Dolidze, where the editor remarks: "According to our observation, the text must have been translated from Russian" (Tbilisi, 1965, p. 638). Detailed analysis and comparison of the Georgian text with the Russian original further supports this view. For instance, in the preamble it is stated: "The protection granted by the autocrats of all Russia towards the Georgians, their relatives, and their subjects, removes that engagement from the latter towards the former, which had previously been shown from the imperial title of Russia." Also in the preamble: "Grigory Alexandrovich Potemkin, General-in-Chief of his cavalry, commander of the light cavalry, both trained and untrained" («повелевающего легкой конницею, регулярнои и нерегуларной»). A similar situation is observed in the articles themselves. For example, in Article Eight it reads: "With utmost mercy, he is granted the permanent title of 'Chlen' of the Holy Synod" (Всемилостивейше жалуя ему навсегда титул святйшего синода члена). These and numerous other passages attest that the original text was composed in Russian and only later translated into Georgian.

**Keywords:** Treaty of Georgievsk, Georgian language, Russian language

**ბუბა კუდავა**

ისტორიის დოქტორი
პროფესორი
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
bkudava@artanuji.ge

## მეფის გარდაცვალება საქართველოში – მნიშვნელოვანი მოვლენა უმნიშვნელო ცნობებით

სახელმწიფოს მეთაურის გარდაცვალება, მით უფრო ძველ დროსა და მონარქიულ ქვეყანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამით ერთი ეპოქა სრულდებოდა და იქვე ახალი, შიდა და გარე გამოწვევებით აღსავსე პერიოდი იწყებოდა. ამ მნიშვნელობასთან შედარებით თითქოს შეუსაბამოდ მწირია ქართველ მემატიანეთა ცნობები მეფეთა გარდაცვალების მიზეზებისა და სხვა დეტალების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში მიზეზი არცაა დასახელებული, თუმცა ლოგიკურად უმთავრესად ასაკი ან ავადობა („სენი“) უნდა ვიგულისხმოთ. სავარაუდოდ, ცნობათა ნაკლებობა გარკვეულწილად ამ „ბანალურობითაც“ აიხსნება. წყაროებში აქა-იქ გვხვდება სხვა მიზეზებიც, მათ შორის – ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაცვალება. თითქმის არ გვაქვს საკუთრივ ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევები, რაც ერთობ მნიშვნელოვან ნიუანსად გამოდგება მეფის, როგორც მთავარსარდლის, როლის გააზრების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, გვაქვს მკვლელობის, ტყვეობასა თუ ემიგრაციაში გარდაცვალების საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებიც. ძუნწი ცნობები, მსოფლიო ისტორიის მდიდარი გამოცდილება, ძალაუფლებისთვის ბრძოლის უზოგადესი წესები, იშვიათად – უცხოური წყაროების განსხვავებული მონაცემები, ხანაც – მემატიანეთა დუმილი, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის რამდენიმე ქართველი მონარქის უცაბედი გარდაცვალების ალტერნატიული ვერსიების განსავითარებლად. ერთი მხრივ, შიდადინასტიური / შინაფეოდალური დაპირისპირების, მეორე მხრივ კი – საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, დასაშვებად მიმაჩნია მტკიცება, რომ რამდენიმე ქართველი მეფე (დავით კურაპალატი, გიორგი I, დავით V, ლაშა-გიორგი, დემეტრე II, ვახტანგ II) შეთქმულების მსხვერპლი გახდა. მაშინაც კი, როდესაც ასეთი შემთხვევები გარედან მართული ჩანს, ცხადია, პროცესებში ადგილობრივი ძალების ჩართულობაც უნდა ვიგულისხმოთ. ბუნებრივია, შეთქმულებები სულ იქნებოდა და მსგავსი ვერსიების განხილვა სხვა მეფეებზე, დედოფლებზე, უფლისწულებსა და სამეფო გვარის სხვა წარმომადგენლებზეც არის შესაძლებელი. მართალია, ძველ დროში, როცა მედიცინა სუსტად იყო განვითარებული, უცაბედი დასნეულება თუ გარდაცვალება ჩვეული რამ იყო, და არც ტრაგიკული შემთხვევებისგან გახლდათ ვინმე დაზღვეული, თუმცა ისიც გასაგებია, რომ მონარქის მოულოდნელმა (მით უფრო, ახალგაზრდულ ასაკში) გარდაცვალებამ ყოველთვის შეიძლება აღძრას ეჭვები. ნიშანდობლივია, რომ ქართულ წყაროებს თითქმის არასოდეს უჩნდებათ მსგავსი კითხვები. ისინი დუმილით უვლიან გვერდს ისეთ შემთხვევებსაც, რომლებზეც უცხოურ

წყაროთა მითითებები არსებობს. მათ თხზულებებში არც ალტერნატიული მოსაზრებების დასახელება და მისი გაქარწყლება გვხვდება. როგორც ჩანს, მსგავს ეპიზოდებს, სხვა არასასურველი ინფორმაციის მსგავსად, სამეფო კარის მკაცრი ცენზურის პირობებში გააზრებულად უვლიდნენ გვერდს. სხვა ვერსიების ხსენებაც იკრძალებოდა, რაც, თავის მხრივ, პროცესებში სამეფო ოჯახის წევრთა როლზეც მიუთითებს. შედეგად, „გამარჯვებული მხარის“ ნარატივი მკვიდრდებოდა, შეთქმულების მსხვერპლთა სიმართლე კი აღარავის ახსოვდა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ისტორია, ქართველი მეფე.

**Buba Kudava**

Doctor of History
Professor
Caucasus University
Tbilisi, Georgia
bkudava@artanuji.ge

## THE DEATH OF A KING IN GEORGIA — A SIGNIFICANT EVENT WITH INSIGNIFICANT RECORDS

The death of a head of state—especially in earlier times and in a monarchical country—was a momentous event. It marked the end of one era and the beginning of another, inevitably accompanied by internal and external challenges. Yet, in striking disproportion to this significance, Georgian chroniclers provide exceedingly meager accounts regarding the causes and circumstances of royal deaths. In most cases, no cause is given; logically, however, advanced age or illness ("sickness") should be assumed as the primary explanations. The scarcity of information may in part be explained by this very "banality." Occasionally, other causes are mentioned in the sources, including death from wounds sustained in battle. Almost no examples exist of kings actually perishing on the battlefield—a detail of considerable importance for understanding the monarch's role as commander-in-chief. Of course, we also possess well-known examples of rulers who died by assassination, in captivity, or in exile.

These sparse references—together with the rich experience of world history, the universal patterns of power struggles, occasionally contradictory data from foreign sources, and, at times, the silence of Georgian chroniclers—provide fertile ground for developing alternative versions concerning the sudden deaths of several Georgian monarchs. Taking into account both

intra-dynastic/feudal rivalries and external factors, it seems plausible to argue that a number of Georgian kings (David Kuropalates, George I, David V, Lasha-George, Demetre II, Vakhtang II) fell victim to conspiracies. Even when such events appear to have been orchestrated from outside, it is evident that local actors must also have been involved in the process.

Naturally, conspiracies must have always existed, and the exploration of similar scenarios can be extended to other kings, queens, princes, and members of the royal dynasty. True, in antiquity—when medicine was poorly developed—sudden illness or death was common, and no one was immune to tragic accidents. Yet, it is equally clear that the unexpected death of a monarch (especially at a young age) could always arouse suspicion. It is noteworthy that Georgian sources almost never raise such questions. They remain silent even in cases where foreign sources provide explicit references. Nor do they record alternative explanations only to refute them. Evidently, such episodes—like other undesirable information—were deliberately avoided under the strict censorship of the royal court. Mentioning alternative versions was prohibited, which in turn suggests the involvement of members of the royal family themselves in these processes. As a result, the "narrative of the victorious side" became entrenched, while the truth of the victims of conspiracies faded from memory.

**Keywords:** History of Georgia, Georgian kings.

**ნანა კუპრაძე**

ფილოლოგიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0002-0913-3734
n.kupradze@ug.edu.ge

# „პოსტკონვენციური მორალი ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ეპიკური ნაწარმოების მაგალითზე“

ლოურენს კოლბერგი ადამიანის მორალურ განვითარებას სამი საფეხურით აყვავებს: პრეკონვენციურ, კონვენციურ და პოსტკონვენციურს. თითოეულ სტადიას ადამიანები გადიან თანმიმდევრობით, თუმცა განსხვავებული ტემპით. პოსტკონვენციურ საფეხურზე პიროვნება აღწევს განვითარების მაღალ დონეს, როდესაც აქვს დამოუკიდებელი, ხშირად სხვათაგან განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები და ფასეულობები. პოსტკონვენციურ დონეზე მოზრდილი ადამიანები თვლიან, რომ წესები აუცილებელია, თუმცა ცვალებადი სისტემაა, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივ ბალანსს.

ამ თვალსაზრისით, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში მრავლად გვხვდება პოსტკონვენციური მორალის მაგალითები. ავტორის შემოქმედება ყოველთვის ადამიანის ეთიკურ-ზნეობრივ ბუნებაზეა ორიენტირებული. იგი აღწერს გმირთა ზნეობრივ თვისებებს, რომლებიც ეტყვიან პერსონაჟებს ეთიკური ღირებულებების მწვერვალზე. პოსტკონვენციური მორალი მკაფიოდ ჩანს პოემებში: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთური და აფშინა“, „გველისმჭამელი“ და სხვა.

მაგალითად, „სტუმარ-მასპინძელში“ ორი განსხვავებული ადათი უპირისპირდება ერთმანეთს — სტუმარმასპინძლობისა და სისხლის აღების. გმირი ჯოყოლა გადაწყვეტს მტრობასა და სულმდაბლობაზე ამაღლდეს და მიტევება არჩიოს. „გველისმჭამელში“ ჩანს ყმის სულიერი მარტოობა თანამოძმეთა შორის. „გოგოთურ და აფშინა“ კი აღწერს გმირის ტრანსფორმაციას: გოგოთური, ღირსეული კაცია, არ ექვემდებარება ცოლის სიხარბეს, მოქმედებს თავის პრინციპებზე დაყრდნობით და აფშინას სწორი გზა აჩვენებს, მას ცოდვების მონანიება და სინდისის გააქტიურება ასწავლის.

კოლბერგისეული მორალური განვითარების სამი გზა მკითხველს მკაფიოდ აცნობს გმირების მორალურ ტრანსფორმაციასა და ზნეობრივ განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** პოსტკონვენციური მორალი, ვაჟა-ფშაველა, კოლბერგი, ზნეობრივი განვითარების დონეები.

**Nana Kupradze**

Doctor of Philology
Associate Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0002-0913-3734
n.kupradze@ug.edu.ge

## "POST-CONVENTIONAL MORALITY IN SELECTED EPIC WORKS OF VAZHA-PSHAVELA"

Lawrence Kohlberg distinguishes three stages of moral development: pre-conventional, conventional, and post-conventional. Individuals progress through each stage sequentially, though at different paces. The post-conventional stage represents the highest level of moral development, where a person forms independent and often unconventional beliefs, values, and principles. At this stage, individuals recognize the necessity of rules but view them as a flexible system balancing social order.

In this context, post-conventional morality is vividly reflected in the works of Vazha-Pshavela. The author consistently focuses on the ethical and moral dimension of human nature, portraying characters whose moral qualities elevate them to ethical ideals. Post-conventional morality is evident in poems such as *Aluda Ketelauri*, *Guest and Host*, *Gogoturi and Afshina*, *Snake-Eater*, and others.

For example, in *Guest and Host*, two conflicting customs—hospitality and blood revenge—clash, and the hero Jojola chooses to rise above enmity and humility, opting for forgiveness. In *Snake-Eater*, the spiritual isolation of the protagonist among peers is depicted. *Gogoturi and Afshina* illustrates the transformation of the main character, Gogoturi, who, despite his wife's greed, adheres to his moral principles and guides Afshina towards the right path, prompting repentance and moral awakening.

Through these narratives, Kohlberg's three stages of moral development are clearly illustrated, showing the ethical growth and transformation of the characters.

**Keywords:** post-conventional morality, Vazha-Pshavela, Kohlberg, stages of moral development

**ნესტან კუტივაძე**

პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
ORCID: 0000-0001-8419-6976
nestani.kutivadze@atsu.edu.ge

# „ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული ზღაპარი“

ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ ლიტერატურაში გამოირჩევა, როგორც უნიკალური ფიგურა. იგი სამოციანელთა ესთეტიკური კრედოს მიმდევარი მწერალია, რომლის შემოქმედებაში ძირითადად აისახება რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიაში. მისი პროზაული გმირები თავგანწირვით იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, განიცდიან მორალურ დილემებს, გადიან ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას და ინარჩუნებენ გამარჯვების პათოსს.

ყაზბეგის შემოქმედება, მიუხედავად ტრაგიკული სიუჟეტისა, დღესაც მკითხველისთვის საინტერესოა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა აღივლებს previously უცნობ მრავალ მნიშვნელოვან მხარეს. ამის დასტურია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 2019 წლის კრებული „ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი“, რომელშიც გამოქვეყნებულია ორი ზღაპარი: „მეფის რაში“ და „მეოცდაცხრამეტე ჯოხი“.

ქართული ლიტერატურული ზღაპარი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება და საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში პოპულარული ხდება. იგი წარმატებით იყენებს ფოლკლორულ ზღაპრებიდან მოტივებს, სიუჟეტებს, პერსონაჟებს, კლიშეებსა და მზა ფორმულებს, რითაც ხაზგასმულია ჟანრის ტრანსფორმაციული შესაძლებლობები. ყაზბეგის ზღაპრებს ახასიათებს ორგანული თხრობის მანერა, გამჭვირვალე სტილი, სიმართლის გამარჯვების, ბოროტის დამარცხების, ძალადობასთან ბრძოლის რწმენა და მკითხველისთვის დატოვებული საზრისი.

ისევე, როგორც ფოლკლორულ ზღაპრებში, აქ ვხვდებით სიმბოლოებს და მორალურ და ეპოქალურ ნიუანსებს. თითოეული ზღაპარი აერთიანებს კლიშეებს, სტრუქტურულ მარკერებსა (მაგ., უფლისწულის მიერ მომავალი დედოფლის დახსნა ტყვეობიდან) და მწერლის პირად მხატვრულ ხერხებს. ყაზბეგის ზღაპრები აჩვენებენ ავტორის შემოქმედების მრავალფეროვნებასა და XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ზღაპარს.

**საკვანძო სიტყვები:** ლიტერატურული ზღაპარი, ზღაპრის კლიშე, სტრუქტურული მარკერი, ეპოქის კონტექსტი, ძალადობასთან ბრძოლა.

**Nestan Kutivadze**

Professor
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
ORCID: 0000-0001-8419-6976
nestani.kutivadze@atsu.edu.ge

## "LITERARY FAIRY TALE OF ALEKSANDRE KAZBEGI"

In the history of Georgian literature, Aleksandre Kazbegi stands out as a distinctive figure. He is a writer who embraced the aesthetic credo of the Georgian Sixtiers, and his creative works prominently reflect Russia's oppressive policy in Georgia and the Caucasus. The heroes of his prose selflessly fight for freedom and independence, face moral dilemmas, endure lives filled with tragedy, and maintain the pathos of victory.

Kazbegi's fictional world, despite its tragic nature, remains valuable and compelling for contemporary readers. The study of his literary legacy reveals many previously unknown and significant layers. A clear example of this is the collection *Known and Unknown Kazbegi* (Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2019), which includes two fairy tales: *King's Steed* and *The Thirty-Ninth Stick*.

The literary fairy tale as a genre emerged in Georgian literature in the second half of the 19th century and gained popularity toward the end of the century and the beginning of the 20th century. The genre effectively incorporates motifs, plots, characters, clichés, and established formulas from folk tales, highlighting its transformative potential. Kazbegi's fairy tales, rooted in magic and wonder, reflect socio-political and aesthetic tendencies of the era, and are comparable to the works of Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela.

Kazbegi's literary fairy tales include folk-tale symbols and motifs (e.g., the steed, magic apple, stepmother motif), clichés, structural markers (e.g., the prince rescuing the future queen from captivity), and various poetic devices unique to his style. They reveal familiar layers and nuances from his prose, and the allegorical nature of episodes resonates with cultural and epochal contexts. Kazbegi's fairy tales are characterized by organic narrative style, clear and transparent expression, belief in the triumph of truth and the defeat of evil, resilience against violence, and thought-provoking messages for the reader.

**Keywords:** literary fairy tale, fairy tale clichés, structural element, epochal context, struggle against violence

**ნინო ლაღიძე**

ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
n.laghidze@ug.edu.ge

# „სოცრეალიზმი არქიტექტორ გიორგი ჩახავას შემოქმედებაში“

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება გამორჩეული ქართველი არქიტექტორის, გიორგი (გოგი) ჩახავას, არქიტექტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ადრეულ პერიოდს. მისი კარიერის დასაწყისი მეოცე საუკუნის შუა პერიოდს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებას ემთხვევა. ომის შემდგომი პერიოდის არქიტექტურა ჯერ კიდევ ადრე შემუშავებული მეთოდების კორექტირებით შემოიფარგლებოდა, რაც წინა პერიოდის პოსტკონსტრუქციული სტრუქტურების მკაცრ ჩარჩოებს უქმნიდა.

ომის ნგრევითმა ხასიათმა საბჭოთა რესპუბლიკებში ახალი საჭიროებები გააჩინა, რის შედეგადაც არქიტექტურაში თანდათან უპირატესობა სოციალისტურ რეალიზმს მიენიჭა. საბჭოთა არქიტექტურა, თავისი პროპაგანდისტული ფუნქციიდან გამომდინარე, მარტივი ფორმისა და გასაგები შინაარსის მქონე, მასობრივ კულტურას მორგებული და აღმაფრთოვანებელ-მონუმენტური უნდა ყოფილიყო.

ნაშრომში განხილულია გიორგი ჩახავას 1945-1960 წლების შემოქმედება, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას საქართველოსა და სხვა საბჭოთა ქალაქებში. გამოყენებულია წყაროთმცოდნეობითი და მონოგრაფიული მეთოდები: დამუშავებულია საარქივო მასალები (დოკუმენტები, გეგმები, ფოტოები), 1920-1950 წლების პრესა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა.

დასკვნა: საბჭოთა არქიტექტურის სპეციფიკას განაპირობებდა პოლიტიკურად განსაზღვრული დირექტივები და არქიტექტურული იერი, რომელიც მთლიან საბჭოთა კავშირში იყო გავრცელებული, განსხვავება მხოლოდ ნაციონალურ მახასიათებლებში გამოიხატებოდა. გიორგი ჩახავას შემოქმედების კვლევა იძლევა წარმოდგენას როგორც ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ტრაექტორიაზე, ასევე მის ერთიან საბჭოთა კონტექსტში. სოცრეალისტური არქიტექტურის მხატვრული მხარე შესაძლოა საკამათო იყოს, თუმცა მისი როლი ქალაქის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულია.

**საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი, სოცრეალიზმი, არქიტექტურული იერი, საბჭოთა არქიტექტურა, ქალაქის სტრუქტურა.

**Nino Laghidze**

Associate Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
n.laghidze@ug.edu.ge

## "SOCIALIST REALISM IN THE WORK OF ARCHITECT GIORGI CHAKHAVA"

This paper focuses on the early architectural and creative activity of the distinguished Georgian architect Giorgi (Gogi) Chakhava. His career began in the post-World War II period, when architecture still relied on pre-war methods, strictly limiting the diversity of post-constructivist approaches.

The destruction caused by the war created new needs in the Soviet republics, gradually giving prominence to socialist realism in architecture. Due to its propagandistic function, Soviet architecture was expected to be simple in form, clear in content, mass-culture oriented, and simultaneously monumental and inspiring.

The study examines Chakhava's work from 1945 to 1960, encompassing significant projects in Georgia and other Soviet cities. It employs source-based and monographic methods, analyzing archival materials (documents, plans, photographs), press from 1920-1950, and relevant scholarly literature.

Conclusion: The characteristics of Soviet architecture were shaped by political directives and a uniform architectural style across the USSR, with differences reflected only in national features. Research on Giorgi Chakhava's work provides insight into both the development trajectory of Georgian Soviet architecture and its place within the broader Soviet context. Although the artistic aspects of socialist architecture may be debatable, its role in shaping urban structures was highly significant.

**Keywords:** political context of architecture, socialist realism, architectural style, Soviet architecture, urban structure

**თამრიკო ლეკიაშვილი**

დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0003-6249-8721
t.lekiashvili@ug.edu.ge

**თეა მეშველიშვილი**

დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0005-5556-6970
t.meshvelishvili@ug.edu.ge

# თურქეთის ეროვნულ არქივში დაცული XVI საუკუნის უცნობი ფირმანები და ბარათები საქართველოს შესახებ

ისტორიკოსებისათვის მეტად მნიშვნელოვანია პირველადი წერილობითი წყაროები. წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია არა მხოლოდ მოვლენათა რეკონსტრუირება, არამედ სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის, ადმინისტრაციული მმართველობის ტიპის, ეკონომიკური მახასიათებლების სისტემური შესწავლა. საქართველოს ისტორიის მკვლევრებისთვის ოსმალური წყაროები ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს. სტამბოლში სამეცნიერო მივლინების შემდეგ ჩამოტანილი მე-16 საუკუნის რამდენიმე ასეული დოკუმენტაციის (მეტწილად ფირმანები, ჰუქმები) ნაწილის ტრანსკრიფცია და თარგმანი შესრულდა. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში საქართველო მხოლოდ ირიბად იყო მოხსენიებული, მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეგვძინა ოსმალური მიწათმფლობელობის სისტემის (მიწის ჩუქება, წახალისება, ჩამორთმევა), იმპერიული ადმინისტრაციული მოწყობისა და მუშაობის შესახებ. გარდა ამისა, წყაროზე მუშაობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს წყაროში დამახინჯებულად მოხსენიებული ქართულ გეოგრაფიულ სახელთა დადგენა. როგორც ცნობილია, არაბული ანბანით ქართული ფონეტიკური კანონზომიერების გამოხატვა ძალიან რთულია. პირველადი დასახელებები მეტწილად დაკარგულია, ამიტომ, ქართულ წყაროებში, სამეცნიერო პუბლიკაციებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევეცადეთ აღგვედგინა ოსმალურ დოკუმენტებში ქართული ტოპონიმების პირველადი დასახელებები. საინტერესო იყო ასევე დოკუმენტებში ნახსენები კერძო პირთა ვინაობის დადგენა. აქაც მნიშვნელო-

ვან სირთულეებს წავაწყდით ქართული სახელების ამოკითხვის და შემდეგ მათი ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით. წყაროები, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა შესწავლილი, არის ფირმანები – ბრძანებები და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე შეეხება სხვადასხვა შინაარსის ბრძანებებს, რომლებიც კონკრეტულ მოვლენასთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით საინტერესო იყო თავად ბრძანების საფუძვლის დადგენა, რამაც ისტორიულ ჭრილში მოვლენის შეფასების შესაძლებლობა მოგვცა. სტატიის მიზანია, დაადგინოს წარმოდგენილი ფირმანებისა და ბარათების ისტორიული კონტექსტი, შეადაროს წყაროში ნახსენები ტოპონიმები ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან, ასევე, მოახდინოს წყაროში ნახსენები პირების იდენტიფიცირება. კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ, პირველ რიგში, წყაროთმცოდნეობით მეთოდს. ჩვენ მიერ მოძიებული კონკრეტული დოკუმენტები შეფასდა, განიმარტა ისტორიული მოვლენების ჭრილში და ქართულ წყაროებთან შეჯერდა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ჩვენ შევეცადეთ შეგვედარებინა წყაროებში ნახსენები ტოპონიმები ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან და მოგვეხდინა მათი იდენტიფიცირება.

**საკვანძო სიტყვები:** ფირმანი, ბერათი, ტოპონიმი, პირთა იდენტიფიცირება.

**Tamriko Lekiashvili**

Doctor of History
Associate Professor
University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0003-6249-8721
t.lekiashvili@ug.edu.ge

**Tea Meshvelishvili**

Doctor of History
Associate Professor
University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0005-5556-6970
t.meshvelishvili@ug.edu.ge

## PREVIOUSLY UNKNOWN FIRMANS AND CARDS CONCERNING GEORGIA FROM THE 16TH CENTURY PRESERVED IN THE NATIONAL ARCHIVES OF TURKEY

For historians, primary written sources are of great importance. Based on such sources, it is possible to not only reconstruct historical events but also to systematically study the functioning of state structures, the type of administrative governance, and economic characteristics. For researchers of Georgian history, Ottoman sources represent invaluable material. After a research trip to Istanbul, several hundred 16th-century documents (mainly firmans and hukms) were brought back, some of which have been transcribed and translated. In the material at our disposal, even though Georgia was mentioned only indirectly in some cases, we gained valuable information about the Ottoman land tenure system (land grants, incentives, confiscations) and the structure and functioning of the imperial administration. Additionally, an essential aspect of working with the source material involves identifying Georgian geographical names that are distorted or misspelled in the documents. As it's known, expressing Georgian phonetic patterns using the Arabic script is particularly difficult. Most of the original names have been lost. Therefore, based on information found in Georgian sources and academic publications, we attempted to reconstruct the original Georgian toponyms as they appeared in the Ottoman documents. Here, too, we encountered significant challenges in reading Georgian names and subsequently determining the identities of these persons. The sources we studied are firmans – imperial decrees – which, due to their specific nature, pertain to various orders related to specific

events. From this perspective, it was particularly interesting to identify the basis or justification for each decree, which allowed us to assess the corresponding historical event within its proper context. The aim of this article is to determine the historical context of the presented firmans and berats, to compare the toponyms mentioned in the sources with Georgian geographical names, and to identify the individuals referred to in the documents. The research is based on qualitative methods, primarily the source-critical (source analysis) approach. Specifically, the selected documents we retrieved were evaluated and interpreted within the framework of historical events and correlated with Georgian sources. Using this method, we attempted to compare the toponyms mentioned in the Ottoman sources with Georgian geographical names and to identify them accordingly.

**Keywords:** firman, berat, Toponym, Identification of persons.

**ლიკა ხუციბერიძე**

უმცროსი მკვლევარი
Gnomon Wise
თბილისი, საქართველო
l.khutsiberidze@ug.edu.ge

# პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული დივერსიფიკაცია – სომხეთის მულტივექტორული ტენდენციები / STRATEGIC DIVERSIFICATION OF THE FOREIGN POLICY OF A SMALL STATE – ARMENIA›S MULTI-VECTOR TENDENCIES

2018 წლის სომხეთის რევოლუციამ რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991-1994 წლების სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ძლიერი დამოკიდებულებიდან სომხეთი დივერსიფიცირებული და შედარებით ავტონომიური საგარეო პოლიტიკისკენ გადაიხარა. ნაშრომი აანალიზებს სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებს 2018-2025 წლებში, რათა გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც საშუალებას აძლევენ პატარა სახელმწიფოებს, როგორიცაა სომხეთი, დიდ სახელმწიფოზე აბსოლუტური დამოკიდებულებიდან შედარებით ავტონომიური პოლიტიკის გატარებაზე გადავიდნენ.

სომხეთში მშვიდობიანი რევოლუციით ხელისუფლებაში პროდასავლელი ლიდერის მოსვლა რუსეთისთვის მკვეთრად უარყოფითი მოვლენა იყო. 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის დროს რუსეთის შეზღუდულმა ჩარევამ შეარყია სომხეთის ნდობა რუსული უსაფრთხოების გარანტიების მიმართ. სომხეთის გადაწყვეტილება, შეეჩერებინა მონაწილეობა რუსეთის მიერ მართული „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში", ადასტურებს, რომ რუსეთი უსაფრთხოებაში არასანდო პარტნიორია. სომხეთის მიერ აზერბაიჯანთან ორმხრივი სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებაც მიუთითებს უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების გადახედვაზე. ბოლო წლებში სომხეთში საზოგადოების პოზიცია რუსეთის მიმართ მკვეთრად უარყოფითია.

ეკონომიკური განზომილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სომხეთმა „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის" დაბალანსება ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებით გადაწყვიტა. სომხეთის პარლამენტის მიერ ევროკავშირის წევრობის პროცესის დასაწყებად კანონი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ქვეყნის გადაწყვეტილებას, ტრადიციული რუსული დომინირების მიღმა ეკონომიკური პარტნიორობა ევროკავშირთან გააფართოოს.

კვლევა ასკვნის, რომ სომხეთმა წარმატებული ნაბიჯები გადადგა მულტივექტორული საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი:

ა) მთავარი ბერკეტის გამოყენების exhausted-ეფექტი – რუსეთმა ჯერ მთიანი ყარა-

ბაღის საკითხით მანიპულირება სცადა, მაგრამ საბოლოოდ დაკარგა გავლენა;

ბ) დიდი სახელმწიფოს ყურადღების გადატანა სხვა რეგიონზე – სახელმწიფო ვალდებულებების შემცირება პატარა სახელმწიფოზე;

გ) რეგიონში სხვა აქტორების დაინტერესება – სომხეთმა გააღრმავა ურთიერთობები ევროკავშირთან, ჩინეთსა და ინდოეთთან;

დ) შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორები – პრორუსული ძალების არაპოპულარობა ადგილობრივ დონეზე, გავლენის შემცირება.

ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და საქართველოსთვის, რადგან აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია პატარა სახელმწიფოს, გაზარდოს საგარეო პოლიტიკის ავტონომია, დიდი ძალის საფრთხის მიუხედავად.

**საკვანძო სიტყვები:** სომხეთის რევოლუცია (2018) Armenian Revolution (2018), რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები – Russia-Armenia Relations, საგარეო პოლიტიკის ავტონომია – Foreign Policy Autonomy, მულტივექტორული პოლიტიკა – Multi-vector Policy, სამხრეთ კავკასია – South Caucasus.

**Lika Khutsiberidze**

Junior Researcher
Gnomon Wise
Tbilisi, Georgia
l.khutsiberidze@ug.edu.ge

## STRATEGIC DIVERSIFICATION OF THE FOREIGN POLICY OF A SMALL STATE – ARMENIA'S MULTI-VECTOR TENDENCIES

The 2018 Armenian revolution caused significant changes in Russia-Armenia relations. Armenia shifted from a strong dependency, established after the collapse of the Soviet Union and the 1991-1994 Armenia-Azerbaijan war, toward a more diversified and relatively autonomous foreign policy. This paper analyses Russia-Armenia relations from 2018 to 2025 to identify the factors that enable small states like Armenia to transition from absolute dependence on a major power to pursuing relatively autonomous policies.

The peaceful revolution that brought a more pro-Western leader to power, compared to previous governments, was seen by Russia as a sharply negative development. Russia's limited

intervention during the 2020 Nagorno-Karabakh war significantly undermined Armenia's trust in Russian security guarantees. Armenia's decision to suspend participation in the Russian-led Collective Security Treaty Organisation (CSTO) confirms that Russia has become an unreliable security partner. Armenia's engagement in bilateral peace negotiations with Azerbaijan, bypassing Russia, further highlights the revision of security policy priorities. Public opinion in Armenia regarding Russia has also become markedly negative.

Economic dependency is another crucial dimension. Armenia sought to balance its involvement in the Eurasian Economic Union by expanding trade relations with the European Union. The Armenian Parliament's adoption of legislation to initiate EU membership represents a pivotal moment in this economic reorientation.

The study concludes that Armenia has taken successful steps toward a multi-vector foreign policy. Several key factors were identified:

a) Exhaustion of the main leverage point: Russia initially manipulated the Nagorno-Karabakh issue but eventually lost influence;

b) Shift of major powers' attention to another region, reducing focus on Armenia;

c) Increased interest and involvement of other international actors — Armenia deepened ties with the EU, China, and India;

d) Internal factors: Pro-Russian forces lost popularity domestically, reducing Russia's influence.

This paper is particularly important for the South Caucasus region and Georgia, as it illustrates how small states can enhance foreign policy autonomy despite threats from a major power.

**Keywords:** Armenian Revolution (2018), Russia-Armenia Relations, Foreign Policy Autonomy, Multi-vector Policy, South Caucasus

**ანა მანაგაძე**

რუსეთისმცოდნეობის დოქტორი
მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0003-2596-9486
ana.managadze@tsu.ge

# რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო

რუსეთ-კავკასიის ურთიერთობების განვითარების ისტორია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს მოიცავს. აღნიშნული თემის აქტუალობა, პირველ ყოვლისა, ბოლო წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გამწვავებითაა განპირობებული, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებით და დღევანდელ კავკასიაში არსებული კონფლიქტური ზონებით.

ნაშრომი ეძღვნება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში „ქართული საკითხის“ ზოგიერთი ასპექტის შესწავლას, როგორც მისი აღმოსავლური პოლიტიკის განუყოფელ ელემენტს XVIII-XIX საუკუნეებში. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს სამეცნიერო ცოდნის ფუნდამენტური პრინციპები წარმოადგენს: ობიექტურობა, ისტორიციზმი და სისტემურობა. ამ პრინციპებმა განსაზღვრა განსახილველი პრობლემის გადასაჭრელად ზოგადი სამეცნიერო და სპეციალური მეთოდების კომბინირებული გამოყენება.

სტატიაში განხილულია ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადი რუსი მოაზროვნეების, მწერლების, პუბლიცისტებისა და პოლიტიკური მოღვაწეების ძირითადი იდეები და შეხედულებები, როგორებიც არიან: რ. ფადეევი, ნ.ი. დანილევსკი, ფ.მ. დოსტოევსკი, გ. ფედოტოვი, მ.ნ. პოკროვსკი და სხვ. თითქმის ყველა, ვინც რუსეთ-კავკასიის ურთიერთობების საწყისის გაგებას ცდილობდა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას „ქართულ ფაქტორს“ აქცევდა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა შავი ზღვის სანაპიროს დაბრუნება და სავაჭრო ფლოტისთვის სრუტეების გავლით ხმელთაშუა ზღვაში გასვლის უფლების მოპოვება იყო. ოსმალეთის იმპერია ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რუსეთს და ხელს უშლიდა მისი გეგმების განხორციელებას არა მხოლოდ ყირიმში, არამედ კავკასიაშიც. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესების ნომერ პირველ ობიექტად იქცა ამიერკავკასიაში.

1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან მიერთების შესახებ. მანიფესტი ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას, ბაგრატიონთა დინასტიისთვის სამეფო ხელისუფლების ჩამორთმევასა და საქართველოს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად გადაყვანას. აღნიშნული გადა-

წყვეტილება განიცადა ერეკლე II-ის შთამომავლებისა და ოპოზიციურად განწყობილი დიდებულების წინააღმდეგობას, თუმცა საქართველო საბოლოოდ რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ამ აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად რუსეთმა შეიქმნა მტკიცე პოზიცია კავკასიაში და დაიწყო სამხრეთის მიმართულებით „აღმოსავლური საკითხის“ გადაწყვეტა.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთ-კავკასიის ურთიერთობები, საქართველო, აღმოსავლური პოლიტიკა.

**Ana Managadze**

Doctor of Russian-Caucasus Relations
Invited Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0003-2596-9486
ana.managadze@tsu.ge

## RUSSIA'S EASTERN POLICY AND GEORGIA

The history of Russia-Caucasus relations represents a long and complex process encompassing political, economic, and cultural ties. The relevance of this topic is particularly pronounced in light of recent intensifications in Russia-Georgia relations, specifically the events of August 2008 and the contemporary conflict zones in the Caucasus.

This paper is dedicated to examining certain aspects of the "Georgian question" in Russian foreign policy as an integral element of its eastern policy during the 18th and 19th centuries. The methodological foundation of the study is rooted in the fundamental principles of scholarly research: objectivity, historicism, and systematic analysis. These principles guided the combined use of general scientific and specialized historical methods in addressing the research problem.

The article analyzes the principal ideas and perspectives of key Russian thinkers, writers, publicists, and political figures concerning this issue, including R. Fadeev, N.I. Danilevsky, F.M. Dostoevsky, G. Fedotov, M.N. Pokrovsky, among others. Nearly all of these intellectuals emphasized the "Georgian factor," seeking to understand the origins and development of Russia-Caucasus relations.

In the 1760s, one of the most significant objectives of Russian foreign policy was the recovery

of the Black Sea coast and securing access for its commercial fleet to the Mediterranean Sea. The Ottoman Empire persistently opposed Russia, obstructing the implementation of these plans both in Crimea and in the Caucasus. Consequently, Georgia became the primary object of Russian strategic interest in the South Caucasus.

On 12 September 1801, Emperor Alexander I signed a manifesto incorporating Georgia into the Russian Empire. The manifesto abolished the Kingdom of Kartli-Kakheti, deprived the Bagrationi dynasty of royal authority, and transformed Georgia into a guberniya within the empire. This resolution faced resistance from the descendants of Erekle II and other opposition-minded nobles; nevertheless, Georgia ultimately became an integral part of the Russian Empire.

Through this active foreign policy, Russia established a firm foothold in the Caucasus and began addressing the “Eastern Question” in the southern direction.

**Keywords:** Russia-Caucasus Relations, Georgia, Eastern Policy

**ტრისტან მაჭარაშვილი**

ისტორიის დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0005-4367-8385
tristanmacharashvili7@gmail.com

# შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება (მედიცინა შუა საუკუნეების საქართველოში)

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე პირველ რიგში სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა. სამეფო კარი უხვად გასცემდა მოწყალებას სნეულთათვის, აშენებდა და ყველაფრით უზრუნველყოფდა ქსენონებსა და სასნეულოებს. შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ყოფილა როგორც სამოქალაქო-პროფესიული, ასევე საეკლესიო-სამონასტრო მედიცინა. საქართველოში ერის განსწავლულ ნაწილს ძირითადად სასულიერო პირები შეადგენდნენ, ამიტომ სამკურნალო საქმესაც სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ, ხოლო სნეულთა მოვლა-მკურნალობა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სპეციალურ დაწესებულებებში მიმდინარეობდა.

შუა საუკუნეების საქართველოში სამედიცინო საქმიანობას უკავშირდებოდა და მაღალ დონეზე იყო განვითარებული ქირურგია. ამას ადასტურებს ისეთი რთული ოპერაციის წარმატებით ჩატარება, როგორიც ტრეპანაცია და გლაუკომის დროს თვალიდან სითხის ამოღებაა, რაც დღესაც კი რთულ ოპერაციად ითვლება. მკურნალობის დროს დიდი როლი ენიჭებოდა ეკლესიას, რწმენასა და სასწაულმოქმედი მკურნალი ხატის წინაშე ლოცვას. ლოცვის მნიშვნელობაზე მიგვითითებს „წიგნი სააქიმოჲ“.

ჯანმრთელობის საწინდრად ჯანსაღი ცხოვრების წესი და ჯანსაღი კვება ითვლებოდა. ასევე ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო პირადი ჰიგიენის დაცვა. საქართველოში მოქმედი ექიმები სახელმწიფო სამუშაოებისაგან თავისუფალი იყვნენ და განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ თავიანთ პრესტიჟს.

**საკვანძო სიტყვები:** მედიცინა, ექიმი, ქსენონო, დაავადება, ოპერაცია, ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, წიგნი სააქიმოი.

**Tristan Macharashvili**

Doctor of History
Senior Research Fellow, Associate Professor
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0005-4367-8385
tristanmacharashvili7@gmail.com

## LIFE IN MEDIEVAL GEORGIAN SOCIETY (MEDICINE IN MEDIEVAL GEORGIA)

The royal authorities primarily prioritized the health of the population. The royal court generously provided charity to the sick and established, equipped, and maintained xenons and hospitals. In medieval Georgia, both civil-professional medicine and ecclesiastical-monastic medicine were practiced. The educated segment of the population was mainly composed of clergy, who also supervised medical care, while the treatment and care of patients were conducted in specialized institutions associated with churches and monasteries.

In medieval Georgia, medical practice was closely linked to surgery, which was highly developed. This is evidenced by the successful performance of complex operations, such as trepanation and the removal of fluid from the eye during glaucoma, which even today are considered difficult procedures. Religion, faith, and prayer before miraculous icons played a significant role in treatment. The importance of prayer is highlighted in the "Book of the Healer" (*Ts'igni Saakimo*).

A healthy lifestyle and proper nutrition were regarded as prerequisites for good health. Personal hygiene was also considered essential for maintaining well-being. Physicians in Georgia were exempt from state duties and were particularly careful to protect their professional prestige.

**Keywords:** medicine, doctor, xenon, disease, surgery, health, healthy lifestyle, *Ts'igni Saakimo.*

**დარეჯან მენაბდე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0007-1183-777X
darejan_menabde@yahoo.com

# სამგზავრო ნარკვევები საქართველოს დაკარგული ტერიტორიებიდან და მათი მსოფლმხედველობრივი დისკურსი (XIX ს.)

სამგზავრო ნარკვევები საქართველოს დაკარგული ტერიტორიებიდან და მათი მსოფლმხედველობრივი დისკურსი (XIX ს.) XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ სამოგზაურო ლიტერატურაში თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ – განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ ქართული რეალობის ასახვა-შესწავლისათვის. მოგვიანებით ამგვარ ინტერესს დიდად შეუწყო ხელი ქართულმა პრესამ – „ცისკარში“, „დროებაში“, „მნათობსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა არაერთი სამგზავრო ნარკვევი, რომლებიც მიმართული იყო არამარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიისა და გეოგრაფიის, ბუნების, ისტორიული ძეგლების, ხალხის ზნე-ჩვეულებების აღწერისკენ, არამედ მკითხველებში ეროვნული ფასეულობების გავრცელებისა და გაღრმავებისაკენაც. ამ ფონზე საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ ტერიტორიებზე არსებული ვითარების აღწერას. მოხსენებაში შევეხებით სამგზავრო ნარკვევებს საქართველოს დაკარგული ტერიტორიებიდან. ესენია: ივანე კერესელიძის „სამგზავრო წიგნების“ (იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“ 1857-1870-იან წლებში) ყველაზე მოცულობითი ნაწილი „სამცხე-საათაბაგო“ („ცისკარი“ 1870, #3-5), რომელშიც აღწერილია იმხანად საქართველოსგან მოწყვეტილი, გამაჰმადიანებული მესხეთის ამბები და დიმიტრი ჯანაშვილის (ფსევდ. ინგილო ჯანაშვილი) „მგზავრის ისტორიული შენიშვნა საინგილოზე“ (ჟურნალი „მნათობი“, 1872, #4-5), რომელშიც საქართველოს კიდევ ერთი დაკარგული კუთხის – საინგილოს – პრობლემებს გადმოგვცემს ავტორი. ორივე ეს თხზულება საყურადღებოა იმით, რომ მწერალი-მოგზაურები მხოლოდ აღწერილობითი ნარატივით არ კმაყოფილდებიან. ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მკითხველზე – ადგილობრივ მოსახლეობაზე – ერთგვარ ზემოქმედებასაც კი, რათა მათ უმძიმეს ცხოვრებისეულ პირობებშიც შეძლონ ისტორიული რეალობის ობიექტურად შეფასება, შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული ღირებულებები.

**საკვანძო სიტყვები:** სამგზავრო ნარკვევები, მესხეთი, საინგილო.

**Darejan Menabde**

Senior Research Fellow
Doctor of Philological Sciences
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Iv.Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0007-1183-777X
darejan_menabde@yahoo.com

## TRAVEL WRITINGS FROM GEORGIA'S LOST TERRITORIES AND THEIR WORLDVIEW DISCOURSE (19TH CENTURY)

Travel Essays from the Lost Territories of Georgia and Their Worldview Discourse (19th c.) From the beginning of the 19th century a new trend appeared in Georgian travel literature – to pay special attention to reflection and study of Georgian reality. Later on, such an interest was greatly facilitated by the Georgian press – a number of travel essays were published in Tsiskari, Droeba, Mnatobi and other magazines and newspapers, which were directed not only to describe the history and geography, nature, historical monuments, customs and traditions of the people of various regions of Georgia, but also to spread and deepen the national values among the readers. Against this background, special importance was given to the description of the situation on the territories remaining outside the borders of Georgia. In the article we will touch upon the travel essays from the lost territories of Georgia. These are: the most extensive part of Ivane Kereselidze's Travel Books (published in magazine Tsiskari in 1857-1870) – Samtskhe-Saatabago (Tsiskari, 1870, №3-5), containing information on Meskheti, separated from Georgia and converted to Islam at that time, and Dimitri Janashvili's (pseudonym Ingilo Janashvili) Traveler's Historical Note on Saingilo (magazine Mnatobi, 1872, №4-5), in which the author conveys the problems of one more lost region of Georgia – Saingilo. Both these works are noteworthy because the writer-travelers are not satisfied only with descriptive narrative. The authors attach great importance to making a certain impact on the readers – the local population – to enable them, even under their most difficult living conditions, to assess objectively the historical reality and retain as far as possible their national self-awareness and

**Keywords:** Travel Essays, Meskheti, Saingilo.

**ნაილე მიქელაძე**

ფილოლოგიის დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო
ORCID: 0009-0008-7225-1067
naile.mikeladze@bsu.edu.ge

## რამდენიმე ტოპონიმის ეტიმოლოგია ხალხური სიტყვიერი მასალებიდან

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარი იქნება ზემო აჭარაში შემონახული რამდენიმე ტოპონიმის გენეზისზე, რომელთა ფესვები ისტორიულ რეალობასთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ საინტერესოა ნიკო ბერძენიშვილის საარქივო მასალებში დაცული ჩანაწერებიც, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს მათ ისტორიულ რეალობას. ამდენად, თემა აქტუალურია და, შესაბამისად, ზეპირსიტყვიერებაში დაცული მასალებიც ღირებული.

**საკვანძო სიტყვები:** აჭარა, ტოპონიმები, გადმოცემები, გენეზისი.

**Naile Mikeladze**

Doctor of Philology
Senior Research Fellow
Batumi State University, Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia
ORCID: 0009-0008-7225-1067
naile.mikeladze@bsu.edu.ge

## ETYMOLOGY OF SEVERAL TOPONYMS FROM ORAL SOURCES

This paper discusses the genesis of several toponyms preserved in Upper Adjara, whose roots are connected to historical reality. Of particular interest are the archival notes preserved in Niko Berdzenishvili's collections, which once again demonstrate their historical authenticity. Therefore, the topic is relevant, and the materials preserved in oral tradition are of considerable value.

**Keywords:** Adjara; Toponyms; Oral Traditions; Genesis

**ნანა მრევლიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახ. ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0008-9099-2387
nan.mrevlishvili@ug.edu.ge

# ღირსი თეოდორა ალექსანდრიელი: ძირითადი რელიგიური მოტივები

მოხსენება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა [FR-24-7685, „ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლების კორპუსი, I"]. იგი ეხება V საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, ღირსი თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრებას. ბერძნულ მწერლობაში შემონახულია ორი რედაქცია: უძველესი, პრემეტაფრასული (ავტორი უცნობია) და მეტაფრასული, რომლის რედაქტორი სვიმეონ მეტაფრასია. ქართულ მწერლობაში თხზულება სამი რედაქციით არის შემოსული:

1. **პრემეტაფრასული** – ხუთი ხელნაწერი, მთარგმნელი უცნობია;
2. **გელათური** – ერთი ხელნაწერი, დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მთარგმნელი უცნობია;
3. **ათონური** – თეოფილე ხუცეს-მონაზონი, ავტოგრაფი დაცულია ათონის მთაზე. ფოტოპირები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მოხსენება მიმოიხილავს **ძირითადი რელიგიური მოტივები**, რომლებიც გამოიკვეთა თხზულებაში:

- ცდუნება და მაცდუნებელი
- ცოდვით დაცემა – ცოდვა და მცოდველი
- სინდისი და სინანული
- ასკეტიზმი – სულიერი მოსაგრეობა: ლოცვა, მარხვა, სიმდაბლე
- ცილისწამება – განსაცდელი და მორჩილება
- სასწაულები – ღვთის მიერ წმინდანად გამორჩევის მტკიცებულება
- წმინდანის გარდაცვალება – სულიერი მოსაზრების დამაგვირგვინებელი აქტი

**საკვანძო სიტყვები:** ღირსი თეოდორა ალექსანდრიელი; პრემეტაფრასული და მეტაფრასული რედაქციები; ნათარგმნი ჰაგიოგრაფია; რელიგიური მოტივები ჰაგიოგრაფიაში; ასკეტიზმი

**Nana Mrevlishvili**

Doctor of Philological Sciences
Associate Professor, Senior Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0008-9099-2387
nan.mrevlishvili@ug.edu.ge

## THE MAIN RELIGIOUS MOTIFS IN THE LIFE OF THE VENERABLE THEODORA OF ALEXANDRIA

This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [FR-24-7685, "Corpus of Georgian Translated Hagiography, I"]. It concerns the life of the 5th-century ecclesiastical figure, Venerable Theodora of Alexandria. The Greek tradition preserves two recensions: the earliest, pre-metaphrastic (author unknown), and the metaphrastic version revised by Symeon Metaphrastes. In Georgian literature, the work exists in three recensions:

1. **Pre-metaphrastic** – preserved in five manuscripts, translator unknown;
2. **Gelati** – one manuscript, held at the Kutaisi State Historical and Ethnographic Museum, translator unknown;
3. **Athonite** – translated by the monk-priest Theophilos, autograph preserved on Mount Athos. Photographic copies are kept at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts.

The paper highlights the **main religious motifs**:

- Temptation and the tempter
- The fall into sin – sin and the sinner
- Conscience and repentance
- Asceticism – spiritual striving: prayer, fasting, humility
- Slander – trial and obedience
- Miracles – evidence of divine election to sainthood
- The saint's death – the crowning act of spiritual striving

**Keywords:** Venerable Theodora of Alexandria; Pre-metaphrastic and Metaphrastic recensions; Translated hagiography; Religious motifs in hagiography; Asceticism

**ნადიმ ვარშანიძე**

დოქტორი
პროფესორი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
n.varshanidze@gmail.com

## ქართული ცივილიზაციური იდენტობის რეტროსპექტიული თუ თანამედროვე გააზრებისთვის

მართალია, ქართული კულტურულ-ცივილიზაციური იდენტობის თავდაპირველი მონახაზი აღმოსავლეთის ზეგავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ არ გამხდარა მისი ორგანული ნაწილი. ეს ქართველური სამყაროს ალტერნატიული პოლიტიკური კულტურით კი არა, უფრო ჩვენი ყოფის არქაიზმით, სახელმწიფოებრიობის სუსტი განვითარებითა და პერიფერიაზე ყოფნით უნდა აიხსნას. დაახლოებით იგივე განმეორდა ანტიკურ სამყაროსთან მიმართებაშიც. მოსახლეობის ფართო ფენებში ადგილობრივი კულტურული ფასეულობები ფუნდამენტურად არ შეცვლილა. როგორც ყველგან, ანტიკური ცივილიზაცია თავდაპირველად თავის ზეგავლენას, ძირითადად, ელიტებზე ახდენდა. ზღვისპირა კოლონიებისა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობების საშუალებებით ქმნიდა საქალაქო ცენტრებს, ამყარებდა მჭიდრო სავაჭრო და პოლიტიკურ კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. აკულტურიზაციის მეორე ეტაპი ამგვარი ინფრასტრუქტურის ჰინტერლანდში გადატანით ხასიათდებოდა. ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, საქართველოში ანტიკურობა სწორედ ამ ეტაპზე შეჩერდა. შემთხვევითი არაა, რომ ყველა კოლონია, სავაჭრო ფაქტორია თუ ციხე-სიმაგრე მეტროპოლიაში წარმოჩენილი კრიზისებთან ერთად „ავადდებოდა“. იგივე განმეორდა ადრებიზანტიურ ხანაში, როდესაც ადგილობრივი სახელმწიფოების გაძლიერებისთანავე ზღვისპირეთში განლაგებული თითქმის ყველა საეკლესიო თუ სამხედრო ცენტრი ჰინტერლანდისკენ გადაადგილდა. თუმცა შეუძლებელია, არ დაინახო ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, მარტო ერთიანი იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცევამ უდიდესი ცივილიზაციური გარღვევა მოახდინა – ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ქრისტიანიზაციას. ეს იყო საქართველოსთვის გადამწყვეტი ეპოქა. შემთხვევითი არაა, ადრე შუა საუკუნეებში ლაზიკა და ქართლი ბიზანტიასა და აღმოსავლეთს შორის ცივილიზაციურ არჩევანს აკეთებს. აღმოსავლეთის აქტივობა მხოლოდ იმდროინდელ გეოსტრატეგიულ კონიუნქტურას ან ამ სამყაროსთვის „დამახასიათებელ“ აგრესიულობას არ უნდა მივაწეროთ. ბუნებრივია იმდროინდელი და მომდევნო ეპოქების აღმოსავლეთის მესვეურთა ყოფილი პერიფერიის დაბრუნების სურვილი, მითუმეტეს რომ ის მოწინააღმდეგე მხარის ორგანულ ნაწილად არ აღიქმება. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საკუთრივ ბიზანტიაც არ ყოფილა „სუფთა დასავლეთი“. აღმოსავლური ელემენტი მისი ერთ-ერთი ორგანული ნაწილი იყო ქრისტიანობასა და ანტიკურ მემკვიდრეობასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ნაწილობრივი ისლამიზაცია შემთხვევითობა კი არა, ობიექტური ისტორიული პრო-

ცესის შედეგია. კავკასიაში რუსეთის გამოჩენა ძველი, ბიზანტიური იდეის აღორძინების ტოლფასი აღმოჩნდა. ობიექტურად თუ შევხედავთ მოვლენებს, გავიგებთ, რომ ერს, რომელმაც დაკარგა ისტორიული დროის შეგრძნება, არ შეეძლო „მესამე რომთან“ კავშირით საუკუნოვანი მტრების მოშორებაზე უარი ეთქვა. თუმცა, საკუთრივ რომისა და განსაკუთრებით ბიზანტიისგან განსხვავებით, მოსკოვთან ურთიერთობებმა, ეროვნული სხეულის გამთლიანების მიუხედავად, არ გამოიწვია სახელმწიფოებრივი აღზევება. ამის მთავარ მიზეზად რუსეთთან შედარებით ნაკლები საერთო კულტურულ-ისტორიული ფასეულობები, საკუთრივ რუსული სახელმწიფოს სპეციფიკა და, რაც მთავარია, „მინავლებული“ ქართული ეროვნული იდეის არაქმედითუნარიანობა გვესახება. თუმცა რუსეთთან ორსაუკუნოვანი თანაცხოვრება მაინც ნაყოფიერი აღმოჩნდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში რუსეთის გავლით თითქმის მთლიანად მივიწყებული დასავლური ტალღა შემოიჭრა. ამ, შეიძლება ითქვას, მეორე ცივილიზაციური არჩევანის სიმბოლო, უდავოდ, ილია ჭავჭავაძე გახდა. მისი მკვლელობა ამ იდეის დუალიზმზე მიგვანიშნებს, რომელსაც პროგრესულთან ერთად დესტრუქციული საწყისიც აქვს. თანამედროვე ეტაპი სწორედ ამ დუალიზმითაა დეტერმინირებული. მესამე დასის თუ დღევანდელი მმართველი კლასების გზა ფაქტობრივად იმეორებს ანტიკური ხანის ელიტების არაორგანულობასა და არაკონტექსტურობას, როდესაც ხდება ამა თუ იმ იდეის იმიტაცია და არა შემოქმედებითი გადამუშავება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამან უკვე საერთოეროვნული ხასიათი მიიღო.

**საკვანძო სიტყვები:** აღმოსავლეთი, ანტიკური სამყარო, ქრისტიანობა, ბიზანტია, ისლამი, რუსეთის იმპერია, თანამედროვე ცივილიზაციური არჩევანი.

**Nadim Varshanidze**

Doctor
Professor
Batumi State Maritime Academy
n.varshanidze@gmail.com

## ON A RETROSPECTIVE OR CONTEMPORARY UNDERSTANDING OF GEORGIAN CIVILIZATIONAL IDENTITY

Although the initial outlines of the Georgian cultural and civilizational identity were formed under the influence of the East, it did not become its organic part. This should be explained not by the alternative political culture of the Georgian world, but by the archaic nature, the

გალობის მხატვრული სტრუქტურა ორიგინალურია, რადგან თანმიმდევრულად აერთიანებს შეხედულებებს ღმერთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ. ღმერთის სახელები — მარტივი, სრული, სამ-მზე, ერთცისკროვნება — მოდის საღვთისმეტყველო და პატრისტიკული მწერლობიდან. სამყარო წარმოდგენილია, როგორც ერთიანი მთლიანობა, რომლის მწვერვალიც ადამიანია, შექმნილი ღვთის მსგავსად, თუმცა დაკარგული პირველსახით და სულიერად გამოწვეული ედემის უკუმოღების გზით.

გალობა ასწავლის ადამიანს ღვთის ნების შესაბამისად მოქმედების აუცილებლობასა და სულიერ სრულყოფას, ზნეობრივ სრულყოფასა და ღმერთთან სულიერ კავშირს. საგალობელი გამოხატავს ადამიანის მისიას, დანიშნულებას სამყაროში და ადამიანის ადგილს ღვთის წინაშე, რაც განხორციელდება საფეხურებით სულიერი ზრდისა და ზნეობრივი სრულყოფის გზაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ღმერთი, სამყარო, ადამიანი, დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“

**Nestan Sulava**

PhD in Philology
Associate Professor / Visiting Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Samtskhe-Javakheti State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-7808-8722
nestan.sulava@tsu.ge

## GOD, THE WORLD, AND HUMANITY IN DAVID IV THE BUILDER’S GALOBANI SINANULISANI

David IV the Builder’s *Galobani Sinanulisani* represents a pinnacle of Georgian hymnography, notable for its intellectual framework, artistic originality, expressive richness, and theological depth. The hymn explores the relationships between God, humanity, and the world, which are of paramount importance on the complex path of human spiritual development. Humanity, created in the image of God, commits acts contrary to the Creator’s will, losing likeness and perfection, which provides the basis for profound repentance. Through confession, the hymnographer seeks to overcome human imperfection.

The hymn, in its conceptual, thematic, and expressive aspects, closely aligns with the psalms and the hypodigmatic-paradigmatic structure of St. Andrew of Crete’s *Great Canon*. It incorporates biblical narratives, characters, and enigmas. The lyrical hero’s lament, filled with penitence, is directed toward God and reflects the confessional process that guides the believer toward becoming a celestial citizen.

The artistic structure of the hymn is original, presenting systematically the views on God, the Virgin Mary, the world, and humanity. Divine names—such as Simple, Complete, Triune, and Single-Sphere—derive from theological and patristic literature. The created world is conceived as a unified whole, with humanity as its apex, made in the image of God yet fallen from the original state, embarking on the arduous path of returning from Eden.

The hymn teaches the necessity of acting according to God’s will, pursuing spiritual elevation, moral perfection, and communion with God. It conveys humanity’s mission, its place in the cosmos, and its role before God, realized step by step along the path of spiritual and moral perfection.

**Keywords:** God, World, Humanity, David IV the Builder, *Galobani Sinanulisani*

**ლალი ფირცხალავა**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0006-4592-0873
lalipirtskhalava@yahoo.com

# ვირჯინია ოლდოინის – კასტილიონეს გრაფინიას სამეფო კარის თამაშები

გრაფინია ვირჯინია ოლდოინი (1837-1899), იტალიელი დიდგვაროვანი და თავისი დროის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი, ხშირად იწოდებოდა „ოლიმპოდან ჩამოსულ ქალღმერთად". იგი გამოირჩეოდა არა მხოლოდ შარმითა და სილამაზით, არამედ ისტორიული მოვლენების მსვლელობაზე მნიშვნელოვანი გავლენითაც. ვირჯინია იყო საიდუმლო აგენტი საფრანგეთის სამეფო კარზე და ასრულებდა ბიძაშვილის, კამილო კავურის, მითითებებს, ე.წ. „საწოლის პოლიტიკის" მეშვეობით.

გრაფინია იყო ნაპოლეონ III-ის ყველაზე ცნობილი საყვარელი და საფრანგეთში ცნობილი „იმპერიის მიზიდულობის ოქროს სიმბოლოდ". ვირჯინია გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტით, მრავალენოვანი უნარით, მუსიკისა და ცეკვის ხელოვნებით. contemporaries მას „იტალიის მარგალიტს" უწოდებდნენ. როგორც გამოცდილი მხედარი, თავისუფლად ჯირითობდა ცხენზე, იყო კარგი მსროლელი და საჯაროდ სიგარეტს ეწეოდა, რაც XIX საუკუნეში უჩვეულო იყო.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, 1870 წელს, გრაფინია საიდუმლოდ შეხვდა ოტო ფონ ბისმარკს და მოახერხა მისი დაყოლიება, თავი შეეკავებინა პარიზის ოკუპაციისგან. ასევე, ის იყო ფოტოგრაფიის ადრეული პერიოდის მნიშვნელოვანი ფიგურა, იმპერატორი კარის ფოტოგრაფი პიერ-ლუი პიერსონის მოდელი, 400-ზე მეტი ფოტო შემორჩა. მისი ჩაცმულობა, სამკაულები და მაღალი გემოვნება საფრანგეთში და იტალიაში ძალიან პოპულარული იყო.

გრაფინია გარდაიცვალა 62 წლის ასაკში სრულ მარტოობაში. გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთის პოლიციამ და საიდუმლო სამსახურებმა დაწვეს მის სახლში არსებული ყველა დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებული იყო მაღალი რანგის პირებთან. იტალიის მეფის, უმბერტო I-ის, ბრძანებით, დაკრძალეს პერ ლაშეზის სასაფლაოზე, პარიზში. მისი ღვაწლი იტალიის გაერთიანების საქმეში დღესაც აღიარებულია.

**საკვანძო სიტყვები:** ვირჯინია ოლდოინი კასტილიონეს გრაფინია, კამილო კავური, ნაპოლეონ III, ოტო ფონ ბისმარკი, საფრანგეთ-პრუსიის ომი, ფოტოგრაფია.

**Lali Pirtskhalava**

PhD in History
Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0006-4592-0873
lalipirtskhalava@yahoo.com

## VIRGINIA OLDOINI, COUNTESS OF CASTIGLIONE: THE ROYAL COURT GAMES

Countess Virginia Oldoini (1837-1899), an Italian noblewoman and one of the most beautiful women of her time, was often called a “goddess descended from Olympus.” She was distinguished not only by her beauty and charm but also by her significant influence on historical events. Virginia served as a secret agent at the French royal court, carrying out the directives of her cousin, Count Camillo Cavour, through so-called “pillow diplomacy.”

Countess Oldoini was the most famous mistress of Napoleon III and known in France as the “Golden Symbol of the Empire’s Allure.” She possessed exceptional intelligence, multilingual skills, and mastery of music and dance. Contemporaries called her the “Pearl of Italy.” A skilled horsewoman, marksman, and unconventional smoker, she captivated European elites with her presence and charisma.

During the Franco-Prussian War in 1870, she secretly met with Otto von Bismarck, successfully persuading him to restrain from occupying Paris. She was also a prominent figure in early photography, serving as the primary model for imperial court photographer Pierre-Louis Pierson, leaving over 400 photographs. Her taste in fashion and jewelry, and her elegance, made her a renowned figure in France and Italy.

Countess Castiglione died in solitude at age 62. Following her death, French police and intelligence destroyed all documents related to high-ranking officials. By order of King Umberto I of Italy, she was buried at Père Lachaise Cemetery in Paris. Her contributions to Italy’s unification are still recognized today.

**Keywords:** Virginia Oldoini, Countess of Castiglione, Camillo Cavour, Napoleon III, Otto von Bismarck, Franco-Prussian War, Photography

**ნანა ფრუიძე**

ფილოლოგიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0003-0358-2974
nan.pruidze@ug.edu.ge

# რაფიელ ერისთავი – ი. კრილოვის იგავ-არაკების მთარგმნელი

რაფიელ ერისთავის სახელი ყველა ქართველისთვის კარგადაა ცნობილი. მისი „სამშობლო ხევსურისა" დღემდე რჩება პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. რაფიელი, მართალია, სამოციანელთა უფროსი contemporary იყო, მაგრამ იდეურად მათი თანამოაზრე გახლდათ. არ დარჩენილა იმ დროისათვის აქტუალური არცერთი საკითხი, რომელსაც რაფიელ ერისთავი არ შეხებია თავის თხზულებებში. თავის დროზე ძალზე პოპულარული იყო არა მარტო მისი პოეზია, არამედ მოთხრობები, პიესები და ვოდევილები. რაფიელ ერისთავი არა მარტო ორიგინალურ ნაწარმოებებს ქმნიდა, არამედ ხშირად თარგმნიდა ევროპელი თუ რუსი ავტორების ტექსტებსაც.

რაფიელ ერისთავის თხზულებები ხშირად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში; ავტორის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც არაერთი კრებული დაიბეჭდა. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა არ. კალანდაძისა და ალ. დრევიჩის მიერ გამოცემული ოთხტომეული, რომელიც, სავარაუდოდ, მწერლის უშუალო მონაწილეობით მომზადდა. მათი გადათვალიერება გვარწმუნებს, რომ რაფიელი პოეტური ქმნილებების თარგმნას უთმობდა განსაკუთრებულ ყურადღებას. მის მიერ გადასათარგმნად შერჩეული თხზულებები, როგორც წესი, გამოირჩევა არა მარტო იდეური სიღრმით, არამედ მაღალმხატვრული ფორმითაც.

მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის მაქსიმალურად ინარჩუნებს როგორც დედნის აზრობრივ, ისე ფორმობრივ ღირსებებს. ისევე, როგორც სამოციანელებს, რაფიელ ერისთავსაც სწამდა, რომ სიტყვაკაზმული მწერლობა, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურში უნდა მდგარიყო და ადამიანების სულიერი თუ ზნეობრივი გაუმჯობესებისათვის უნდა შეეწყო ხელი. ალბათ ამანაც განაპირობა მისი დაინტერესება იგავ-არაკებით. მან სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" მიხედვით გალექსა 16 იგავი; ასევე, ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე ი. ვ. კრილოვის იგავ-არაკები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მწერალმა 1878 წელს თარგმნა; პირველად აკაკი წერეთელმა გააჟღერა ეს ინფორმაცია.

მან გაზ. „დროებაში" (1878, #107) გამოქვეყნებული სტატია „მცირე რამ შენიშვნები" ასე დაასრულა: „იმას (რაფიელ ერისთავს – ნ.ფ.) აქვს კრილოვის ზღაპრები და ცოდვა რა

არის, რომ ის ასე ხელნაწერად რჩებოდეს და ობროდობროები კი იბეჭდებოდეს, როგორც სახალხო რამ?“ საგულისხმოა, რომ აკაკის ამ შენიშვნის გამოქვეყნებიდან მალევე, იმავე 1878 წელს, გამოსცა გრ. ჩარკვიანმა რაფიელის მიერ თარგმნილი ი. კრილოვის იგავ-არაკები, რაც ქართველი მკითხველისთვის მართლაც ძვირფასი შენაძენი იყო.

მკითხველთა ინტერესზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ეს კრებული რამდენჯერმე გამოიცა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე სრულის 1895 წელს, ქართველთა ამხანაგობის მიერ ცალკე წიგნად დაბეჭდილი რაფიელ ერისთავის მიერ თარგმნილი და გადმოკეთებული იგავ-არაკები (სულ 66 იგავი).

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ რაფიელ ერისთავი, როგორც მთარგმნელის ოსტატობა, მეთოდები, მასალის შერჩევის პრინციპი და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი, იგავ-არაკი, მხატვრული თარგმანი.

**Nana Pruidze**

Doctor of Philology
Associate Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0003-0358-2974
nan.pruidze@ug.edu.ge

## RAPHIEL ERISTAVI — TRANSLATOR OF I. KRILOV’S FABLES

The name of Raphael Eristavi is well-known to all Georgians. His work *“Samskhlo Khevsurs’a”* remains one of the finest examples of patriotic lyric poetry. Although Eristavi was a contemporary of the older members of the 1870s literary generation, he was ideologically aligned with them. There is no topic of contemporary relevance of his time that Raphael Eristavi did not touch upon in his writings. He was highly popular not only for his poetry but also for his stories, plays, and vaudevilles. Eristavi did not only create original works but frequently translated texts by European and Russian authors.

Eristavi’s works were regularly published in the Georgian periodical press, both during his lifetime and posthumously. Among the most notable editions is the four-volume set edited by A. Kalandadze and A. Drevech, likely prepared with Eristavi’s direct involvement. Examination of these works shows that he paid special attention to translating poetic creations. His selected

works for translation are characterized not only by ideological depth but also by high artistic form.

It is worth noting that Eristavi, like other literary figures of the 1870s generation, believed that literary production should primarily serve public interests and contribute to the spiritual and moral improvement of people. This likely inspired his interest in fables. Following Sulkhan-Saba Orbeliani's *"Wisdom in Lies"*, he compiled 16 fables; he was also among the first to translate I. V. Krilov's fables into Georgian. The majority of these translations were completed in 1878, first publicized by Akaki Tsereteli.

In the journal *Droeba* (1878, #107), Tsereteli concluded an article "Minor Notes" with the following remark: "Raphael Eristavi possesses Krilov's fables, and what sin is it that they remain in manuscript and circulate in print like folk tales?" Notably, shortly after this publication, in the same year, Gr. Charkviani published Eristavi's translations of Krilov's fables, which became a valuable acquisition for Georgian readers.

The interest of readers is evidenced by the fact that this collection was reprinted several times. One of the most complete editions was printed in 1895 by the Society of Georgian Friends, featuring all 66 fables translated and adapted by Raphael Eristavi.

This article aims to present Raphael Eristavi as a skilled translator, examining his methods, selection principles, and translation artistry.

**Keywords:** Raphiel Eristavi, fable, artistic translation.

**ანა ფუტკარაძე**

ფილოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
Anuki.futkaradze@gmail.com

# სატრფიალო-სალაღობო ლექს-სიმღერები ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით

ნაშრომში შესწავლილია ეგნატე ნინოშვილის (1859-1894) მოთხრობებიდან ამოკრებილი შაირები. ანალიზი მოიცავს შაირების შექმნის მოტივებსა და ამ მოტივზე აგებულ პერსონაჟთა სახე-ტიპებს. მწერლის შემოქმედების ზეპირსიტყვიერებასთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა სატრფიალო-სალაღობო პოეზიასთან მათი სისხლხორცეული კავშირი, რომელიც განსაკუთრებით გამოხატავს ხალხური ლირიკის ტრადიციასა და გენეზისს.

ეგნატე ნინოშვილი იყენებს ლაღ, ხალას, ხალხის წიაღში დაბადებულ სტრიქონებს, რომლებიც მასის აღფრთოვანების საგანი გამხდარა და თაობიდან თაობას გადაცემულა. ხალხური სატრფიალო-სალაღობო ლექს-სიმღერები, რომლებიც მთელი სისავსით გამოხატავენ მრავალთა გულისთქმასა და მისწრაფებებს, მწერალმა დიდებულად გამოიყენა პერსონაჟთა პორტრეტებისა და სოციუმის დასახასიათებლად.

კვლევის მიზნებია: განსაზღვროს ხალხური ლირიკის როლი ნინოშვილის მოთხრობებში; წარმოჩინდეს პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები; გამოიკვეთოს შაირის ფუნქცია მოთხრობათა იდეის ანალიზში. კვლევამ ცხადყო, რომ ნინოშვილის შექმნილი სახე-ტიპები, მიუხედავად ჟამთასვლისა, დღემდე აქტუალურობას ინარჩუნებენ თავიანთი აზროვნების სპეციფიკით. აღსანიშნავია, რომ მოქმედი პირების მსოფლმხედველობის გაანალიზებაში შაირთა როლი უმნიშვნელოვანესია.

კვლევაში გამოყენებულია სინთეზის, ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის მეთოდები.

**საკვანძო სიტყვები:** სოციუმი, მსოფლმხედველობა, შაირი, ფსიქოლოგიური პორტრეტები.

**Ana Futkaradze**

Master in Philology, PhD Candidate
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
Anuki.futkaradze@gmail.com

## LOVE AND PLAYFUL SONGS IN THE STORIES OF EGNATE NINOSHVILI

This study examines the *sha'ires* (short lyrical verses) extracted from the stories of Egnate Ninoshvili (1859-1894). The analysis focuses on the motives behind these verses and the character types built upon them. Considering Ninoshvili's engagement with oral traditions, these love and playful poems demonstrate a vivid connection to folk lyrical traditions and their genesis.

Ninoshvili incorporates lively, popular lines born directly from the people, which captivated audiences and were passed down through generations. These folk love and playful verses, expressing the hearts and aspirations of many, were skillfully used by the author to portray character portraits and to characterize the social environment.

The study aims to determine the role of folk lyricism in Ninoshvili's stories, highlight the psychological portraits of the characters, and identify the function of the *sha'ire* in the analysis of the story's ideas. The research demonstrates that the character types formed by Ninoshvili, despite the passage of time, remain relevant today due to the specificity of their mindset. Notably, the *sha'ires* play a crucial role in analyzing the worldview of the characters.

The research employs synthesis and functional-semantic analysis methods.

**Keywords:** society, worldview, sha'ire, psychological portraits

**კახაბერ ფიფია**

ისტორიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
kaxaberp@gmail.com

# ტერმინ „სუანო-კოლხების“ გაგებისათვის

კლავდიუს პტოლემაიოსი, პლინიუსისა და არიანესაგან განსხვავებით, კოლხეთის სანაპიროზე მხოლოდ ლაზებსა და სუანო-კოლხებს ასახელებს. რით უნდა აიხსნას პტოლემაიოსის რუკიდან აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაქრობა? როგორც უკანასკნელ პერიოდში გაგრის რაიონში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე შესრულებული ბერძნული წარწერიდან ირკვევა, II ს. შუახანებისათვის ლაზთა მეფე პაკორს დაუმორჩილებია სანიგთა გაერთიანება, რაც გულისხმობს იმას, რომ მას უფრო ადრე შემოერთებული ჰქონდა აფსილებისა და აბაზგების მცირე გაერთიანებები. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ პტოლემაიოსი უკვე აღარ იხსენიებს აფსილებს, აბაზგებსა და სანიგებს. ის ზუსტად ასახავს ახალ რეალობას და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთელ ტერიტორიაზე სარმატიამდე მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ერთეულს – კოლხეთს იხსენიებს.

რაც შეეხება სუანო-კოლხებს, რომლებმაც ჩაანაცვლეს არიანესეული სანიგები, ეს ტერმინი ეთნო-პოლიტიკური მნიშვნელობისაა და სავარაუდოდ აღნიშნავს სვანს, რომელიც კოლხეთის (ლაზიკის) სამეფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს.

**საკვანძო სიტყვები:** პტოლემაიოსი, სვანო-კოლხები, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი, სანიგეთი.

**Kakhaber Phiphia**

Doctor of History
Associate Professor
Sokhumi State University
Tbilisi, Georgia
kaxaberp@gmail.com

## ON THE TERM "SUANO-COLCHIANS"

Unlike Claudius Ptolemy, who differs from Pliny and Arrian, only the Laz and the Suano-Colchians are mentioned along the coast of Colchis. How should one explain the disappearance of the Apsilae, Abasgi, and Sanigae from Ptolemy's map? According to a recently discovered Greek inscription on a silver cup found in the Gagra region, by the mid-2nd century King Pacorus of the Laz had subdued the union of the Sanigae. This, naturally, implies that he had earlier incorporated the smaller unions of the Apsilae and the Abasgi into his kingdom. This explains why Ptolemy no longer mentions the Apsilae, Abasgi, and Sanigae. He reflects the new reality with precision, identifying only one political entity in the entire eastern Black Sea region up to Sarmatia — Colchis.

As for the Suano-Colchians, who replaced Arrian's Sanigae, this term carries ethno-political significance and should be understood as referring to Svans living within the territory of the Colchian (Lazican) kingdom.

**Keywords:** Ptolemy, Suano-Colchians, Northwestern Colchis, Sanigae

**ნინო ქართველიშვილი**

დოქტორანტი
პროფესიული განვითარების ქოუჩი
სს საქართველოს ბანკი
თბილისი, საქართველო
nibukartvelishvili@gmail.com

# უცხოური ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის რამდენიმე მიზეზის გამო.

ეკონომიკური ზრდა — უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფს კაპიტალს, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. ფულის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების შემოტანით, ის ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, წარმოების გაზრდას და ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის ამაღლებას.

ტექნოლოგიების ტრანსფერი — კერძო უცხოელ ინვესტორებს ხშირად მოაქვთ მოწინავე ტექნოლოგიები, მენეჯმენტის პრაქტიკა და ბიზნეს მოდელები, რომლებიც ზრდის ადგილობრივი ინდუსტრიების პროდუქტიულობასა და ეფექტურობას. შედეგად, შესაძლოა ახალი დარგები განვითარდეს და არსებული ინდუსტრიები განახლდეს.

**საკვანძო სიტყვები:** უცხოური ინვესტიცია, ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიების ტრანსფერი, განვითარებადი ქვეყნები.

**Nino Kartvelishvili**

PhD Candidate
Professional Development Coach
JSC Bank of Georgia
Tbilisi, Georgia
nibukartvelishvili@gmail.com

## FOREIGN INVESTMENTS IN DEVELOPING COUNTRIES

Foreign direct investment is crucial for developing countries for several reasons.

Economic Growth — FDI provides capital that can stimulate economic growth. By bringing in money, businesses, and technologies, it supports job creation, increases production, and boosts the overall economy of a developing country.

Technology Transfer — Foreign private investors often introduce advanced technologies, management practices, and business models that can increase the productivity and efficiency of local industries. This can lead to the development of new sectors and the modernization of existing ones.

**Keywords:** foreign investment, economic development, technology transfer, developing countries.

**ნინო ქოთოლაშვილი**

მაგისტრი
მასწავლებელი
ევროპული სკოლა
თბილისი, საქართველო
nino.kotolashvili@europeanschool.ge

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი: რელიგია, უსაფრთხოება და იდენტობის პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991) საქართველო ძალადობრივ სეპარატისტულ კონფლიქტებს შეეჯახა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და დღემდე ვერ მოახერხა ეფექტური სახელმწიფო კონტროლის აღდგენა. ამავე დროს აჭარა — განსხვავებული რელიგიური კომპოზიციისა და სასაზღვრო მდებარეობის მიუხედავად — საქართველოს კონტროლირებად რეგიონად რჩება.

კვლევის მიზანია გამოიკვეთოს ისტორიული, რელიგიური, გეოპოლიტიკური და ინსტიტუციური ფაქტორები, რომლებმაც პოსტ-საბჭოთა პერიოდში აჭარის შედარებით მშვიდობიანი ინტეგრაცია უზრუნველყო. განხილულია 1878 წლიდან მოყოლებული პერიოდი, როდესაც აჭარა ოსმალეთის იმპერიიდან რუსეთის იმპერიას შეუერთდა, საბჭოთა პერიოდში აჭარის ასსრ-ის შექმნა, ასევე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები.

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისლამის როლს რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბებაში, რომელიც არ გადაქცეულა სეპარატისტულ ნაციონალიზმად. ასევე მიმოიხილება 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებისა და საბჭოთა ეთნოფედერალური პოლიტიკის გავლენა აჭარის ავტონომიის ინსტიტუციურ ჩამოყალიბებაზე. ანალიზის საგანია ასლან აბაშიძის მმართველობის სპეციფიკაც, რომელმაც ავტორიტარული მმართველობა დამოუკიდებლობის მოთხოვნის გარეშე უზრუნველყო.

საბოლოოდ, აჭარის შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორ იქცა ეთნო-ლინგვისტური იდენტობა, გეოპოლიტიკური პრაგმატიზმი და ინსტიტუციური შეკავების მექანიზმები მშვიდობიანი ინტეგრაციის და კონფლიქტის თავიდან არიდების მნიშვნელოვან ფაქტორებად პოსტ-საბჭოთა კავკასიაში.

**საკვანძო სიტყვები:** აჭარა, ავტონომია, სახელმწიფოს მშენებლობა, გეოპოლიტიკა.

**Nino Kotolashvili**

Master's Degree
Teacher
European School
Tbilisi, Georgia
nino.kotolashvili@europeanschool.ge

## THE STATUS OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA: RELIGION, SECURITY, AND IDENTITY POLITICS

Following the collapse of the Soviet Union (1991), Georgia faced violent separatist conflicts in Abkhazia and the so-called South Ossetia and has not yet regained effective state control. Despite its autonomous status, distinct religious composition, and border location, Adjara has remained under Georgian control.

The aim of this study is to identify the historical, religious, geopolitical, and institutional factors that contributed to the relatively peaceful integration of Adjara in the post-Soviet period. The research examines the period beginning in 1878, when Adjara shifted from the Ottoman Empire to the Russian Empire, through the Soviet-era creation of the Adjara ASSR, and up to developments of the late 20th and early 21st centuries.

The study highlights the role of Islam in shaping regional identity, which did not evolve into separatist nationalism. It also reviews the impact of the 1921 Treaty of Kars and the Soviet Union's ethno-federal policy as instruments of institutional and geopolitical compromise. Furthermore, it explores the unique configuration of power under Aslan Abashidze in the 1990s and early 2000s, which secured authoritarian rule without separatist demands.

Ultimately, the case of Adjara demonstrates how ethno-linguistic identity, geopolitical pragmatism, and institutional mechanisms of containment functioned as key factors in peaceful integration and conflict prevention in the post-Soviet Caucasus.

**Keywords:** Adjara, autonomy, state building, geopolitics

**ნანა შავთვალაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
n.shavtvaladze@ug.edu.ge

# „ზმნის უღლების სისტემის სწავლება ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად (II სერია)“

ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას არა მარტო ქართული ანბანი, ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური, სტილისა თუ ლექსიკის საკითხები ისწავლება, არამედ ტივტივდება ერის ცნობიერების მნიშვნელოვანი დეტალები. დეტალები შეადგენს ერთ მთლიანობას, რომელიც ერის ხასიათს, ჩვევებს, ტრადიციებსა და ქმედებებს განსაზღვრავს. დამეთანხმებით, რომ განსაკუთრებით რთული და თითქმის შეუძლებელია იმ წყლის სისუფთავის დადგენა, რომელშიც ვცურავთ. ის რაც ჩვენია, ჩვენში შესისხლხორცებულია და ამის გამოყოფა, აღქმა ან გარჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ენისადმი ლინგვისტურ მიდგომა გასაგებია, მაგრამ ამასთან ერთად ყველას აინტერესებს, როგორია ამა თუ იმ ერის მთლიანი კულტურული სახე. მით უმეტეს აქტუალური მაშინ გახდა, როცა დღეს მსოფლიოში განსხვავებული კულტურისა და ეროვნების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად მოღვაწეობენ. ამიტომაც დღევანდელმა მსოფლიო ცხოვრებამ ეს მოთხოვნა მოიტანა. ამერიკელმა *ერინ მეიერმა* ამ გამოწვევას წიგნით, „კულტურული რუკა“, უპასუხა. აქ პრაქტიკული ხედვით მრავალი ერია წარმოჩენილი თავისი კულტურული მიდგომით, მაგრამ არა – საქართველო. *ერინ მეიერის* შეფასების სქემა და კვლევა საკმაოდ შთამბეჭდავია. მთავარ სირთულეს ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლისას ინება ეს ევროპელი. ამერიკელი თუ აზიელი სტუდენტი, წარმოადგენს ქართული ზმნის სტრუქტურასა და მის ფორმაცვალების კანონზომიერებებში გარკვევა. შესაბამისად, იმ მეთოდური მიდგომების შემუშავება, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება ზმნის უღლების სისტემის აღქმასა და გაცნობიერებაში, ძალზე მნიშვნელოვანია.

ცხადია, ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს და დღემდე შექმნილ სახელმძღვანელოებში სხვადასხვა ხარისხითა და დოზით არის წარმოდგენილი ზმნის ფუნქცია-აქტივობის ველი. თუმცა ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე დავრწმუნდით, რომ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა, ჩაშლა, თითოეული სერიისა და მწკრივის თავისებურების გათვალისწინება სწავლების დონესთან მიმართებით. ზმნათა კატეგორიების გამოყოფა და მათ სამეტყველო ფაზაში გამოყენების ასახვა მარტივი დონიდან უმაღლეს დონემდე. ანუ, რას იყენებს შემსწავლელი მეტყველებაში, ზმნის რომელ ფორმებს, რა მიზნითა და სიხშირით. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ მეორე სერიის მწკრივების ფორმების სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები და ამ გამოწვევებთან გამკლავების

ჩვენ მიერ აპრობირებული მეთოდები. ყურადსაღებია, რომ გავითვალისწინებთ ორივე სისტემის, ვინიან და მანიან, ზმნათა კატეგორიების მოხმარებისა და განშლის ველს. ასევე, დავადასტურებთ წარმოების ფუნქციონალურ სუფიქსებს, რომლებიც მიზნობრივად ასახავენ კონკრეტული მწკრივის ფორმასა და სემანტიკას.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ მეორე სერიის ორივე მწკრივის ფორმების სწავლებასთან დაკავშირებული ხედვები, მეთოდები, სტრატეგიები. უდავოდ, გავითვალისწინებთ ორივე სისტემის, ვინიან და მანიან, ზმნათა კატეგორიების ფუნქციასა და უკუგებას.

**საკვანძო სიტყვები:** ზმნა, უღლება, სწავლება, სერიები, მწკრივები, დონეები, ენობრივი ჩარჩო.

**Nana Shavtvaladze**

Doctor of Philology
Head of the Department of Georgian Philology
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
n.shavtvaladze@ug.edu.ge

## TEACHING THE VERB CONJUGATION SYSTEM ACCORDING TO THE CEFR (SERIES II)

When teaching Georgian as a foreign language, not only are the alphabet, morphological-syntactic, stylistic, and lexical aspects of the language studied, but also important details of the nation's consciousness emerge. These details form a unity that defines a nation's character, habits, traditions, and actions. You would probably agree that it is particularly difficult—almost impossible—to determine the purity of the water in which we swim. What belongs to us is deeply ingrained within us; distinguishing, perceiving, or separating it is practically impossible.

A linguistic approach to language is understandable, but at the same time, everyone is interested in the overall cultural image of a given nation. This has become especially relevant today, when people of different cultures and nationalities are actively engaged in professional and academic life across various countries. Consequently, this global dynamic has generated new demands. The American scholar Erin Meyer addressed this challenge in her book The Culture Map, where she presents numerous nations and their cultural approaches from a practical perspective—yet Georgia is not among them. Erin Meyer's framework and research are quite impressive.

The main difficulty for learners of Georgian as a foreign language—whether they are European, American, or Asian students—lies in understanding the structure of the Georgian verb and the patterns of its conjugation. Therefore, developing methodological approaches that help students grasp and internalize the Georgian verb system is of great importance.

Naturally, work in this field is ongoing, and existing textbooks reflect the function and activity range of verbs to varying degrees and depths. However, based on our many years of experience, we have become convinced that this is not sufficient. It is necessary to analyze each series and row of verbs, taking into account their specific characteristics and how they relate to different levels of instruction. Verb categories should be separated and their use in spoken phases reflected—from the simplest to the most advanced levels. In other words, which verb forms learners use in speech, for what purposes, and with what frequency.

In this article, we aim to present the difficulties involved in teaching the verb forms of the second series, as well as the methods we have tested to address these challenges. It is important to note that we take into account both the v-type and m-type verb systems, including their categories of usage and distribution. Furthermore, we confirm the presence of functional derivational suffixes that purposefully reflect the form and semantics of a specific verb group.

In the present article, we will attempt to outline perspectives, methods, and strategies related to teaching the forms of both verb rows within the second series, while taking into account the functions and feedback mechanisms of the v-type and m-type verb systems.

**Keywords:** verb, conjugation, teaching, series, classes, levels, language framework.

**ხათუნა ჩაფიჩაძე**

სოციალური მეცნიერებების დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-3556-0927
khatuna.khatuna@gmail.com

# ამერიკული „ატომური ინდივიდუალიზმის“ თანამედროვე ქართული რელაცია?

მოხსენების მიზანია კლასიკური ამერიკული ე.წ. ატომური ინდივიდუალიზმის უნიკალურობის გააზრება იდენტობის კვლევების კონტექსტში, რაც განსხვავდება ზოგადი დასავლური ინდივიდუალიზმისგან. მნიშვნელოვანი მიმართულებაა აღნიშნული ფენომენის ანალოგების შედარებითი ანალიზი საქართველოს არსებულ რეალობაში.

ზოგადად, განხილული იქნება, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი მახასიათებელი „ავთენტურად“ ქართული ეთნოფსიქოლოგიისთვის, თუ ამგვარი მენტალური ტრანსფორმაცია ძირითადად საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ განვითარდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმახვილებს 2003-2004 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებზე, ნეოლიბერალურ განვითარებაზე და ძირეულ რეფორმებზე, სადაც აშშ ითვლება ძირითადი როლური მოდელისა და „დონორის“ ქვეყნად.

მოხსენება წარმოდგენილია კომპარატიულ დისკურსში: განხილული იქნება კონკრეტული მაგალითები ტრადიციული ამერიკული და დღევანდელი ქართული გარემოსა და ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული).

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო; აშშ; ამერიკული „ატომური ინდივიდუალიზმი“; ინდივიდუალიზმი; თანამედროვე ქართული რელაცია.

**Khatuna Chapichadze**

Doctor of Social Sciences
Associate Professor
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-3556-0927
khatuna.khatuna@gmail.com

## THE CONTEMPORARY GEORGIAN RELATION OF AMERICAN "ATOMIC INDIVIDUALISM"?

The paper aims to understand the uniqueness of the classical American version of so-called atomic individualism, which differs from the general Western notion, within the context of identity studies. Another significant objective is to conduct a comparative analysis of its analogues operating in the current Georgian reality.

The discussion addresses how "authentically" this characteristic can be considered for Georgian ethnopsychology, considering the mental transformation that mainly developed after the collapse of the Soviet system. Particular attention is given to the socio-political changes of 2003-2004, neoliberal development, and fundamental reforms, where the United States served as a primary role model and "donor."

The paper presents a comparative discourse with specific examples from both the traditional American and current Georgian context, covering various spheres of human life, largely socio-economic, political, and cultural.

**Keywords:** Georgia; USA; American "atomic individualism"; individualism; contemporary Georgian relation

**ეკა ჩიკვაიძე**

PhD, პროფესორი
მეცნიერ-თანამშრომელი
თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0002-4096-6427
chikvaidzeeka@gmail.com

# დავით აღმაშენებელი და საგანმანათლებლო რეფორმა (XI-XII საუკუნეების მონარქიულ გამოცდილებათა შედარებითი ანალიზი)

XI-XII საუკუნეებში ევროპაში განათლების კერების — სკოლისა და უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულებების — დაფუძნება შემთხვევითი არ ყოფილა. ეს იყო დიდი სოციალური, კულტურული და ინტელექტუალური ცვლილებების ნაწილი, რომელსაც ხშირად „შუა საუკუნეების ინტელექტუალურ შემოტრიალებას" უწოდებენ. რა გახდა ამ შემოტრიალების ბიძგის მიმცემი?:

1. ეკონომიკური და ურბანული აღმავლობა – XI საუკუნიდან ევროპაში გაიზარდა ქალაქები, გაძლიერდა ვაჭრობა, გაჩნდა ახალი სოციალური ფენები (მოქალაქეები, ვაჭრები), რომლებსაც სჭირდებოდათ განათლებული კადრები სამართალში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ეკონომიკაში.
2. ეკლესიის როლი – ეკლესიამ მოითხოვა უფრო განსწავლული სასულიერო პირები (ქადაგებისთვის, საკანონმდებლო ტექსტების გასაგებად, ლიტურგიის სწორად წარმართვისთვის). სწორედ მონასტრებსა და საკათედრო სკოლებში ჩაეყარა საფუძველი პირველ საგანმანათლებლო ცენტრებს.
3. ანტიკური მემკვიდრეობის ხელახლა აღმოჩენა – არაბული, ბერძნული და ლათინური წყაროების თარგმანებმა ევროპაში დააბრუნა არისტოტელე, პლატონი, ჰიპოკრატე, ევკლიდე და სხვა ავტორები. ეს ცოდნა კი საჭიროებდა სისტემატიზებასა და ქრისტიანულ მოძღვრებასთან მორიგებას.
4. სამართლისა და თეოლოგიის საჭიროება – ახალი სამართლებრივი რეალობები (მაგ.: ქალაქების თვითმმართველობა, ვაჭრობა, ფეოდალური ურთიერთობები) ითხოვდა იურისტებს. პარალელურად, თეოლოგიური დისკუსიები (მაგ.: ერესებთან ბრძოლისას) საჭიროებდა მომზადებულ მოაზროვნეებს.
5. კულტურული კონკურენცია ისლამურ სამყაროსა და ბიზანტიასთან – ქრისტიანულ ევროპას სჭირდებოდა ინტელექტუალური განვითარება, რათა არ ჩამორჩენოდა აღმოსავლეთის მდიდარ კულტურებს.

რა შინაარსის იყო „შემოტრიალება“: საკითხი შეეხო სწავლების მეთოდიკას, სასწავლო დაწესებულებებსა და სასწავლო დისციპლინებს. შესაბამისად, სისტემური სახე მიიღო რეფორმამ: სქოლასტიკა – სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც ეფუძნებოდა ლოგიკურ მსჯელობას, დისკუსიასა და დებულებების შეჯერებას. უნივერსიტეტების გაჩენა – ბოლონიის, პარიზის, ოქსფორდის უნივერსიტეტები იქცა ცოდნისა და ინტელექტუალური ავტორიტეტის ცენტრად. დისციპლინების გაფართოება – სწავლება აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ თეოლოგიით. განვითარდა „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ (ტრივიუმი და კვადრივიუმი), იურისპრუდენცია, მედიცინა, ფილოსოფია. ინტელექტუალური დინამიკა – გაჩნდა კამათი რწმენასა და გონებას შორის ურთიერთობაზე. ეს იყო საფუძველი შემდგომი რენესანსისა და მეცნიერების აღმავლობისა. XI-XII საუკუნეების განათლების კერების დაფუძნება იყო ევროპული საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გამოცოცხლების შედეგი. ეს „შემოტრიალება“ ნიშნავდა ანტიკური მემკვიდრეობის ხელახალ აღმოჩენას, ცოდნის სისტემატიზაციასა და ახალი ინტელექტუალური ინსტიტუციების — უნივერსიტეტების — შექმნას, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის განათლებულ მოდელს. როგორია ამავე პერიოდის ქართული საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც დავით მეფისა და ჭყონდიდლის სახელებს უკავშირდება? საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი განათლებას სახელმწიფოებრივი სიძლიერის სტრატეგიულ ინსტრუმენტად განიხილავდა. დავით აღმაშენებლის განათლების რეფორმა საქართველოს კულტურული აღორძინებისა და ინტელექტუალური განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ. გელათმა, იყალთომ და პეტრიწონმა შექმნეს ინტეგრირებული განათლების სისტემა, რომელიც აერთიანებდა რელიგიურ, ჰუმანიტარულ და ბუნებრივ მეცნიერებებს, ტრივიუმისა და კვადრივიუმის ელემენტებს, ნეოპლატონიზმსა და პედაგოგების მკაცრ შერჩევას. შედარება იმ პერიოდის ბიზანტიური და ევროპული აკადემიების სისტემებთან აჩვენებს მსგავსებებს საგნებსა და მეთოდებში, თუმცა დავითის სისტემა უნიკალური იყო პრაქტიკული ინტეგრაციის, სულიერებისა და ეთიკური კრიტერიუმების კომბინაციით. გელათის აკადემია ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მედიცინასთან აერთიანებდა, რაც შუა საუკუნეების უნივერსიტეტების ფუნქციას უახლოვდებოდა. მისი თანამედროვე მონარქები — ინგლისში ჰენრი I, საფრანგეთში ლუი VI, ბიზანტიაში ალექსი I კომნენოსი და გერმანიაში ფრიდრიხ I ბარბაროსა — მიუხედავად ინტერესისა, სისტემურ რეფორმებს არ ახორციელებდნენ. შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ დავითის საგანმანათლებლო პოლიტიკა მიზანმიმართული სახელმწიფოებრივი რეფორმის სახით იქცა ეროვნული იდენტობისა და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების საფუძვლად.

**საკვანძო სიტყვები:** დავით აღმაშენებლის საგანმანათლებლო რეფორმა, ბიზანტია და დასავლეთი ევროპა, სახელმწიფო კონსოლიდაცია, ეროვნული იდენტობა.

**Eka Chikvaidze**

PhD, Professor
Research Fellow
Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU) Shota Rustaveli Institute of Georgian Literature;
Caucasus University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0002-4096-6427
chikvaidzeeka@gmail.com

## DAVID THE BUILDER AND EDUCATIONAL REFORM (A COMPARATIVE ANALYSIS OF MONARCHICAL PRACTICES IN THE 11TH–12TH CENTURIES)

The establishment of educational centers — schools and universities — in 11th-12th century Europe was not accidental. It was part of major social, cultural, and intellectual transformations, often referred to as the "Medieval Intellectual Revolution." What triggered this turning point?

1. **Economic and urban growth** – From the 11th century, European cities expanded, trade flourished, and new social strata (citizens, merchants) emerged, requiring educated professionals in law, administration, and commerce.
2. **The role of the Church** – The Church demanded more learned clergy for preaching, interpreting legislative texts, and properly conducting liturgy. Monasteries and cathedral schools became the foundation of early educational institutions.
3. **Rediscovery of the classical heritage** – Translations of Arabic, Greek, and Latin sources reintroduced Aristotle, Plato, Hippocrates, Euclid, and other authors to Europe. This knowledge required systematization and reconciliation with Christian doctrine.
4. **Needs of law and theology** – New legal realities (e.g., municipal self-governance, trade, feudal relations) called for jurists, while theological debates (e.g., in combating heresies) required trained thinkers.
5. **Cultural competition with the Islamic world and Byzantium** – Christian Europe needed intellectual advancement not to fall behind the flourishing cultures of the East.

**The content of the "revolution"** involved teaching methods, institutions, and disciplines. It took on systemic form through: scholasticism — a new method based on logical reasoning, disputation, and synthesis of propositions; the rise of universities — Bologna, Paris, and Oxford becoming centers of knowledge and authority; the expansion of disciplines — beyond theology to include the seven liberal arts (trivium and quadrivium), jurisprudence, medicine, and philosophy; and intellectual dynamics — with debates on the relationship between faith and reason. This

was the foundation for the later Renaissance and scientific rise.

The foundation of educational centers in the 11th–12th centuries was therefore a result of Europe's economic, political, and cultural revival. This "revolution" signified the rediscovery of classical heritage, the systematization of knowledge, and the creation of new intellectual institutions — universities — which laid the groundwork for the educated model of modern European civilization.

What, then, was the nature of Georgian educational reform in the same period, associated with King David IV the Builder and the Catholicos-Patriarch George of Chqondidi? King David IV regarded education as a strategic instrument of state power. His reform represented a crucial stage in Georgia's cultural renaissance and intellectual development. Gelati, Ikalto, and Petritsoni academies formed an integrated system combining religious, humanistic, and natural sciences; elements of the trivium and quadrivium; Neoplatonism; and strict selection of teachers.

Comparison with Byzantine and Western European academies of the time reveals similarities in subjects and methods. Yet David's system was unique in its practical integration, spiritual orientation, and emphasis on ethical criteria. The Gelati Academy combined theology and philosophy with the natural sciences and medicine, approaching the functions of a medieval university.

His contemporaries — Henry I of England, Louis VI of France, Alexios I Komnenos of Byzantium, and Frederick I Barbarossa of Germany — despite their interest, did not implement such systemic reforms. Comparative analysis demonstrates that David's educational policy, as a purposeful state reform, became a foundation for the consolidation of national identity and the strengthening of political power.

**Keywords:** Educational Reform of David the Builder; Byzantium and Western Europe; State Consolidation; National Identity

**მაია ცერცვაძე**

ისტორიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0006-4175-4804
maiatsertsvadze@yahoo.com

# თამარ ბაგრატიონი – გიორგი XIII-ის ასული

როგორც ცნობილია, 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას ქართველი ხალხის მედგარი პროტესტი მოჰყვა. ის ვერ შეეგუა ამ უსამართლობას ერთმორწმუნე სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც მისმა ბოლო მონარქებმა მხოლოდ პროტექტორატის თხოვნით მიმართეს. დაიწყო აჯანყებათა სერია ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ ბატონიშვილებიც.

წინააღმდეგობის ამ მოძრაობის ერთი რგოლია 1832 წლის შეთქმულებაც, რომელიც გამცემლობის გამო აჯანყებაში ვერ გადაიზარდა. მისი თაოსნები და იდეური ხელმძღვანებლები იყვნენ მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) რუსეთში გადასახლებული შვილიშვილები – დიმიტრი იულონის ძე (1803-1845) და ოქროპირ გიორგის ძე (1795-1857) ბაგრატიონები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ შეთქმულების პეტერბურგულ და მოსკოვურ წრეებს. ბატონიშვილთა სულისკვეთებას იზიარებდნენ მათი ოჯახის წევრებიც, მათ შორის დიმიტრის და, თამარ ბატონიშვილი (1791-1857), რომელიც აქტიურად მოქმედებდა თბილისში. მას ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა რიგი ნაშრომები მიეძღვნა.

1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალებში (სოლომონ დოდაშვილის (1805-1836) ჩვენებები) გარდა თამარ იულონის ასულ ბაგრატიონისა, რომელიც მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, ფიგურირებს კიდევ ერთი თამარი – ოქროპირ ბატონიშვილის და. პირველად მას ყურადღება დაუთმო ემიგრანტმა მწერალმა ქალმა თამარ პაპავამ (1888-1976) თავის ნარკვევში „ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“ (1937), თუმცა, როგორც თავად წერს, ამ ქალის სახელი ვერ გამოარკვია – იმ მასალებიდან, რომელიც მაშინ მას ხელთ ჰქონდა, ეს არ ჩანდა.

თამარ გიორგის ასული ბაგრატიონი (1789-1850) დედასთან, ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალ მარიამ ციციშვილთან (1768-1850), ერთად 1803 წლის 12 აპრილის იმ ცნობილი ტრაგედიის მონაწილეა, რომელსაც გენერალ ივან ლაზარევის (1763-1803) სიკვდილი მოჰყვა. 14 წლის ქალიშვილი ძმასთან, ჯიბრაელთან (1788-1812), ერთად ხანჯლით ხელში იცავდა სამეფო ოჯახის, დედისა და საკუთარ ღირსებას რუსი სამხედრო რაზმელებისგან, რომლებიც მათი რუსეთში გასახლების დავალებას უსასტიკესი ფორმით ასრულებდნენ.

მგზავრობისას, კავკასიონის ქედზე გადავლისას, თამარ ბატონიშვილს ფეხები მოეყინა და დაკოჭლდა. 1811 წლამდე ის დედასთან ერთად ბელგოროდის მაცხოვრის შობის სახე-

ლობის დედათა მონასტერში, შემდეგ კი – მოსკოვში ცხოვრობდა. არ გათხოვილა, სამშობლოსკენ წამოსვლის ნება მას დიდი ხნის შემდეგ დართეს, სწორედ ქვეყნისკენ მომავალი გარდაიცვალა 1851 წელს. იგი იქვე დაკრძალეს, შემდეგ კი მისი ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში, დედის საფლავის გვერდით, მიუჩინეს სამარე.

ცნობები თამარ ბაგრატიონის ტრაგიკული ცხოვრების პერიპეტიების, გარეგნობის, ჩაცმულობის, ხასიათის შესახებ გაბნეულია ძველ და ახლად გამოვლენილ წყაროებში. ჩვენი მოხსენება ეძღვნება მათ მოძიებასა და თავმოყრას, ასევე 1832 წლის შეთქმულებაში თამარის ადგილის გამოკვეთას. აღსანიშნავია, რომ ამ შეთქმულების უპირველესი მკვლევრის – გიორგი გოზალიშვილის (1900-1988) ცნობილი სამტომეულის პირთა საძიებლებში თამარ გიორგის ასული ცალკე არ არის გამოყოფილი და იგი თამარ იულონის ასულთან არის გაიგივებული. წარმოდგენილი კვლევა, ვფიქრობთ, წაადგება როგორც საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი აქტის, ასევე სამეფო ოჯახისა და ზოგადად მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიის შესწავლის საქმეს.

**საკვანძო სიტყვები:** გიორგი XIII-ის ასული თამარი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახი, სამეფო ოჯახის გადასახლება რუსეთში, ოქროპირ ბატონიშვილის და.

**Maia Tsertsvadze**

Doctor of History
Associate Professor
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0006-4175-4804
maiatsertsvadze@yahoo.com

## TAMAR BAGRATIONI – DAUGHTER OF GIORGI XIII

As is known, the abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti by the Russian Empire in 1801 was followed by a strong protest from the Georgian people. They could not accept this injustice on the part of a monotheistic state, to which its last monarchs had only applied with a request for a protectorate. A series of uprisings began for the restoration of the Georgian state, in which the royal princes (Batonishvili) also participated.

One link in this resistance movement is the conspiracy of 1832, which failed to develop into an uprising due to treason. Its leaders and ideological guides were the exiled in Russia grandsons

of King Erekle II (1720-1798) – Dimitri Bagrationi (1803-1845), son of royal prince Yulon and Okropir Bagrationi (1795-1857), son of Giorgi XIII, who headed the St. Petersburg and Moscow circles of the conspiracy. The spirit of these royal princes was shared by members of their family, including Dimitri's sister, royal princess Tamar (Batonishvili) (1791-1857), who was active in Tbilisi. A number of works by Georgian scientists and researchers were dedicated to her.

In the investigation materials of the conspiracy (testimonies of Solomon Dodashvili (1805-1836) another Tamar appears – the sister of Okropir. Emigré writer Tamar Papava (1888-1976) was the first researcher, who paid attention to her in her essay "A Georgian Woman and the Conspiracy of 1832" (1937). As she writes, she could not find out the name of this woman – it was not visible from the materials she had at that time.

Tamar, the daughter of Giorgi XIII (1789-1850), together with her mother, the last queen of the Kingdom of Kartli-Kakheti, Mariam Tsitsishvili (1768-1850), was a participant in the famous tragedy of April 12, 1803, which resulted in the death of General Ivan Lazarev (1763-1803). The 14-year-old daughter, together with her brother, Jibrael (1788-1812), defended the dignity of the royal family, her mother, and her own dignity with a dagger in her hand from the Russian military detachments, who were brutally carrying out their mission of deporting them to Russia.

During the journey, while crossing the Caucasus Mountains, Tamar Batonishvili's legs froze and she became lame. Until 1811, she lived with her mother in the Nativity of the Savior Convent in Belgorod, and then in Moscow. She did not marry. In 1851, returning to her homeland, which she was allowed to do after a long time, she died in Voronezh and was buried there. Then her body was brought to Georgia and buried next to her mother's grave in the Svetitskhoveli Cathedral.

Information about Tamar Bagrationi's are scattered in old and newly discovered sources. Our report is dedicated to their search and collection, as well as to the identification of Tamar's place in the conspiracy of 1832. It is noteworthy that in the famous three-volume study of the great researcher of this conspiracy – Giorgi Gozalishvili (1900-1988), Tamar, daughter of Giorgi is not separately identified and she is identified with Tamar, daughter of Yulon. We believe that the presented research will be useful for studying this important act of Georgian history, as well as the history of the royal family and Georgian society in general of the first half of the 19th century.

**Keywords:** Tamar- daughter of George XIII, participants of the 1832 conspiracy, royal family of Kartli-Kakheti, the exile of the royal family to Russia, sister of Okropir Bagrationi.

**მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი**

ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი
სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი
საქართველოს საპატრიარქო
თბილისი, საქართველო
mamukacuxishvili@gmail.com

# პირველი ქართველი მოწამე ქრისტიანები

მოხსენების მიზანია ისტორიული ფაქტების გაცნობა პირველ ქართველ ქრისტიან მოწამეებთან დაკავშირებით, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება შესწირეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის. ქრისტიანობის დევნა არ შეჩერდა მხოლოდ რომის იმპერიაში — მოციქულთა საქმიანობის ქვეყნებშიც, მათ შორის მაშინდელ იბერია-კოლხეთში (საქართველო), განვიდოდა.

დევნა განსაკუთრებით შეეხო რომის პროვინციებს, თუმცა ისტორიკოსები და ადრეული საუკუნეების მკვლევრები მიიჩნევენ, რომ პროცესი იმდენად მასშტაბური იყო, რომ მისი კვალი და სისასტიკე საუკუნეების განმავლობაში იგრძნობოდა. პირველი ქართველი ქრისტიანი მოწამენი ცნობილნი არიან, როგორც მესუკაველი ქართველები, რომლებიც ეწამნენ ალბანეთის მეფის კარზე. ცნობილია, რომ 18-მა (ზოგი მონაცემით 19-მა) ქრისტიანმა თავი გასწირა სარწმუნოებისათვის და მოწამეთა შარავანდედით შევიდნენ ქრისტიანობის ისტორიაში. მოხსენება წარმოგვიდგენს ახალაღმოჩენილ გარემოებას, რომელიც ამ მოვლენების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის.

**საკვანძო სიტყვები:** პირველი ქართველი მოწამენი; ქრისტიანობა; დევნა; იბერია-კოლხეთი; ადრეული ქრისტიანობა.

**Nun Ioane (Mamuka) Tsukhishvili**

Doctor of Philology and Theology
Head of Research Center, History, Source Studies, Archaeology
Georgian Patriarchate
Tbilisi, Georgia
mamukacuxishvili@gmail.com

## THE FIRST GEORGIAN CHRISTIAN MARTYRS

The aim of this paper is to present historical facts regarding the first Georgian Christian martyrs who sacrificed their lives for the true faith. The persecution of Christians extended beyond the Roman Empire — it also affected the countries where the apostles preached, including ancient Iberia-Colchis (Georgia).

The persecution was particularly severe in Roman provinces; however, historians and early-century researchers believe that the process was so extensive that its traces and brutality were felt for centuries. The first Georgian Christian martyrs are known as the Mesukaveli Georgians, who suffered under the court of the Albanian king. It is recorded that 18 (some sources mention 19) Christians sacrificed themselves for the faith and entered the history of Christianity with the martyr’s crown. This paper presents newly discovered evidence that provides significant insights into these events.

**Keywords:** First Georgian martyrs; Christianity; persecution; Iberia-Colchis; early Christianity

**დეკანოზი გიორგი წეროძე**

მაგისტრი
მღვდელი
მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში
თბილისი/სოხუმი, საქართველო
ORCID: 0009-0005-5610-9253
tseroge72@gmail.com

# დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის აქტუალობა თანამედროვე გამოწვევების ფონზე

დავით აღმაშენებლის მეფობა წარმოადგენს ქართული ეროვნული იდენტობის, სახელმწიფოებრიობისა და კულტურის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს პერიოდს, სადაც ეკლესიისა და განათლების ინსტიტუტების როლი სახელმწიფოს გაძლიერებაში ცენტრალური იყო. აღმოსავლური ეკლესიის ღვთისმეტყველებაში განვითარებული პიროვნებისა და თანაზიარების ონტოლოგიური გაგება საშუალებას გვაძლევს, ახლებურად შევაფასოთ დავითის დროინდელი საზოგადოებრივი და ეკლესიური ერთიანობა. ქართველოლოგია, როგორც მულტიდისციპლინური სამეცნიერო დისციპლინა, უზრუნველყოფს დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი მემკვიდრეობის კრიტიკულ შესწავლასა და კულტურულ ტრანსმისიას. მისი მეშვეობით, დავითის ეპოქის ისტორიული, დიპლომატიური და ეკონომიკური გამოცდილება იქცევა სააზროვნო რესურსად თანამედროვე საქართველოსა და კავკასიის გეოპოლიტიკური და კულტურული იდენტობის გასაძლიერებლად, რითაც ხიდი იგება წარსულსა და მომავალს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** დავით აღმაშენებელი, აღმოსავლური ღვთისმეტყველება, მართლმადიდებლობა, თეოლოგია, საქართველო, სახელმწიფოებრიობა, ეროვნული იდენტობა, ეკლესია, კულტურა, ისტორია, ღვთისმეტყველება,პიროვნება (ზიზიულასი), თანაზი.

**Archpriest Giorgi Tserodze**

Master's Degree
Priest
Orthodox Church of Georgia
Tbilisi/Sokhumi, Georgia
ORCID: 0009-0005-5610-9253
tseroge72@gmail.com

## THE RELEVANCE OF KING DAVID THE BUILDER'S LEGACY IN THE CONTEXT OF CONTEMPORARY CHALLENGES

The reign of King David the Builder represents one of the most crucial periods in the consolidation of Georgian national identity, statehood, and culture, during which the role of the Church and educational institutions was central to the strengthening of the state. The ontological understanding of personhood and communion developed within Eastern Christian theology allows us to reassess the social and ecclesial unity of David's era from a new perspective.

Kartvelology, as a multidisciplinary scholarly field, enables the critical study and cultural transmission of David the Builder's multifaceted legacy. Through this lens, the historical, diplomatic, and economic experience of his reign becomes an intellectual resource for reinforcing the geopolitical and cultural identity of contemporary Georgia and the Caucasus, thus building a bridge between the past and the future.

**Keywords:** David the Builder, Eastern theology, Orthodoxy, theology, Georgia, statehood, national identity, Church, culture, history, theology, personhood (Zizioulas), communion.

**მანანა წერეთელი**

დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0004-2597-179
mtsereteli@ug.edu.ge

**სალიჰ უჩაქი**

დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0001-6650-199X
salihucak21@gmail.com

# ციურ სხეულებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები თურქულ და ქართულ ფოლკლორში

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები დაფუძნებულია მრავალსაუკუნოვან და მრავალგანზომილებიან ურთიერთობებსა და ურთიერთქმედებაზე. აღნიშნული კავშირები გავრცელდა კულტურულ და რელიგიურ სფეროებში და აისახა საერთო ფოლკლორზეც. ცასა და ციურ სხეულებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ როგორც თურქულ, ასევე ქართულ ხალხურ ტრადიციებში. ამ კონტექსტში, ქართველები თითოეული ადამიანის ბედს -„ბედის ვარსკვლავთან“, ხოლო თურქები ბედს „ფელეკთან“, „ცის ბორბალთან“ და მის ბრუნვასთან აკავშირებდნენ. ორივე კულტურაში არსებობს ძლიერი კავშირი ღმერთს, სულებსა და ცას შორის. ქრისტიანობამდე ქართველებს ჰქონდათ ციური სხეულების პანთეონი (მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი). ხოლო თურქების მიერ ისლამამდე შექმნილი პანთეონი ცის ღმერთის რელიგიას უკავშირდებოდა. თურქებს აქვთ „თენგრის“ კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს როგორც ცას, ასევე ალაჰს. ორივე ტრადიციამ ეს რწმენა გარკვეულწილად შეინარჩუნა ახალი რელიგიების მიღების შემდეგაც კი (ქრისტიანობა ქართველებისთვის, ისლამი თურქებისთვის). ქართულ მითოლოგიაში მზე ქალურ საწყისად ითვლება; თურქულ ტრადიციაში (თურფანული ტექსტების მიხედვით), სიკაშკაშე (მზის ჩათვლით) მამაკაცურობასთან ასოცირდება, ხოლო სიბნელე – ქალურობასთან. ქართველები ცას წარმოიდგენენ, როგორც რაღაც მრგვალსა და მბრუნავს, ოთხი კუთხით/კიდით; თურქები კი ცას აღიქვამდნენ, როგორც მიწაზე გაშლილ კარავს; ისინი თვლიდნენ, რომ ამ კარვის ბოძი იყო „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ („ოქროს პოლუსი“). მაშინ, როდესაც ქართულ მითოლოგიაში ციური სხეულები ოჯახურ ურთიერთობებში აისახებოდა (დედა-შ-

ვილი, ქმარი-ცოლი, და-ძმა); თურქულ მითოლოგიაში ყურადღება უფრო მეტად ცისა და დედამიწის ურთიერთობაზე და მის როლზე იყო გამახვილებული. ქართულ ტრადიციაში ითვლებოდა, რომ ზოგიერთ ადამიანს არ ექნებოდა ბედი, თუ ცაზე არ იარსებებდა მისი „ბედის ვარსკვლავი“; თურქულ ტრადიციაში, ბედი სასტიკ და საშიშ რამედ აღიქმებოდა, რაც აისახა მათ ლექსებსა და წყევლაში. ეს განსხვავებები და მსგავსებები აჩვენებს, თუ როგორ შეიმუშავა ორმა მეზობელმა კულტურამ ციური მოვლენების საკუთარი ინტერპრეტაციები და, ამავდროულად, იზიარებდა საერთო ძირითად რწმენას ცას, ბედისწერასა და ღვთაებრივ ძალას შორის კავშირის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** მზის კულტი, ბედის ვარსკვლავი, ცის ბორბალი.

**Manana Tsereteli**

Doctor of History
Associate Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0004-2597-179
mtsereteli@ug.edu.ge

**Salih Uçak**

Doctor of History
Associate Professor
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-6650-199X
salihucak21@gmail.com

## BELIEFS AND RITUALS BELONGING TO THE SKY AND SKY SPIRITS IN TURKISH AND GEORGIAN FOLKLORE

Turkish and Georgian relations are based on long-standing neighborhood law and an intertwined multidimensional interaction. This interaction has not only been limited to official areas but has also affected cultural and religious areas, and has also spread to the common folklore. Throughout human history, the “sky and its objects” have taken their place in the collective memory as remarkable entities. The sky and sky spirits have an important place in both Turkish

and Georgian folk beliefs. In this context, Georgians connected each person's destiny to a star, that is, they believed in "stars of fate"; Turks also associated fate with the "felek", the "wheel of heaven" and its rotation. In both cultures, there is a strong connection between God, spirits, and the sky. Before Christianity, Georgians had a pantheon of celestial spirits (sun, moon, and five stars). Just like the pantheon that the Turks created in accordance with the Sky God religion before Islam. The Turks have the concept of "Tengri", which represents both the sky and Allah. Both traditions have maintained this belief to some extent even after adopting new religions (Christianity for the Georgians, Islam for the Turks). In Georgian mythology, the sun is considered a feminine principle; in the Turkish tradition (according to the Turfan texts), brightness (including the sun) is associated with masculinity, and darkness with femininity. While the Georgians imagine the sky as something round and rotating, with four corners/edges, the Turks perceived the sky as a tent stretched over the ground; he assumed that the pole of this tent was the "North Star" ("Golden Pole"). While in Georgian mythology, celestial bodies were reflected in family relationships (mother-child, husband-wife, sister-brother); in Turkish mythology, the focus was more on the relationship of the sky to the earth and its role in cosmology. In Georgian tradition, it was believed that some people would not have a destiny (a star); in Turkish tradition, although destiny was connected to a universal principle, it was also seen as something cruel and dangerous. This situation was reflected in their poems, applause, and curses. These differences and similarities show how the two neighboring cultures developed their own interpretations of celestial events while sharing a common basic belief in the connection between the sky, destiny, and divine power.

**Keywords:** Sun Cult, Star of Destiny, Wheel of Heaven.

**ალექსანდრე ჭულუხაძე**

სპარსული ენის, ლიტერატურისა და აღმოსავლურ კვლევათა დოქტორი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროსი
თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-2810-4245
a.chulukhadze@ug.edu.ge

# ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲔᲢᲘᲛᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲫᲕᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲨᲘ

ძვირფასი თვალ-მარგალიტები და სანახელავო ქვები თავისი იშვიათობის, სილამაზისა და ბუნებრივი თვისებების გამო ოდითგანვე იქცევდა ადამიანის ყურადღებას. ქვის ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე ადამიანი ძვირფას თვალ-მარგალიტებსა და სანახელავო ქვებს ანიჭებდა მაგიურ და სამკურნალო თვისებებს, ხოლო სხვადასხვა რელიგიურ კონცეფციებში კი მათ განსაკუთრებული საკრალური ადგილი ეკავათ. საქართველოში ოდითგანვე აფასებდნენ ძვირფას თვალ-მარგალიტებსა და სანახელავო ქვებს, რომლებსაც უხვად იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულების ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთების მოსართავად, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი არტეფაქტებითაც დასტურდება. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ძველ აღთქმაში დადასტურებული ძვირფასი თვლებისა და სანახელავო ქვების გამორჩეულ რელიგიურ დატვირთვას, რისთვისაც ბერძნულიდან სპეციალურად ითარგმნა ეპიფანე კვიპრელის (კვიპროსელის) ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „თვალთაჲ“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც მთავარი წყარო ძვირფასი თვლების შესახებ ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში. ძველ ქართულ წყაროებში 50-ზე მეტი ძვირფასი თვალ-მარგალიტი და სანახელავო ქვის სახელწოდებაა დადასტურებული, თუმცა ივარაუდება, რომ ქართველები შუა საუკუნეებში გაცილებით მეტი რაოდენობის თვლებსა და სანახელავო ქვებს იცნობდნენ, რომელთა სახელებიც წყაროებში არ ფიქსირდება. ქართულში ძვირფას თვალ-მარგალიტთა და სანახელავო ქვათა სახელწოდებები, ისევე როგორც ბევრ სახვა ენაში, ზოგჯერ არეულია. ერთი და იგივე თვალი ან ქვა შესაძლოა რამდენიმე ან შეცდომით სხვა სახელწოდებითაც იყოს დაფიქსირებული. მათი უმრავლესობა სპარსულიდან, ნაწილი ბერძნულიდან, მცირე ნაწილი არაბულიდან და სომხურიდანაა ქართულში ნასესხები, რაც ხშირად შესაბამისი თვალისა და ქვის წარმომავლობაზე მიუთითებს. ძვირფასი თვალ-მარგალიტებისა და სანახელავო ქვების გარკვეული სახეობები ოდითგანვე მოიპოვებოდა საქართველოში, მაგრამ ჟამთასვლის პროცესში ზოგიერთი მათგანის სახელწოდება უცხო ნასესხობით ჩანაცვლდა და დავიწყებას მიეცა, ხოლო ნაწილის სახელწოდება უცხო ნა-

სესხობათა პარალელურად ან შეზღუდულად გამოიყენებოდა. წარმოდგენილ კვლევაში პირველად მოხდა ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებულ ძვირფას თვალ-მარგალიტთა და სანახელავო ქვათა კომპლექსური სემანტიკური და ეტიმოლოგიური შესწავლა და ანალიზი, რაც დაგვეხმარება ძველი ქართული წყაროების სხვადასხვა ადგილის უკეთ გაგებასა და გააზრებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ძვირფასი ქვები, სანახელავო ქვები, სემანტიკა, ეტიმოლოგია, ძველი ქართული წყაროები, სპარსული ნასესხობანი, ბერძნული ნასესხობანი, არაბული ნასესხობანი, სომხური ნასესხობანი.

**Aleksandre Chulukhadze**

Doctor of Persian Language, Literature, and Oriental Studies
Head of the Department of Oriental Studies, Senior Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-2810-4245
a.chulukhadze@ug.edu.ge

## THE SEMANTICS AND ETYMOLOGY OF PRECIOUS GEMSTONES IN ANCIENT GEORGIAN SOURCES

Semantics and etymology of precious, semi-precious stones and pearls in ancient Georgian sources Precious and semi-precious stones have attracted people's attention since ancient times due to their rarity, beauty and natural properties. From the Stone Age to the late Middle Ages, people attributed magical and healing properties to precious, semi-precious stones and pearls, and they occupied a special sacred place in various religious concepts. Since ancient times, precious, semi-precious stones and pearls have been valued in Georgia and were generously used to decorate items made of precious metals for various purposes. This is evidenced by numerous artifacts of material culture found as a result of archaeological excavations. After the spread of Christianity in Georgia, special attention was paid to the special religious significance of precious and semi-precious stones, which is recorded in the Old Testament. For this purpose, On the Twelve Gems (De Gemmis) the encyclopedic work of Epiphanius of Salamis (Cyprus), was specially translated from Greek, which enjoyed great popularity as the main source on precious and semi-precious stones in the medieval Christian world. The ancient Georgian sources attest to the names of more than 50 precious and semi-precious stones, although it is assumed that

the Georgians in the Middle Ages knew a much larger number of precious and semi-precious stones, the names of which are not recorded in the sources. The names of precious and semi-precious stones in Georgian, as in many other languages, sometimes cause confusion. The same precious and semi-precious stones may be registered under several, or even erroneously different, names. Most of them are borrowed to the Georgian language from Persian, some from Greek, and a small part from Arabic and Armenian came, which often indicates the origin of the corresponding precious and semi-precious stones. Certain types of precious and semi-precious stones have been mined in Georgia since ancient times, but over time some of their names were replaced by foreign borrowings and forgotten. The presented work is the first one to conduct a comprehensive semantic-etymological study and analysis of precious, semi-precious stones and pearls attested in ancient Georgian sources, which will help us to better understand and comprehend various places in ancient Georgian sources.

**Keywords:** precious stones, eponymous stones, semantics, etymology, Old Georgian sources, Persian loanwords, Greek loanwords, Arabic loanwords, Armenian loanwords.

**მარინა ფუთურიძე**

ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი
არქეოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის კორესპონდენტი წევრი
marina.puturidze@tsu.ge

# ლითონის ჭურჭლის პირველად გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში: გავრცელება, მისი განმაპირობებელი ფაქტორები და ტიპობრივი მრავალფეროვნება

სამხრეთ კავკასიაში ლითონის ჭურჭლის პირველად გამოჩენა თრიალეთის კულტურას (ძვ.წ. 21-17 სს პირველი ნახევარი) უკავშირდება და ის თავიდანვე ტიპობრივ ვარიანტთა სიმრავლით გამოირჩევა. მისი დამზადებისას რთული ტექნიკური ხერხების გამოყენებას თვით მასალის ფაქტურა (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) და მხატვრული ხელოსნობის მაღალი დონე განაპირობებდა. ტორევტიკის განვითარების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის უმთავრესი ჩანს: ლითონწარმოების საყოველთაო დაწინაურება, საერთაშორისო სავაჭრო-გაცვლითი ქსელის ორგანიზება ძველი სამყაროს დაწინაურებულ ცენტრებში და ინტერკულტურული კონტაქტების გაცხოველება წინა აზიასა და გარემომცველ რეგიონებს შორის. ეს პროცესები ემთხვევა თრიალეთის კულტურის მკვეთრ სოციო-ეკონომიკურ წინსვლასა და უახლესი მიღწევების გაზიარებისთვის სრულ მზაობას საერთაშორისო კავშირების გააქტიურების გზით.

შუა ბრინჯაოს ხანა ზოგადად ხასიათდებოდა ცოდნისა და იდეის ინტენსიური გავრცელებით, ახალი ნაწარმისა და მხატვრულ-სტილისტურ ტენდენციათა ინფილტრაციით სხვადასხვა რეგიონებს შორის. რამდენადაც თრიალეთის კულტურის ელიტა აშკარა სწრაფვას იჩენდა ყოველგვარ სიახლეთა ათვისებისაკენ, ბუნებრივია, რომ ეს საუკეთესო საფუძველი აღმოჩნდა რესურსებისა და მზარდი ეკონომიკის მქონე სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა ჩართულიყო აღნიშნულ პროცესებში. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი გახლდათ წინააზიური სამყაროს ტორევტიკისათვის დამახასიათებელი უცხო და მაღალი სტანდარტის მხატვრული ტენდენციების გაზიარებისა და დანერგვის მცდელობა თრიალეთის კულტურის პრაქტიკაში. ის, რომ უძველესი მახლობელი აღმოსავლეთის უკიდურესი ჩრდილო პერიფერია – სამხრეთ კავკასია განსაკუთრებით დაწინაურებული აღმოჩნდა ძვირფას ლითონთა მრავალფეროვანი ნაწარმით, ვთვლით, რომ ეკონომიკურთან ერთად, უდავოდ, გამოწვეული იყო ინტერკულტურულ კავშირებში მისი ჩართვით. უფრო კონკრეტულად კი ეპოქისათვის დამახასიათებელი ფაქტორით: გარესამყაროს ცივილიზაციებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ სწრაფვით, რაც გამოვლინდა უცხო მხატვრულ-სტილისტური ტრადიციების შემოღწევით, მათი გადამუშავებითა და ადგილობრივთან შეხამებით. ყოველივე ამის შედეგად მივიჩნევთ წინააზიურთან აშკარად ნაზიარებ, მაგრამ მაინც ახალი და თავისებური სახის თრიალეთური ტორევტიკის სახელით ცნობილ კომპლექსებს. მისი ლითონის ჭურჭელი სხვადასხვა ტიპებითაა წარმოდგენილი: ვერცხლის ცილინდრული

კორპუსის, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროვებული დაბალფეხიანი ჭურჭელი, ოქროს აპლიკაციებით შემკული ვერცხლის სარწყული, ვერცხლის ნახევარსფერული ფორმის ცალყურა, ღრმა თასები, ვერცხლის ცილინდრული ფორმის, მოძრავსახელურიანი ჭურჭელი, ბრინჯაოს წაკვეთილი კონუსისფორმიანი მაღალი ფეხზე მოდელირებული ნახევარსფერული ფორმის კალათისებური ვაზა მოძრავი სახელურით, ვერცხლის ბიკონოსური ფორმის, დაბალფეხიანი თასები და ბოლოს, ოქროს ორნამენტირებული და სადაზედაპირიანი ღრმა თასები, ოქროს ინკრუსტირებულზედაპირიანი, პირისაკენ ოდნავ გაფართოებული და ძირისაკენ კი შევიწროვებული ფორმის, ფეხიანი თასი, რომელიც უნიკუმად რჩება ძველი სამყაროს ტორევტიკის მრავალფეროვან ნაწარმში და ზოგიერთი სხვა.

შემოთავაზებულ კვლევაში ჩვენ ამ ღირსშესანიშნავი კომპლექსების ტიპობრივ ვარიანტებს, მათი ორნამენტირებისა და დამზადების ტექნიკური ხერხების თავისებურების ინტერპრეტირებას ვეხებით და ამ კონტექსტში წარმოვაჩენთ, თუ რა როლი ითამაშა წინააზიური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებისათვის (შუმერი, ცენტრალური ანატოლია, აშური) დამახასიათებელმა მხატვრულ-სტილისტურმა ტენდენციებმა აღნიშნული პერიოდის სამხრეთკავკასიური ლითონის ჭურჭლის ფორმირებაზე.

ყურადღებას ვუთმობთ თუ რა სახისა და სიძლიერის კონტაქტებმა და მოსაზღვრე სამხრეთული ცივილიზაციებიდან მომდინარე კულტურულმა თუ სხვა სახის ზეგავლენამ განაპირობა თრიალეთური მხატვრული ნაწარმის არსებითი მახასიათებლების ჩამოყალიბება და რამდენად ნათლად იკვეთება ადგილობრივ ტრადიციულ ფაქტორთან მათი თანამონაწილეობა.

**Marina Puturidze**

Assoc. Professor, Dr. of History
Institute of Archaeology, Tbilisi State University
Corresponding Member of the German Archaeological Institute
marina.puturidze@tsu.ge

## FIRST APPEARANCE OF THE METAL VESSELS IN SOUTH CAUCASUS: DISTRIBUTION, THEIR DETERMINING FACTORS AND TYPOLOGICAL VARIETY

The first appearance of the metal vessels in the South Caucasus is related to the famous Trialeti Culture of the 21-first half of the 17 cc BC, which was characterized by the typological variety from the beginning. The facture of metal (gold, silver, bronze) defined those complicated

technical methods used in their manufacturing. Among the determining factors of the torerutic's development most important seems to be the following: the overall achievement of the metalworking field, the organization of international trade-exchange networks in advanced centers of the Ancient Old World, and an activation of intercultural relationships between the Near East and adjacent areas.

The coincidence of these processes with an essential socio-economic attainment of the Trialeti Culture was an important point, especially in case when it reveals total readiness for sharing of all achievements via an activated international contact.

Essentially, the main characteristic features of the mentioned chronological period were an intensive transmission of knowledge and ideas, the manufacturing of fashionable assemblages, and the infiltration of new artistic-stilistic tendencies between the different regions. Trialetian society's elite reveals a clear tendency toward an acceptance of any kind of novelty, and it could be a reason that their population, so rich with sources and economically increased, might be included in such processes. Accordingly, the result was an attempt to share and establish various specifics of Near Eastern 'alien', high artistic standard tendencies when producing the Trialetian toreutics.

The matter that the South Caucasus, as the far northern periphery of the Near East, was a distinguishable area with numerous variable types of metal artifacts, suggests that, besides economic increase, it was determined by its inclusion in intercultural communications. More precisely, characteristic for the Trialeti Culture factors were: striving toward cultural contacts with famous civilizations, which revealed in the appearance of an 'alien' artistic-stylistic tendencies in iconography, technical methods, etc., and, besides an acceptance of all novelties, of its transformation and complementing with local tradition. As a result, craftsmen created the precious artifacts, evidently related to the Near Eastern ones and known in the scientific world as the rich assemblage of Trialetian toreutics.

They are represented by various types of samples: the richly ornamented silver ritual goblets of cylindric shape, narrowing at the bottom and with low stand, the silver cylindrical dip-bucket with wholly decorated surface and golden appliqués, the silver hemispherical bowls with the decorated handle, the silver cylindrical shape vessel, with the same size of mouth and flat bottom and with a movable handle, bronze, handled 'basket-shaped' bucket with a flaring pedestal base, ornamented with bands of repoussé decoration, the silver biconical shape vessels with low stand and, at the end should be mentioned, other precious toreutics, like the ornamented and plain golden hemispherical shape deep cups, and as well, especially fashionable sample – the golden beaker, ornamented with filigree, granulation and inlays of semi-fine stones and by the curved spirals and horizontal bands motives.

The appearance of metal vessels of the Trialeti Culture was sudden, unexpected, and not preceded by any local tradition of their making. Therefore, it marks a turning point concerning such innovation, starting from the developed stage of the Middle Bronze Age.

**ხათუნა ქოქრაშვილი**

ისტორიის დოქტორი
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0001-3876-2591
kh.kokrashvili@gmail.com

# „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ჯილდო და მისი სიმბოლური პარადიგმები (წმინდა ნინოს სახელობის საპატიო ნიშანი)

ფალერისტიკული მასალა, როგორც ისტორიული არტეფაქტი, წარმოადგენს კონკრეტული ეპოქის სოციო-კულტურულ მემკვიდრეობას. ასეთი ნიშანი თავის თავში აერთიანებს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სიმბოლურ შრეებს, რომლებიც ასახავენ როგორც სახელმწიფოს, ისე კონკრეტული საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციის მისწრაფებებსა და იდენტობის გამომხატველ ნიშნებს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის იმპერიამ კავკასიის მიმართ სხვა სიმაღლეზე აიყვანა და ახალ იდეოლოგიურ-რელიგიურ ჩარჩოში მოიაზრა მართლმადიდებლობის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური დომინაციის ინსტრუმენტის, გამოყენება. კვლევა ეძღვნება 1860-1917 წლებში რუსეთის იმპერიაში მოქმედი სამისიონერო ორგანიზაციის – „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ჯილდოს – წმინდა ნინოს სახელობის საპატიო ნიშანს, რომელიც ამჟამად იშვიათ ფალერისტულ ნიმუშს წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია აღნიშნული ჯილდოსა და მისი ატრიბუტიკის არქიტექტონიკისა და სტილისტური სტრუქტურის ანალიზი, თუმცა დღემდე შეუსწავლელია მისი ფალერისტული სიმბოლიზმი, სემანტიკური მიმართება, ერთი მხრივ, ქართველთა განმანათლებელი წმინდანის ნინოს ვაზის ჯვრის სიმბოლიკასთან, მეორე მხრივ, კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მთავარ იდეასა და მიზანთან.

კვლევა მიზნად ისახავს აღნიშნული საპატიო ნიშნის დაარსების, ფალერისტული სტატუსის, სტრუქტურული თავისებურებებისა და კულტურულ-სიმბოლური მნიშვნელობის ანალიზს რუსეთის იმპერიის სამისიონერო და რელიგიური პოლიტიკის კონტექსტში. სტატია ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურას, საარქივო დოკუმენტებს, ვიზუალურ წყაროებს, პრესის მასალებს, ასევე, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ყოველწლიურ ანგარიშებს, რომლებსაც დღეს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ. აღნიშნული მასალების საფუძველზე შევეცადეთ, გვეჩვენებინა საპატიო ნიშნის ისტორიული, ფალერისტული და სიმბოლური ინტერპრეტაცია, მისი დაარსების ისტორიული კონტექსტი, იდეოლოგიური შინაარსი და მხატვრული გადაწყვეტა; განგვესაზღვრა

აღნიშნული ჯილდოს ადგილი იმდროინდელ საეკლესიო და საზოგადოებრივ ჯილდოთა სისტემაში; გაგვეანალიზებინა მისი რელიგიურ-პოლიტიკური ფუნქცია, იკონოგრაფიული და იდეოლოგიური შინაარსი, რომელიც ასახავს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-რელიგიურ დისკურსს კავკასიაში.

კვლევის შედეგად ჩანს, რომ აღნიშნული ჯილდოს სახელწოდება და მისი იკონოგრაფია ავლენს ერთგვარ სიმბოლურ-სემანტიკურ მიმართებას წმინდა ნინოს ვაზის ჯვართან, რაც არის რუსეთის მიერ ადგილობრივი მართლმადიდებლური სიწმინდეების, ეროვნული მნიშვნელობის რელიგიური სიმბოლოების თავისებური რეპრეზენტაციის მცდელობა, ახალი კულტურული იდენტობის ფორმირებისა და ხელისუფლების სტრატეგიის იარაღად მისი გამოყენების ერთერთი მაგალითი. ჯილდოსათვის წმინდა ნინოს სახელის მინიჭება ქმნიდა კავშირს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობასა და იმპერიულ პროექტს შორის, რაც აჩვენებს ფალერისტიკის განსაკუთრებულ როლს კულტურული გავლენის და იმპერიული იდეოლოგიის გავრცელებაში.

ჯილდოს შემოტანა ემსახურებოდა რუსეთის იმპერიის რამდენიმე მიზანს: საზოგადოების ჩართვას მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მხარდასაჭერად, ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის ლოიალობის გამტკიცებას, საზოგადოების აქტიური თანამშრომლობის წახალისებასა და კავკასიური იდენტობის იმპერიულ იდეოლოგიასთან თანხვედრის დამკვიდრებას.

**საკვანძო სიტყვები:** ფალერისტიკა, სიმბოლიზმი, მართლმადიდებლობა, რუსეთის იმპერია.

**Khatuna Kokrashvili**

Doctor of History
Senior Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0001-3876-2591
kh.kokrashvili@gmail.com

## THE AWARD OF THE "SOCIETY FOR THE RESTORATION OF ORTHODOX CHRISTIANITY IN THE CAUCASUS" AND ITS SYMBOLIC PARADIGMS (THE ORDER OF ST. NINO)

Phaleristic material, as a historical artifact, constitutes the socio-cultural heritage of a specific epoch. Such insignia encapsulate political, ideological, and symbolic layers that reflect the aspirations and identity-markers of both the state and particular social or religious organizations.

From the second half of the nineteenth century, the Russian Empire elevated its approach to the Caucasus and framed Orthodoxy within new ideological and religious paradigms, employing it as an instrument of cultural and political domination. This study focuses on the award established by the missionary organization active in the Russian Empire between 1860 and 1917 – the *Society for the Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus*. The Order of St. Nino, which it introduced, today represents a rare phaleristic specimen. While the architectural and stylistic structure of this insignia and its attributes have been analyzed in scholarly literature, its phaleristic symbolism and semantic correlations – on the one hand, with the vine cross of St. Nino, the Enlightener of Georgians, and on the other hand, with the central ideas and objectives of the Society – remain insufficiently studied.

The research aims to analyze the foundation, phaleristic statute, structural features, and cultural-symbolic significance of this order within the broader context of the missionary and religious policies of the Russian Empire. The article draws upon scholarly works, archival documents, visual sources, press materials, and the annual reports of the Society, which hold primary-source value. Based on these materials, an attempt is made to reconstruct the historical, phaleristic, and symbolic interpretations of the Order; to contextualize its foundation; to examine its ideological content and artistic design; to define its place within the contemporary ecclesiastical and social reward system; and to analyze its religio-political function, iconographic content, and ideological meaning that reflect the political-religious discourse of the Russian Empire in the Caucasus at the turn of the nineteenth and twentieth centuries.

The study demonstrates that the nomenclature and iconography of the award reveal a symbolic-semantic correlation with St. Nino's vine cross. This reflects the Russian Empire's attempt to appropriate and reframe local Orthodox sanctities and nationally significant religious symbols

as part of its strategy to shape a new cultural identity and to employ them as instruments of imperial authority. Assigning the name of St. Nino to the award created a nexus between local cultural heritage and the imperial project, underscoring the role of phaleristics in disseminating cultural influence and imperial ideology.

The introduction of the Order served several purposes for the Russian Empire: engaging society in supporting the mission of the Society for the Restoration of Orthodox Christianity, consolidating the loyalty of the local Orthodox population, encouraging active collaboration, and embedding Caucasian identity within the framework of imperial ideology.

**Keywords:** Phaleristics, Symbolism, Orthodoxy, Russian Empire.

**გივი ღამბაშიძე**

დირექტორი
დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელების ისტორიისა და ქართული-ებრაული ურთიერთობების მუზეუმი
საქართველოს ებრაული 26-ე საუკუნის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი
givigambashidze@yahoo.com

## კავკასიის ხალხთა ერთობის ისტორიის ფურცლები – ქრისტიანული კულტურის ქართული წრის ძეგლები იმერიკავკასიაში

ნაშრომში განხილულია ისტორია, წყაროთმცოდნეობა, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოლოგია, კულტუროლოგია, ხელოვნებათმცოდნეობითი კუთხით გაშუქებულია კავკასიის უძველესი ერთობისა და შაუსაუკუნეების მჭიდრო სახელმწიფოებრივი ურთიეთობების საკითხები (მოხსენებას ერთვის 100-მდე ფოტომასალა).

**Givi Gambashidze**

Director
David Baazov Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations
President of the Georgian-Jewish 26 Century Friendship Society
givigambashidze@yahoo.com

## PAGES FROM THE HISTORY OF THE UNITY OF THE PEOPLES OF THE CAUCASUS – MONUMENTS OF GEORGIAN CHRISTIAN CULTURE IN IMERICAUCASIA

The study examines the history, source studies, archaeology, ethnology, anthropology, philology, cultural studies, and art-historical perspectives, highlighting issues related to the ancient unity of the Caucasus and the close state relations of the Middle Ages. The presentation is accompanied by approximately 100 photographic materials.

**გაგა შურღაია**

დოქტორი
პროფესორი
ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლ’ორიენტალე“
shurgaia@unior.it

## ბალაჰვარისა და იოდასაფის ლეგენდის არაბული, ქართული და ბერძნული ვერსიების ურთიერთმიმართება და ლეგენდის პირველი ქრისტიანული ვერსია

მოხსენებაში გაანალიზებულია ბალავჰარისა და იოდასაფის ლეგენდის არაბული, ქართული და ბერძნული ვერსიები. დასაბუთებულია, რომ ლეგენდის ქართული ვერსია – „ბალავარიანი“ ლეგენდის პირველი ქრისტიანული რედაქციაა, ხოლო მოსაზრება „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქციიდან მოკლეს წარმოშობის შესახებ – საფუძველს მოკლებული. მოხსენებაში დასახულია კვლევის ახალი პერსპექტივა ჩვენამდე მოღწეული ორი ქართული რედაქციის ერთი საერთო ქართული არქეტიპიდან წარმოშობის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** ბალაჰვარი და იოდასაფი ,ბალავარიანი, ქართული ვერსია, ქრისტიანული რედაქცია, არქეტიპი.

**Gaga Shurgaia**

PhD
Professor
University of Naples L’Orientale
shurgaia@unior.it

## TRACING THE RELATIONSHIP BETWEEN THE ARABIC, GEORGIAN, AND GREEK VERSIONS OF THE BILAWHAR AND BŪḎĀSAF LEGEND AND ITS EARLIEST CHRISTIAN ADAPTATION

This paper examines the Arabic, Georgian, and Greek versions of the Bilawhar and Būḏāsaf legend. It argues that the Georgian version, Balavariani, constitutes the earliest Christian adaptation of the narrative. Furthermore, it challenges the prevailing hypothesis that the shorter

recension of Balavariani originated from the longer recension. The study provides a novel perspective on the origins of the two extant Georgian recensions, both of which appear to derive from a common Georgian archetype.

**Keywords:** Bilawhar and Būḏāsaf, Balavariani, Georgian version, Christian adaptation, archetype

**ნინო ჩიხლაძე**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
ORCID: 0000-0002-3133-7330
Nino.chikhladze@ug.edu.ge
Nino_chikhladze@yahoo.com

# მარტვილის ეკლესიის XI-XII საუკუნეების მხატვრული დეკორის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

მარტვილი-ჭყონდიდის მონასტერი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის უძველესი კერაა, რომელიც პარადიგმულ ბმაშია საქართველოს გაქრისტიანების ცენტრის, მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის ისტორიულ ნარატივებთან. სწორედ მას უკავშირდება საქართველოში ქრისტეს მოციქულების ანდრიასა და სიმონ კანანელის მოღვაწეობის შესახებ გადმოცემა. უძველესი ლეგენდის თანახმად, ანდრია პირველწოდებულის მიერ აქ მოჭრილი წარმართული სალოცავი „დიდი ჭყონის“, ანუ დიდი მუხის, ფესვებს დაეფუძნა ტაძრის საკურთხეველი, აღიმართა ამავე ხისგან გამოთლილი ჯვარი, ხოლო კერპს შეწირული ჩვილი ბავშვები, იგივე „მარტვილები“, წმინდა მოწამეებად შეირაცხა. ეკლესია XIII საუკუნეშიც წმ.მარტვილთა სახელობისაა, ხოლო ღმრთისმშობლის სახელზე მისი ხელახალი სატფურების შემდეგ მარტვილთა სახელი მონასტრის ტოპონიმში შენარჩუნდა. მთავარი ეკლესიის როგორც ჯვრის ტიპის ტეტრაკონქულ არქიტექტურაში, ისე მასთან დაკავშირებული ჯვარ-ხატებისა და რელიკვარიუმების სახით შემორჩენილ საგანძურშიც მკაფიოდ იკითხება ადრეული ქრისტიანული ხანის მხატვრულ-ისტორიული პლასტი, თუმცა ტაძრის ძირითადი მოხატულობა XIV, XVI და XVII საუკუნეებს მიეკუთვნება. ამავე დროს, ეკლესიის ინტერიერში რამდენიმე ადგილას შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის განსხვავებული მედიუმის (კედლის მხატვრობა, მოზაიკა) მხატვრული დეკორის ნაწილები.

საკურთხევლის ბემის თაღში წინასწარმეტყველებისა და მედალიონში ჩაწერილი ფრთაგაშლილი ანგელოზის, დასავლეთი მკლავის ბემის სამხრეთ კედელსა და თაღში კი ღირსი მამების, მედალიონში ჩაწერილი გამოცხადების ჯვრისა და წმ. დედოფლის გამოსახულებათა ფრაგმენტები იკითხება. დასვლეთი ეკვდრის აღმოსავლეთ კედელზე, ძირითად ინტერიერში შესასვლელი კარის ლუნეტში ჩვილედი ღმრთისმშობლის მოზაიკური გამოსახულების ფონი და მის მიმართ თაყვანისმცემელი ანგელოზის მხატვრობის ნაწილია შემორჩენილი. ყველა ეს ფრაგმენტი მხატვრული სტილის დამახასიათებელი ნიშნებით განვითარებული შუა საუკუნეების, კერძოდ, XI-XII საუკუნეების მაღალმხატვრული შემოქმედების ნიმუშებია, რომელთა მხატვრული გადაწყვეტა მჭიდრო სიახლოვეს ამჟღავნებს თანადროული ეპოქის ქართული და ბიზანტიური სახვითი ხელოვნების რჩეულ ნაწარმოებებთან.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს მეფე ბეგრატ IV-მ (1027-1072) მარტვილი-ჭყონდიდის ეკლესია სიცოცხლეშივე სამუდამო განსასვენებლად შეარჩია და საბოლოოდ მასში დაიკრძალა კიდეც, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია ტაძრის საგანგებო მორთვისა და გამშვენებისთვის. ვფიქრობთ, საკურთხევლის ბემის მოხატულობის ყველაზე ადრეული ფენა სწორედ ბაგრატ IV-ის მხართველობის პერიოდში შესრულებული მხატვრობის ნაწილია, ხოლო განსხვავებული ფერადოვნების დასავლეთი მკლავის მხატვრობის ფრაგმენტები შესაძლოა ოდნავ უფრო გვიან, 1080 წლის დიდი თურქობის დროს გადამწვარი ჭყონდიდის ტაძრის აღდგენა-განახლების დროინდელი იყოს. ასეთი პერიოდი მარტვილის ტაძარს დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და მრჩევლის, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელის მოღვაწეობის დროს, ანუ XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის დასაწყისში, შეიძლება დადგომოდა, რაც მოხატულობის ამ ნაწილის მხატვრული სტილის ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებითაც დასტურდება. სავარაუდოდ, ანალოგიური პერიოდით შეიძლება დათარიღდეს მოზაიკისა და შინაარსობრივ-კომპოზიციურად მასთან დაკავშირებული მხატვრობაც. საბოლოო ჯამში კი ეკლესიის XI და XII საუკუნეების მხატვრული დეკორის დღემდე შეუსწავლელი ფრაგმენტები, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მარტვილი-ჭყონდიდის მონასტრის, არამედ განვითარებული შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს მხატვრული კულტურის ზოგადი სურათის უკეთ წარმოსადგენად.

**საკვანძო სიტყვები:** მონუმენტური მხატვრობა, მოზაიკა, მარტვილი-ჭყონდიდის მონასტერი, ბაგრატ IV-სა და დავით აღმაშენებლის ეპოქა.

**Nino Chikhladze**

Doctor of Art History
Senior Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
ORCID: 0000-0002-3133-7330
Nino.chikhladze@ug.edu.ge
Nino_chikhladze@yahoo.com

## THE CULTURAL AND HISTORICAL SIGNIFICANCE OF THE XI–XII CENTURY ARTISTIC DECORATION OF MARTVILI CHURCH

The Martvili-Chkondidi Monastery is one of the oldest centers of Georgian spiritual and material culture, situated within the paradigmatic nexus of Georgia's Christianization, and

connected historically to the narratives of the Cross of Mtskheta and Svetitskhoveli Cathedral. Tradition associates the site with the activity of the Apostles Andrew and Simon the Zealot in Georgia. According to the oldest legend, the altar of the church was established on the roots of a pagan shrine called “Didi Chkhoni” (“Great Oak”), cut by Andrew the First-Called; a cross was carved from the same tree, and infants sacrificed to idols, called “Martvils,” were canonized as holy martyrs. In the 13th century, the church was dedicated to the Holy Martyrs, and after its reconstruction under the name of the Mother of God, the name of the Martvils was preserved in the monastery’s toponym.

The main church, both in its tetraconch cross-type architecture and in the associated treasure of crosses and reliquaries, clearly reflects the artistic and historical layers of the early Christian period; however, the principal wall paintings belong to the 14th, 16th, and 17th centuries. At the same time, the interior preserves fragments of artistic decoration from different periods and media (wall painting, mosaic).

In the altar’s bema arch, depictions of prophets and a winged angel in a medallion are visible, while on the south wall and arch of the western arm of the bema are fragments of venerable fathers, the cross of the revelation in a medallion, and the image of the Virgin Mary. On the eastern wall of the western eukterion, in the lunette of the main interior entrance, the mosaic background of the infant Mother of God and the adjacent angelic figure remain. All these fragments, with stylistic hallmarks of high medieval artistry, represent XI-XII century masterpieces, revealing close connections to contemporary Georgian and Byzantine visual art.

Historical sources indicate that King Bagrat IV (1027-1072) of the unified Georgian kingdom selected the Martvili-Chkondidi church as his eternal burial site during his lifetime and was ultimately interred there. This provides a solid basis for the church’s elaborate decoration and embellishment. It is likely that the earliest layer of the altar’s bema painting was executed during Bagrat IV’s reign, whereas fragments of the western arm’s painting may date slightly later, during the reconstruction following the destruction of Chkondidi in the Great Turkish Invasion of 1080. This period likely coincides with the activity of Giorgi Chkondideli, a tutor and advisor to David IV the Builder, in the late 11th and early 12th centuries, which is also supported by stylistic analysis of the paintings. A similar dating may be applied to the mosaic and the associated compositional wall paintings.

Overall, the previously unstudied XI-XII century fragments of the Martvili church’s artistic decoration are significant not only for the Martvili-Chkondidi Monastery but also for understanding the broader artistic culture of the developed medieval Georgian state.

**Keywords:** Monumental Painting, Mosaic, Martvili-Chkondidi Monastery, Reigns of Bagrat IV and David IV the Builder.

**ნარი ჩხაბერიძე**

თეოლოგიის დოქტორი
დამოუკიდებელი მკვლევარი
საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0001-7011-4818
Chkhaberidzenari@gmail.com

# იოანე ზიზიულასის საღვთისმეტყველო ხედვა ზოომორფულ საკითხებზე და სახარებისეული სიმბოლო „ვირის" ეგზეგეტური ანალიზი

კვლევა მიმოიხილავს პერგამონის მიტროპოლიტის იოანე ზიზიულასის საღვთისმეტყველო თვალსაზრისს სამყაროში ადამიანისა და ცხოველების ჰარმონიული თანაცხოვრების შესახებ. ზიზიულასი ცხოველთა სამყაროს განიხილავს შექმნის ნაწილად, რისი შექმნისასაც ღმერთმა დაასკვნა, რომ ის კარგია. მისი აზრით, ბიბლიური ხედვა აძლიერებდა მართლმადიდებლური ეკლესიის რწმენასა და ეთოსს, რასაც მოწმობს მონაზვნობა, ღვთისმსახურება და ღვთისმეტყველება.

კვლევაში ასევე განხილულია სახარებისეული ზოომორფული სიმბოლო „ვირი" (ძვ. ქართ. კარაული), როგორც შრომისმოყვარეობის, თავმდაბლობისა და მშვიდობისმყოფელების ნიშანი, კერძოდ, პასექის დღესასწაულზე ქრისტეს იერუსალიმში შესვლის ეპიზოდში. „კარაული" მიუთითებს მძიმედ ნაშრომ-ნაჯაფ ვირზე, რაც აღინიშნება ადამიანის ღვთივბოძებული შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებული შრომისმოყვარეობის მაგალითად.

**საკვანძო სიტყვები:** ღვთისმეტყველება, ქმნილება, ცხოველთა სამყარო, სახარება, სიმბოლო.

**Nari Chkhaberidze**

Doctor of Theology
Independent Researcher
Georgian National Committee of Byzantine Studies
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0001-7011-4818
Chkhaberidzenari@gmail.com

## THEOLOGICAL VISION OF JOHN ZIZIOULAS ON ZOOMORPHIC ISSUES AND THE EXEGETICAL ANALYSIS OF THE GOSPEL SYMBOL “DONKEY”

The study reviews the theological perspective of Metropolitan John Zizioulas of Pergamon regarding the harmonious coexistence of human beings and animals within creation. Zizioulas perceives the animal world as an integral part of the divine creation, about which God declared that “it was good.” In his view, such a biblical understanding has consistently strengthened the faith and ethos of the Orthodox Church, as reflected in three essential dimensions of ecclesial life: monasticism, liturgy, and theology.

The research further examines the Gospel’s zoomorphic symbol of the “donkey” (Old Georgian *karauli*) as a sign of industriousness, humility, and peace—particularly in the context of Christ’s entry into Jerusalem on the feast of Pascha. The term *karauli* refers to a heavily burdened and toiling donkey, symbolizing the human vocation of divinely gifted industriousness, where toil is transfigured in Christ, whose “yoke is easy, and burden light” (Matt. 11:30).

**Keywords:** Theology, Creation, Animal World, Gospel, Symbol

**დოდო ჭუმბურიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0000-3569-8363
dodochumburidze@yahoo.com

# ქართული საისტორიო აზროვნების მთავარი პარადიგმა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში და გიორგი წერეთელი

"XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი _ მრავალმხრივ საინტერესო, ახალი იდეებისა და იდეოლოგიების გაჩენისა და ჭიდილის, ახალი კონცეფციებისა და სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბების ხანა იყო. ამ პერიოდის ქართული საისტორიო აზროვნების მთავარ პარადიგმას წარმოადგენდა ერთი მხრივ სამოციანელთა ნაციონალური პროექტის გააზრება ისტორიის კვლევებთან მიმართებაში, მეორე მხრივ, ახალი მარქსისტულ-სოციალისტური იდეოლოგიის შემოტანა საისტორიო აზროვნებაში. ამ ორი მიმართულების შეთანხმება-მორიგებისა თუ დაპირისპირება-ბრძოლის კონტექსტში გაჩნდა ახალი პოლიტიკური ცნობიერება, ეროვნული და გლობალური აზროვნების ახალი ტენდენციები, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, განვითარდა ინფრასტრუქტურა, სარკინიგზო ქსელის გაყვანამ გაზარდა კომუნიკაციის საშუალება, შეაკავშირა ქვეყნის ცალკეული კუთხეები, გამოიწვია სამეურნეო აღმავლობა. კომუნიკაციის საშუალებად იქცა კავშირგაბმულობა, 60-70-იან წლებში სატელეფონო კავშირი გაიბა თბილისს, ქუთაისს, ფოთს, თელავსა და სხვა სამაზრო ქალაქებს შორის. გაფართოვდა საფოსტო კავშირების ქსელიც. საქართველოს დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, ეკონომიკური სისტემების ამუშავებამ და ახალი სოციო-კულტურული სივრცის გაჩენამ, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ადამიანთა ცნობიერებაზე და მათ შორის ქართული საისტორიო აზრის ახალი მიმართულებით ფორმირებაზე.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მარქსისტული მოძღვრება, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია, იწყებს გავრცელებას. 1892-1893 წლებში ქვეყანაში ოფიციალურად დაფუძნდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ქართველი სოციალ-დემოკრატები საკუთარი იდეების პროპაგანდისთვის გაზეთ „კვალს" იყენებდნენ. 1898 წლიდან ეს გაზეთი მთლიანად მარქსიზმის მიმდევართა საკუთრება გახდა. „მესამე დასელები" მკვეთრად დაუპირისპირდნენ თერგდალეულთა მსოფლმხედველობას, დაგმეს წოდებათა შერიგების იდეოლოგია, „საერთო ნიადაგის" თეორია და ერის განვითარების უმთავრეს საშუალებად კლასთა შორის ბრძოლა გამოაცხადეს.

მიუხედავად ინტერნაციონალიზმის ქადაგებისა, ქართველი სოციალ-დემოკრატები ხალხს

პრობლემების მოგვარებას მაინც ეროვნულ საფუძველზე სთავაზობდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ნაციონალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ავსებდა. საქართველოში სოციალიზმი განსაკუთრებით მომხიბლავი იყო, რადგან იმედს იძლეოდა, რომ წერტილს დაუსვამდა კოლონიალიზმს, უცხოელი მესაკუთრეების მხრიდან ექსპლუატაციას, სოციალურ და კუთხურ დაყოფას.

დაიხვეწა ისტორიული კვლევების მეთოდოლოგია, უფრო მასშტაბური გახდა ევროპული კვლევის მეთოდების გამოყენება, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა საისტორიო წყაროების სიღრმისეულ შესწავლასა და შედარება-შეჯერების მეთოდს, დამხმარე საისტორიო დისციპლინების ჩართვას კვლევებში, განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მატერიალური და ნარატიული მასალების გამოყენებამ, გაიზარდა ისტორიოგრაფიული ნაშრომების მეცნიერული სიღრმე. ეს ყველაფერი დაეფუძნა იმ დიდ შემგროვებლობით და საძიებო საქმიანობას, რასაც ქართველი ისტორიკოსები აწარმოებდნენ მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლებიდან.

ამ პერიოდში გაჩნდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი დასების თეორია, რაც ისტორიკოსსა და მწერალს – გიორგი წერეთელს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიას ყველა არც იმ დროს იზიარებდა და არც დღეს იზიარებს, მან მაინც დაიჭირა მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიულ კვლევებში, განსაკუთრებით საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. სტატიაში საუბარია იმ ერთიანობისა თუ კონფრონტაციის ტენდენციებზე, რასაც გიორგი წერეთელი და მისი ჟურნალი ილიასა და ეროვნული იდეოლოგიის ერთგული ჯგუფის მიმართ ახორციელებდა.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ ისტორიოგრაფია, მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატია, ნაციონალური იდეოლოგია, დასების თეორია, საისტორიო მეთოდოლოგია.

**Dodo Chumburidze**

Doctor of Historical Sciences
Chief Research Fellow
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0000-3569-8363
dodochumburidze@yahoo.com

# THE MAIN PARADIGM OF GEORGIAN HISTORICAL THOUGHT AT THE END OF THE 19TH AND THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY AND GIORGI TSERETELI

The end of the 19th and the beginning of the 20th century was, in many respects, a fascinating era—an age of the emergence and confrontation of new ideas and ideologies, the formation of new concepts and systems of thought. The main paradigm of Georgian historical thought of this period was defined, on the one hand, by the interpretation of the national project of the 1860s in relation to historical studies, and on the other, by the introduction of Marxist-socialist ideology into historical thinking. Within the context of reconciliation or confrontation between these two directions, new political consciousness and new tendencies of national and global thought emerged, which had a profound influence on the subsequent development of Georgian historiography.

From the second half of the 19th century, Georgia underwent significant transformations. Infrastructure developed; the construction of the railway network expanded means of communication, connected various regions of the country, and stimulated economic growth. Telegraphy became a new form of communication, and in the 1860s-70s, telephone lines connected Tbilisi, Kutaisi, Poti, Telavi, and other district centers. The postal network was also expanded. Territories previously seized by the Ottoman Empire were returned to Georgia. The functioning of new economic systems and the emergence of a new socio-cultural space inevitably influenced public consciousness and contributed to the shaping of new directions in Georgian historical thought.

From the 1890s onward, Marxist doctrine and social-democratic ideology began to spread in Georgia. In 1892-1893, a Social-Democratic organization was officially established in the country. Georgian Social-Democrats used the newspaper *Kvali* ("Trace") to promote their ideas. From 1898, the newspaper became the property of the Marxists. The so-called "Third Group" (*mesame dasi*) strongly opposed the worldview of the *tergdaleulebi* ("those who had drunk from the Terek"), condemned the ideology of reconciliation between social estates and the "common soil" theory, and declared class struggle to be the primary means of national development.

Despite their preaching of internationalism, Georgian Social-Democrats still offered the people

solutions to problems on a national basis. They believed that nationalism and socialism were not mutually exclusive but complementary. Socialism was particularly attractive in Georgia because it offered hope of putting an end to colonialism, exploitation by foreign landowners, and both social and regional divisions.

The methodology of historical research became more refined. European research methods were applied on a broader scale; greater emphasis was placed on the in-depth study of historical sources, the method of comparison and correlation, and the integration of auxiliary historical disciplines into research. Special significance was acquired by the use of archaeological and ethnological materials—both material and narrative. The scientific depth of historiographical works increased. All of this rested upon the extensive collecting and searching activities that Georgian historians had been carrying out since the 1850s-1860s.

During this period, the well-known *theory of groups (dasebi)* emerged in Georgian historiography, formulated by the historian and writer Giorgi Tsereteli. Although this theory was not universally accepted—neither in his own time nor today—it nonetheless held an important place in Georgian historiographical studies, particularly in Soviet historiography. The article discusses the tendencies of unity and confrontation that Giorgi Tsereteli and his journal pursued in relation to Ilia Chavchavadze and the group devoted to national ideology.

**Keywords:** Georgian historiography, Marxism and Social Democracy, national ideology, theory of groups (*dasebi*), historical methodology.

**ბექან ხორავა**

ისტორიის დოქტორი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0001-2345-6789
bxorava@ug.edu.ge

# კოდორის ზემო წელი – დალის ქვეყანა (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)

მოხსენება ეხება კოდორის ხეობის ზემო ნაწილს, ისტორიული დალის თემის ტერიტორიას, ისტორიულ-ფიზიკურ, ისტორიულ-პოლიტიკურ და ისტორიულ-ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ასპექტებში. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების კვლევა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, რადგან თითოეული რეგიონის დეტალური შესწავლა აუცილებელია ქვეყნის სრულყოფილი ისტორიის გამოსაწერად.

ნაშრომში განხილულია ხეობის ჰიდროგრაფია, ოროგრაფია, დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია, ისტორიული საფორტიფიკაციო ნაგებობათა გეოგრაფია, საეკლესიო გეოგრაფია, ისტორიული გზები, ისტორიული ტოპონიმია და სხვა შესაბამისი საკითხები. კვლევა ეფუძნება აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხედვას, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლა უნდა დაიწყოს ლოკალური რეგიონებიდან, რათა სისტემური, დაწვრილებითი კვლევით გამოვლინდეს ჯერ შეუსწავლელი ისტორიული პროცესები.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, მდ. კოდორი, კოდორის ზემო წელი, დალი, აჟარა, ლათა.

**Bezhan Khorava**

Doctor of History
Senior Researcher
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-2345-6789
bxorava@ug.edu.ge

## UPPER KODORI VALLEY – THE LAND OF DALI (A HISTORICAL-GEOGRAPHICAL OVERVIEW)

This paper focuses on the upper part of the Kodori Valley, the historical community of Dali, and examines the historical-physical, historical-political, and historical-economic geography of the region. The study of Georgia's historical-ethnographic and historical-geographical regions is a pressing issue in modern historiography, as a detailed study of each region is essential for writing a comprehensive history of the country.

The work discusses hydrography, orography, historical geography of populated areas, geography of historical fortifications, church geography, historical routes, historical toponymy, and other related aspects of the valley. The research follows Academician Niko Berdzenishvili's view that the study of Georgia's history should begin with local regions, allowing systematic, detailed research to reveal previously unexplored historical processes.

**Keywords:** Abkhazia, riv. Kodori, Kodori Valley, Dali, Ajara, Lata

**ნინო ხუნდაძე**

დოქტორი
მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
n.khundadze@ug.edu.ge

# ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების ისტორია

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების ერთი მკვიდრი დარგის ისტორია, XIX საუკუნის ბოლოდან იწყება, საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დროს – ქართული ეროვნული აღორძინების ახალ ეტაპზე, ისტორიულ ეტაპზე, რომელსაც თავისი განმსაზღვრელი საფუძველი გააჩნდა. ეს ის დროა, როდესაც დასავლურ პოლიტიკურ ნააზრევს ნაზიარები, ლიბერალიზმის იდეებით შთაგონებული განათლებული ადამიანები, საზღვარგარეთ სწავლის დასრულების შემდგომ, საქართველოში დაბრუნდნენ, ჯერ ერთი ნაწილი – თერგდალეულები, შემდეგ, უკვე XX საუკუნის დასაწყისში, მეორე თაობა. მათი უმთავრესი საფიქრალი, როგორც არაერთი პროგრესული ადამიანისა საუკუნეების მანძილზე, საქართველოს გათავისუფლება, დამოუკიდებლობის მოპოვება და სახელმწიფოდ ჩამოყალიბება იყო. საკუთარი აზრი რომ რეალობად ექციათ, ისინი, საქართველოში მყოფ, იმავე სურვილით შეპყრობილ მოაზროვნე ადამიანებთან ერთად ზრუნვას დაბრუნებისთანავე შეუდგნენ. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბებული წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებებში, ასევე მათ საფუძველზე შექმნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს და ხელოვნების მუზეუმებში ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, ნიკოლოზ სევეროვის, ალექსანდრე კალგინის, დიმიტრი შევარდნაძისა და მათი მოსწავლეების მიერ იწყება საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობის ეროვნული სკოლის ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება.

გიორგი ჩუბინაშვილმა ურთულესი საქმე ითავა, მას ქართული ხელოვნების ისტორია უნდა შეექმნა. ეს უდიდესი საქმე კი გულისხმობდა წინა თაობის მეცნიერთა მიერ მოპოვებული, თუ ახლად მიკვლეული ფაქტების სისტემატიზებას, ქრონოლოგიის განსაზღვრას, მათთვის ისტორიული კონტექსტის დადგენას, იმის დასაბუთებას, რომ „ჩვენი ეროვნული ხელოვნება ჩვენი ეროვნული ისტორიის ნაწილი და შედეგია“, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე „სტილის კატეგორიების გამოყენებით“ ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განვითარების სურათის აღდგენასა და მეცნიერულ ასახვას.

მოხსენება არის მცდელობა თითოეულ ინსტიტუციაში წარმართული საქმიანობის და იმ პიროვნებათა ღვაწლის ასახვის, რომლებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარება და მისი ადგილი საერთაშორისო სამეცნიერო სისტემაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ხელოვნების ისტორია; ქართული ხელოვნებათმცოდნეობა; გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი; ხელოვნების მუზეუმი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის სამხატვრო აკადემია; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ამირანაშვილი.

**Nino Khundadze**

PhD
Researcher
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia
Tbilisi, Georgia
n.khundadze@ug.edu.ge

## HISTORY OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ART STUDIES

The history of Georgian art history, as an indigenous branch of scholarship, begins at the end of the 19th century—one of the most pivotal periods for Georgia, marking a new phase of the Georgian national revival with its own defining foundations. During this time, educated individuals who shared Western political views and were inspired by liberal ideas returned to Georgia after completing their studies abroad. The first group, known as the Tergdaleulebi (Georgian intellectuals educated in Russia), was followed by a second generation at the beginning of the 20th century. Their primary concern, like that of many progressive thinkers throughout history, was the liberation of Georgia, the attainment of independence, and the establishment of a sovereign state. To realize this vision, they, along with like-minded intellectuals in Georgia, began working toward this goal immediately upon their return. It was during this period that the formation and development of the National School of Art History in Georgia commenced, taking shape within the Literary, Historical, and Ethnographic Societies, the Georgian Artists' Societies, as well as institutions such as Tbilisi State University, the Academy of Arts, and the Georgian Museum and Art Museum founded on their basis. Pioneers such as Ekvtime Takaishvili, Giorgi Chubinashvili, Nikoloz Severov, Alexander Kalgin, Dimitri Shevardnadze, and their students played key roles. Giorgi Chubinashvili undertook the formidable task of creating a comprehensive history of Georgian art. This monumental work involved systematizing facts obtained or newly discovered by the previous generation of scholars, establishing chronology, situating these facts within their historical context, and substantiating the assertion that "our national art is a part and result of our national history." He aimed to restore and scientifically portray the development of

Georgian art over centuries through art-historical analysis, employing the "categories of style."

This report attempts to reflect the activities conducted within each institution and highlight the contributions of individuals who significantly shaped the development of Georgian art history and its position within the international scholarly community.

**Keywords:** Georgian art history; G. Chubinashvili National research Centre of Georgian Art History; Museum of fine arts; Tbilisi state University; Tbilisi Academy of fine arts; National Museum of Georgia; Eqvtime Takaishvili; Giorgi Chubinashvili; Dimitri Shevardnadze; Shalva Amiranashvili.

**ილონა ჯოხაძე**

დოქტორანტი
მიწვეული ლექტორი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU)
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0004-7961-7771
ilona.jokhadze@gau.edu.ge

# კომუნიკაციის ბარიერების გავლენა თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე ცვლილებების მენეჯმენტის პროცესში

მოხსენება ეხება კომუნიკაციის ბარიერების გავლენას თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე ცვლილებების მენეჯმენტის პროცესში. ცვლილებების მენეჯმენტი თანამედროვე ორგანიზაციებისთვის აუცილებელია სწრაფად ცვალებად გარემოში, სადაც თანამშრომელთა ეფექტიანი კომუნიკაცია კრიტიკულია.

კომუნიკაციის დაბრკოლებები — ინფორმაციის ნაკლებობა, არასწორი ინტერპრეტაცია და იერარქიული ბარიერები — ახდენენ უარყოფით გავლენას ცვლილებების აღქმასა და განხორციელებაზე. ასეთი პრობლემები ამცირებს პროდუქტიულობას, იწვევს კონფლიქტებს, ზრდის წინააღმდეგობის რისკს და საბოლოოდ აზიანებს კომპანიის მიზნებსა და ეფექტიანობას.

**საკვანძო სიტყვები:** ცვლილებების მენეჯმენტი; კომუნიკაციის ბარიერები; ინფორმაციის ნაკლებობა; არასწორი ინტერპრეტაცია

**Ilona Jokhadze**

PhD Candidate
Visiting Lecturer
Georgian American University (GAU)
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0004-7961-7771
ilona.jokhadze@gau.edu.ge

## THE IMPACT OF COMMUNICATION BARRIERS ON EMPLOYEE PRODUCTIVITY IN CHANGE MANAGEMENT PROCESSES

This paper examines the impact of communication barriers on employee productivity in the context of change management. Change management is essential for modern organizations operating in rapidly changing environments, where effective communication among employees is critical.

Communication obstacles — such as lack of information, misinterpretation, and hierarchical barriers — negatively affect the perception and implementation of changes. These issues reduce productivity, cause conflicts, increase resistance, and ultimately impair the organization's goals and overall efficiency.

**Keywords:** Change Management; Communication Barriers; Lack of Information; Misinterpretation

**გიორგი ჯღარკავა**

ფილოლოგიის დოქტორი
მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-4979-3019
georgejgharkava@gmail.com

# ᲤᲘᲢᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲨᲘ

მოხსენება ეხება ფიტონიმების გამოყენებას მეგრულ ანდაზებში, განსაკუთრებით მათ სემანტიკურ და ფუნქციურ მახასიათებლებში. ფიტონიმები ხშირად გამოიყენება ტოპონიმებსა და ადამიანთა გვარ-სახელებში, ანდაზებში კი ისინი ლექსიკურ-თემატურ და იდეურ მრავალფეროვნებას წარმოქმნიან. პარემიებში აღბეჭდილი ანდაზები, რომლებიც კონკრეტული კუთხისთვის დამახასიათებელია, საინტერესო მასალას წარმოადგენენ ინტერდისციპლინური კვლევისათვის.

ანალიზი ითვალისწინებს არა მხოლოდ ლინგვისტურ მონაცემებს, არამედ კულტუროლოგიურ, თარგმანთმცოდნეობისა და სხვა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში შედეგების განხილვას. მიგვაჩნია, რომ მეგრულ ანდაზებში არსებული ფიტონიმები სემანტიკურ-ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ და საინტერესო მასალას წარმოადგენს ენათმეცნიერებისა და ეთნოკულტურული კვლევებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ფიტონიმი; ანდაზა; მეგრული ენა

**Giorgi Jgharkava**

Doctor of Philology
Visiting Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-4979-3019
georgejgharkava@gmail.com

## PHYTONYMS IN MEGRELIAN PROVERBS

This paper examines the use of phytonyms in Megrelian proverbs, focusing on their semantic and functional characteristics. Phytonyms are frequently used in toponyms and personal names, while in proverbs they contribute to lexical-thematic and ideological diversity. Proverbs confirmed in specific regions, reflecting unique local characteristics, provide an interesting corpus for interdisciplinary research.

The analysis considers not only linguistic data but also interprets the results in the context of cultural studies, translation studies, and related disciplines. Phytonyms in the Megrelian proverb corpus offer significant semantic-functional information and represent valuable material for linguistic and ethnocultural studies.

**Keywords:** Phytonym; Proverb; Megrelian Language

**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი**

ფილოლოგიის დოქტორი
ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
თსუ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0002-9749-2648
Khotcholavan@gmail.com

# მევენახეობის ამსახველი ტოპონიმია საქართველოში: კულტურულ-ენობრივი მემკვიდრეობის კვლევა, გამოყენების პერსპექტივები, პოპულარიზაცია

მევენახეობის ამსახველი ტოპონიმია საქართველოში: კულტურულ-ენობრივი მემკვიდრეობის კვლევა, გამოყენების პერსპექტივები, პოპულარიზაცია აბსტრაქტი ტოპონიმი ენობრივი დოკუმენტია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, საუკუნეებს უძლებს და ინახავს მნიშვნელოვან ინფორმაციას როგორც ენობრივი, ისე გარეენობრივი (ექსტრალინგვისტური) თვალსაზრისით. ტოპონიმიკის ძირითადი ნაწილი იმ ეთნოსების მიერაა შექმნილი, რომლებიც ისტორიულად ბინადრობდნენ კონკრეტულ ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ ტოპონიმთა მეცნიერული ანალიზი მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ბუნებრივი გარემოს, ტრადიციული ყოფისა და ეთნიკური პროცესების კომპლექსური შესწავლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგიაში ტოპონიმიკას არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა მიეძღვნა, დღეს აქტუალური ჩანს ისეთი მიმართულებების განვითარება, როგორიცაა: (1) ტოპონიმების ანალიზი კულტუროლოგიური პერსპექტივით; (2) შედეგების პრაქტიკული გამოყენება (საგანმანათლებლო, ტურისტული, სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებებით) და (3) მათი პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში. ამ ეტაპზე განხილულია ტოპონიმები, რომელთა ფუძეა „ვენახი“. ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ფართოდ არის წარმოდგენილი ისტორიული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მათ შორის, მთიანეთში. მსგავსი ტოპონიმები დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და ქართველური (მეგრულ-ლაზური, სვანური) ენების ტოპონიმიურ სისტემაში. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ტოპონიმი დღეს აღარ ასახავს ვენახის რეალურ არსებობას, თუმცა ინახავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ვაზის ისტორიული გავრცელების, ვენახის მოშენებისა და სხვა საკითხების შესახებ. დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ ვენახთან დაკავშირებული სახელდების მოდელები ემყარება ზოგად ქართველურ სიტყვის წარმომქმნელ კანონზომიერებებს (ნა-ვენახ-ევ-ი, ვენახ-ებ-ი, ვენახ-იან-ი, ვენახ-ოვან-ი...), თუმცა ასახავს რეგიონულ სპეციფიკასაც (კახ. ნა-ვენახ-რ-ევ-ი). „ვენახ“-ის გარდა, ტოპონიმიური მასალა ავლენს სხვა საწარმოქმნო ფუძეებსაც, რომლებიც ვენახის მოშენებას უკავშირდება (მაგ. ბაგა, ფუძე და სხვ.). კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ ვენახის მოშენება უძველესი დროიდან გავრცელებული იყო ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ქართველთა ტრადიციული მეურნეობის საყრდენს წარმო-

ადგენდა, ელექტრონული ატლასი კი ამის თვალსაჩინო მტკიცებულებად მოიაზრება. აღნიშნული მასალის გამოყენება დიდ პოტენციალს ფლობს საგანმანათლებლო და პოპულარიზაციის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი „ტოპონიმებით დანახული საქართველო“, რომლის ფარგლებშიც ჩატარებულმა არაფორმალურმა გაკვეთილებმა („მოდი, ვნახოთ ვენახი“) რამდენიმე საკვირაო სკოლაში, დიდი დაინტერესება გამოიწვია და თემის შემდგომი განვითარების კარგი საფუძველი შექმნა. მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული ღირებულება. კვლევა ინოვაციურია როგორც თემატური მიმართულებით, ისე მეთოდოლოგიურად: პირველად ხორციელდება ვენახთან დაკავშირებული ტოპონიმების სისტემური ანალიზი კულტურულ-ენობრივი პერსპექტივით, რაც ტოპონიმიას განიხილავს ქართული კულტურული მემკვიდრეობის დინამიკაში. მნიშვნელოვანი სიახლეა პრაქტიკული კომპონენტიც — ვაზის კულტურასთან დაკავშირებული მიკროტოპონიმების ელექტრონული ატლასის შექმნა და მიღებული შედეგების ინტეგრირება არაფორმალურ განათლებაში.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ტოპონიმია, კულტურულ-ენობრივი მემკვიდრეობა, მევენახეობა, პოპულარიზაცია.

**Nana Khocholava-Machavariani**

PhD in Philology
Senior Research Fellow, Head of the Department of Lexicology
Arnold Chikobava Institute of Linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0002-9749-2648
Khotcholavan@gmail.com

## VITICULTURE-RELATED TOPONYMY IN GEORGIA: A STUDY OF CULTURAL AND LINGUISTIC HERITAGE, PROSPECTS FOR USE, AND POPULARIZATION

Toponymy is a linguistic archive, passed down through generations, enduring over centuries, and preserving valuable information from both linguistic and extralinguistic perspectives. Most toponyms are coined by ethnic groups historically inhabiting specific territories; thus, the scientific analysis of toponyms serves as a significant source for exploring a country's history, culture, natural environment, traditional lifeways, and ethnic dynamics in a complex and integrated manner. Although toponymy has been the subject of several important studies

in Kartvelology, there is a growing need to develop new directions of research, including: (1) the analysis of toponyms from a cultural perspective; (2) the practical application of research findings (in education, tourism, agriculture, and beyond); and (3) the popularization of this knowledge among the broader public. The present study focuses on toponyms derived from the root “vineyard” (venakhi in Georgian). The analysis demonstrates that such toponyms are widely attested across almost every region of historical Georgia, including mountainous areas. These names are also documented in Old Georgian written sources as well as in the toponymic systems of other Kartvelian languages (such as Megrelian-Laz and Svan). Notably, while many of these toponyms no longer reflect the presence of an actual vineyard, they retain essential information about the historical distribution of grape cultivation, vineyard management, and traditional agricultural practices. The naming models associated with vineyards are based on common Kartvelian word-formation patterns (e.g., na-venakh-ev-i, venakh-eb-i, venakh-ian-i, venakh-ovan-i, etc.), though regional specificities are also evident (e.g., Kakhetian na-venakh-r-ev-i). In addition to venakhi, the toponymic corpus reveals other productive roots associated with viticulture, such as *baga* and *fudze*. The findings clearly show that vineyard cultivation was widespread throughout the territory of historical Georgia from ancient times and served as a cornerstone of the Georgian traditional economy. The forthcoming electronic atlas of vineyard-related microtoponyms is envisioned as a visual and scholarly representation of this legacy. This material holds significant potential for educational and public engagement purposes. Particularly noteworthy is the initiative “Georgia Seen Through Toponyms”, within which informal lessons — such as “Let’s Go See the Vineyard” — conducted at several Sunday schools sparked considerable interest and laid a solid foundation for further development of the topic. Scientific Innovation and Practical Significance This research is innovative both in terms of its subject matter and its methodology. For the first time, vineyard-related toponyms are being analyzed systematically from a cultural-linguistic perspective, framing toponymy as an evolving part of Georgia’s intangible cultural heritage. The study integrates diachronic-synchronic linguistic analysis with field-based geographic and cartographic modeling. A major novelty lies in the practical component — the creation of a digital atlas of vineyard-related microtoponyms and the incorporation of these findings into non-formal educational platforms

**Keywords:** Toponymy of Georgia, cultural and linguistic heritage, viticulture, popularization.

**ვახტანგ ჯაფარიძე**

ისტორიის დოქტორი
ემერიტუს პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

# ძველი კოლხეთის (ლაზიკის) ახალი არქოლოგიური მონაცემების შესახებ (ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების ჭრილში)

ქართული არქეოლოგიისა და ისტორიული გეორაფიის ახალი მონაცემები მნიშვნელოვნად აღრმავებენ ჩვენს ცოდნას ძველი, უპირატესად ქართული წყაროებით ცნობილი, ქალაქებისა და ზოგადად ურბანული სტრუქტურის მატარებელი დასახლებებისა, თუ ქალაქების „ქვეყნისა" და სხვ. შესახებ. ერთს, მნიშვნელოვანს, ასევე, წარმოადგენს ამ დასახლებათა გენეზისის, ანუ გეგრაფიულად მათთან იდენტიფიცირებულ ძველ სამოსახლოთა, ანუ ქალაქების რაობის საკითხი. მეცნიერების ფართო (არქეოლოგია, ისტორიული გეოგრაფია, პალეოგეოგრაფია და სხვ.) სპექტრის ფართოდ ჩაბმის გზით არის მხოლოდ შესაძლებელი ისტორიული ეგრისის, ანუ დასავლეთ საქართველოს, მნიშვნელოვან დასახლებათა ცენტრებისა, მათი გენეზისის შესწავლის საკითხი. ამ მხრივ დიდი, ზოგჯერ გადამწყვეტიც კი იქნებოდა, სათანადო, საველე კვლევების საფუძველზე შედგენილი არქეოლოგიური რუკა და არა ზოგადი სქემები. აქ ჩვენ პირველ რიგში შევეხებით ეგრისის (კოლხეთის) უფრო ცენტრალურ რეგიონში გამოვლენილ და მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილ ნაქალაქარებს. სამი ჯგუფი შეიძლება დასახელდეს: 1. ვანი და მისი „ქვეყანა", 2. ქუთაისი და მისი „ქვეყანა" და ვარდციხე და მისი „ქვეყანა"; ეგრისის ცენტრალურ რეგიონს უნდა უკავშირდებოდეს უპირატესად, აგრეთვე" ბიზანტიური წყაროებით ცნობილი-„მუხირისი"და ვუთითებდით კიდეც საამისოდ ადგილს ქ. ქუთაისიდან აღმოსავლეთით, ადგ.ნამაშევში, მაგრამ ეს მოსაზრება დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს, მეტადრე ისეთ ვითარებაში, როცა ასეთ პუნქტად უკვე რიონ-ფაზისის სამხრეთით მსგავსი ტოპონიმის შემცველი ძეგლია გათხრებით შესწავლილი (გ.გამყრელიძე). უფრო აღმოსავლეთით, იბერიასთამ მომიჯნავედ, უცხოური და ადგილობრივი წყაროებით ცნობილი შორაპანია წარმოდგენილი. მასზე და მასთან მიმართებაში მნიშვნელოვან საკომუნიკაციო გზების შესახებ მითითებულია როგორც ძველ, უცხოურ (სტრაბონი და სხვ.,), ისე ქართულ წყაროებში. ძველი მონაცემებისა და ახალი დაკვირვებით თვით შორაპნის ციხე და მასთან დაკავშირებული ნაგებობები როგორც ციხისა, ისე ქვედა ქალაქისა, მნიშვნელოვნად დაზიანებული დაგვხვდა. ციხის ნაგებობებისა და კულტურული ფენების ქვედა დონეების ძირითად დამათარიღებელ მასალას, ისევე როგორც ქვედა ქალაქისა, გვიანელინისტური წინააზიური კერამიკა, მათ შორის პერგამული ნაწარმიც, წარმოადგენს. თვით ციხეზე და მისგან აღმოსავლეთით არსებული თანამედროვე დასახლების ფარგლებში გამოვლენილია კლასიკური ხანის კოლხური კერამის (სასმისების) ფრაგმენტები. აგრეთვე უდავოდ

დიდ ინტერესს იწვევს ციხის შუა ტერასის ფარგლებში, ზოგადად ადრელინისტური ხანით განსაღვრულ ფენაში, „იბერიული“ თეთრკეციანი კერამიკის გამოჩენა...დასახლების შემდეგ ისტორიული ციხე-ქალაქის, განვითარებისა და კოლხურ სამყაროსთან ადრეული კონტექტებისა და კონტინუიტეტის საკითხებზე მსჯელობისთვის ჯერ-ჯერობით მონაცემები არ გაგვაჩნია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლეონტი მროველის ცნობის მე-2 მნიშვნელოვანი პუნქტი-ძეგლი მნიშვნელოვნად ფართო არეალით: ეს დიმია, ანუ „დიმნა“-ლეონტი მროველისა. ის ინტერესს, წყაროს ცნობის გარდა, მთელ რიგ ავტორთა (ნ.ბერძენიშვილი, გ.ცქიტიშვილი, გ.მელიქიშვლი და სხვა.) დაკვირვებისა და მოსაზრებებისა, დიმის (უპირატესად ზედა დიმის) არქეოლოგიური, უფრო შემთხვევითი მოპოვებული მასალები, კომლექსებიც კი, ელინისტურიხანისა, უფრო ქვევრსამარხებს უკავშირდება. და ამიტომ უპირატესად ქვევრსამარხებისა...ამ თვასაზრისით ყურადღებას იქცევდა სოფ. ზედა დიმის ნაციხვარი, სადაც აკად. გ.მელიქიშვილის თანდასწრებით ელინისტური ხანის ფენაც იყო დადასტურებული...მაგრამ ძველ სამოსახლოთა განვითარებისა და წყაროების მონაცემებთან მათი მიმართების თვალსაზრისით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ქვედა დიმში გამოვლენილი ბუნებრივ შემაღლებათა მონაკვეთში გამოვლენილი გორა, სადაც სკოლისა და სხვ. მოყვარულ არქეოლოგთა მიერ თხემზე გაჭრილ თხრილში გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენებია დადასტურებილი; ასევე, ნასახლართა ნაშთები დადასტურებილია ვაკის თანამედროვე დასახლების ფარგლებში; აქ კი უკვე გვიანელინისტური ხანის მასალების შემცველ, საფიქრებელია სამარხების, ნაშთებთან გვქონდეს საქმე. გვაქვს საფუძველი, ზოგადად სოფ. ზედა და ქვედა დიმის ეს მონაცემები ლეონტისეულ ცნობას, ფარნავაზის მიერ შორაპანსა და დიმნაში ციხეების მშენებლობას შესახებ, დავუკავშიროთ. ამასთან, ქვედა დიმის აღნიშნული, ადრეული მასალები, შეიძლება, მართლაც მიანიშნებდნენ ურარტულ-ასურული წყაროების „დამაიანას“ ქვეყანაზე, როგორც ამას აკად. მელიქიშვილი ვარაუდობდა. ცენტრალური კოლხეთის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქი, როგორიც ქუთაისია, უკვე მის ცენტრალურ, ბაგრატის ტაძრის შემცველ ბორცვზეა თვალნათლივ გამოვლენილი; უპირატესად ხის კონსტრუქციებისა და ბათქაშების (მათი შელესილობის) მძლავრი ფენებითაა წარმოდგენილი. აქ ძველ სამოსახლოთა ნაშთები კიდევ არაერთგაანა დადასტურებული და მათმა განლაგებამ ბოცვოვანი ზოლის დასწვრივ ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერეს ყურადღება მიიქცია, გამოსახა გრაფიკულად იგი და გამოაქვეყნა კიდეც (იხ.მისი ატლასი) აქ, ამ ცენტრალურ კოლხეთში, უპირატესად რიონისპირეთში, მისგან ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთისკენ მიმართულ ზოლში, ადრეულ, ძვ.წ. მე-2 და 1 ათასწლეულის ხელოვნური ბორცვების მთელი რიგი, ზოგჯერ ჯგუფურად წარმოდგენილი, სამოსახლო ბორცვებია წარმოდგენილი. დასახლებათა კონტინუიტეტის თვალსაზრით, ამ ბორცვებთანაა დაკავშირებული, ასევე ბორცვებსა და ირგვლივ არსებულ გავაკებებზე გავრცელებული მომდევო ხანის ნასახლარები და ზოგჯერ მნიშვნელოვანი ნაქალაქარებიც. ასეა ეს რიონ-ფაზისის შესართავთან, სამრეთით, ახ.წ. IV-ში აღმოცენებული ნაქალაქარის, ვარდციხე- როდოპოლისის შემთხვევაში. ეს ქალაქი რიონისპირეთის ანტიკური, მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზის გასწვრივ არსებულ ნასახლართა განვითარების შედეგი უნდა იყოს წარმოქმნილი. იგი ამასთან, მიუხედავად ვაკეზე მდებარეობისა, მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტსაც წარმოადგენდა. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ

ვარდციხე-როდოპოლისის „ქვეყნის“მდ.რიონის მარცხენა ნაპირის ანტიკური დასახლებანი, გენეზისით მარჯვენა ნაპირის, ანუ სოფ.პატრიკეთის ადრეულ დასახლებებს, კერძოდ, ჩვენ მიერ შესწავლილ ბრინჯაოს ხანის ბორცვსა და მომდევნო ხანის სამოსახლოებს უკავშირდებოდეს ( ამ მონაკვეთში ჩვენ ადრებიზანტიური ხანის აბანოსაც შევისწავლიდით). ანტიკური ხანის დასახლებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სოფ. სვირის მონაკვეთშიც შეისწავლებოდა, როცა განმხოლოებული ცენტრალური ბორცვისა და მიმდებარე ვაკის მონაკვეთში ბრინჯაოს ხანის სასიმაგრო (?) კედლის პარალელურად, დარღვეულ ფენებში, ატიკური შავლაკიანი (შესაძლოა ათენური წარმომავლობის) კანთაროსის ფრაგმენტიც იყო გამოვლენილი. ნიშანდობლივია, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი აშკარად ფაზისის საგზაო მაგისტრალთან დაკავშირებული ეს ხელოვნური, ბრინჯაო-რკინისა და ანტიკური ხანის დასახლებები, ორგანულადაა დაკავშირებული ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის და აფხაზეთის შესაბამისი ხანისა და თვით შუა საუკუნეების მსგავსი ტოპოგრაფიის მქონე დასახლებებსა და სატრატეგიულ ბორცვებთან. აქ ანტიკურ მნიშვნელოვან და თხრილებით დაცულ ბორცვებთან ერთად დღემდე შეისწავლება უპირატესად ადრე შუასაუკუნეებით განსაზღვრული საფორტიფიკაციო სისტემები, რომლებიც აფხაზეთისკენ და სვანეთისკენ მიემართებიან (პროფ.ზ.კვიციანი). ბრინჯაოსა და მომდევნო ხანის ეს ვაკის ხელოვნური, ბორცვული სამოსახლოები, ასევე, უპირატესად ბორცვოვანი ზოლის ანტიკური და შუასაუკუნეების დასახლებები, მეტადრე ამ უკანასკნელის სასიმაგრო სისტემები, სათანდო შესწავლას ელოდებიან.

**საკვანძო სიტყვები:** ძველი კოლხეთი, არქეოლოგია, ისტორიული გეოგრაფია, ნაქალაქარები, შორაპანი.

**Vakhtang Japaridze**

Doctor of History
Professor Emeritus
Sokhumi State University

## NEW ARCHAEOLOGICAL DATA ON ANCIENT COLCHIS (LAZICA) IN THE CONTEXT OF HISTORICAL GEOGRAPHY

Recent findings in Georgian archaeology and historical geography significantly enhance our understanding of ancient urban centers and settlements, known primarily from Georgian written sources, that exhibited urban structures or constituted so-called “countries of cities.” Equally important is the study of their genesis—that is, the identification of earlier settlements

corresponding to these cities and the clarification of their historical nature.

A comprehensive study of major settlement centers of historical Egrisi (Western Georgia) and their genesis is possible only through the broad integration of various disciplines—archaeology, historical geography, palaeogeography, and others. In this respect, the creation of an archaeological map, based on systematic fieldwork, rather than general schematic reconstructions, would be of decisive importance.

Here, we will primarily address the urban sites revealed and studied, to varying extents, in the central region of Egrisi (Colchis). Three main groups may be distinguished: (1) Vani and its surrounding "country," (2) Kutaisi and its "country," and (3) Vartsikhe and its "country." To this central region of Egrisi should also belong *Mukhurisi*, mentioned in Byzantine sources. We once suggested locating it northeast of Kutaisi, at Namashvi, though this hypothesis requires further argumentation—particularly since archaeological excavations have already investigated a site south of the Rioni-Phasis bearing a similar toponym (G. Gamkrelidze).

Further east, adjacent to Iberia, lies Shorapani, attested in both foreign and local sources. References to its importance as a communications hub appear in ancient Greek authors (Strabo and others) as well as Georgian chronicles. According to older records and recent observations, the fortress of Shorapani and its associated structures, both the citadel and the lower town, are significantly damaged. The primary dating evidence for the fortress and lower town consists of Late Hellenistic Near Eastern ceramics, including Pergamene wares. Within the modern settlement east of the fortress, fragments of Classical Colchian pottery (drinking vessels) have also been identified. Particularly noteworthy is the appearance, in an Early Hellenistic stratum of the fortress's middle terrace, of "Iberian" white-slipped pottery. At present, however, data are lacking for a full discussion of the settlement's development into a fortified town and its early connections with the Colchian world.

Attention should also be drawn to a second important site mentioned by Leonti Mroveli: Dimi (or "Dimna"). Besides its source reference, this site has attracted the observations and hypotheses of several scholars (N. Berdzenishvili, G. Tskitishvili, G. Melikishvili, and others). Archaeological material from Dimi—mostly chance finds, especially from Upper Dimi—includes complexes of Hellenistic-period qvevri-graves. In particular, a site at Upper Dimi revealed a Hellenistic stratum in the presence of Acad. G. Melikishvili. Of greater importance, however, are the finds from Lower Dimi, where trenches cut by amateur archaeologists confirmed Late Bronze Age cultural layers, while remains of later settlements and, likely, burials containing Late Hellenistic materials were discovered within the modern village. Overall, the data from Upper and Lower Dimi can reasonably be linked with Leonti's reference to King Pharnavaz's construction of fortresses at Shorapani and Dimi. Moreover, the early finds from Lower Dimi may, as Melikishvili suggested, relate to the land of *Daimena* known from Urartian-Assyrian sources.

The central Colchian city of Kutaisi is clearly revealed on the hill now crowned by Bagrati Cathedral. Here, powerful layers of timber structures and plastering have been documented.

The remains of earlier settlements, distributed along the chain of hills, were noted already by Dubois de Montpereux, who sketched and published them in his *Atlas*.

In this central Colchis region, particularly along the Rioni valley and to its north and northwest, a number of artificial settlement mounds dating from the 2nd and 1st millennia BC have been identified, sometimes in clusters. Subsequent settlements and even major urban centers developed around and upon these mounds. A clear example is Vartsikhe-Rhodopolis, which arose in the 4th century AD near the Rioni-Phasis confluence. Despite its location on a plain, this city held a significant strategic position and likely originated from earlier settlements situated along the main transit route of the Rioni valley. The settlements of its "country," especially those on the left bank of the Rioni, may be connected with earlier sites on the right bank—such as Patriketi, where Bronze Age and later habitation remains, including an Early Byzantine bathhouse, were documented.

Further evidence of ancient habitation was identified near the village of Sviri, where investigations revealed disturbed strata near a Bronze Age defensive (?) wall, including a fragment of a black-glazed Attic (possibly Athenian) kantharos.

It is noteworthy that these artificial settlement mounds of the Bronze-Iron and Classical periods, located along the Phasis-Rioni road corridor, show organic connections with contemporaneous and later sites of northern and northwestern Colchis and Abkhazia. These include fortified mounds of antiquity as well as fortification systems primarily dating to the Early Middle Ages, which extended toward Abkhazia and Svaneti (Prof. Z. Kvitsiani). The Bronze Age and later settlement mounds of the plains, together with the fortified systems of the medieval period, remain a crucial subject for further research.

**Keywords:** Ancient Colchis, Archaeology, Historical Geography, Urban Settlements, Shorapani

**ნინო ჯორბენაძე**

ფილოლოგიის დოქტორი
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0005-7894-1438
ninoaka55@yahoo.com

**იამზე გაგუა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნარგიზ ახვლედიანი**

ფილოლოგიის დოქტორი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ლელა ჩოთალიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი
პროფესორი
ევროპის უნივერსიტეტი

# დიდი დედის კულტის ნანა და ნ∨ნ ფუძის ეტიმოლოგიური ტრაექტორია მსოფლიო ცივილიზაციების ჭრილში

ქართული დიდი დედის, ნანას კულტი ჯერ კიდევ ენეოლითის ხანიდან იღებს სათავეს. როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, მნიშვნელოვანი ცნობები ნანას შესახებ მოცემულია ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში, მისი კულტი კი ვლინდება ჩვენში „ბატონების“ სახელით ცნობილი ინფექციური ავადმყოფობებით (წითელა, ყვავილი...) დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის რიტუალში. ამ ცნობილი ქართული სიმღერების რეფრენს: „იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო“ მეცნიერი ქალღვთაება ნანას კულტს უკავშირებს. ბატონების „გასტუმრების“ რიტუალში დიდი დედა ნანას ასტრალური ბუნება, მისი მზესთან კავშირი ავადმყოფის გარშემო წრიული მოძრაობით დასტურდება. როგორც ჩანს, „იავნანამ“ დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი და დანიშნულება, დღეს ის ძილისპირულია. მანამდე, რაღაც პერიოდში, მას ბატონების დაავადებების დროს უმღეროდნენ ბავშვებს. სავარაუ-

დოდ, უკვე ამ პერიოდიდან ფიგურირებს სიმღერაში „ია“ (ყვავილის მნიშვნელობით) და „ვარდი“ – ხსენებული დაავადებებისთვის დამახასიათებელ მუწუკებთან ასოციაციური კავშირით და, ბატონების გულის მოსაგებად, ამ გამონაყარის ყვავილებთან შედარებით. თავდაპირველად აქ „ია“ ძირი, სავარაუდოდ, არც აღნიშნავდა ყვავილს... „ვარდო“ ფორმა ტექსტში, შესაძლოა, „ია“ (*<აია) ძირის ყვავილის სახელად გადააზრიანების შემდგომ და მასთან, უკვე როგორც მცენარის სახელწოდებასთან ასოციაციით, მოგვიანებით გაჩნდა... აი, ამ შემთხვევაში კი უკვე შესაძლებელია „იავ-ნანა“-ს „იავ“ კომპონენტის „აია“ (აია-კოლხეთი) ძირთან დაკავშირება, რასაც შემდგომი ღრმა ინტერდისციპლინური კვლევა-ძიება სჭირდება. რაც შეეხება ნVნ ძირს, მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „დედა“, „ვინც შობა“. ნVნ ძირი დღესაც გვხვდება „დედის“ აღმნიშვნელ სახელად ქართული ენის დიალექტებში. ნVნ ძირი „დედის“ მნიშვნელობით გვხვდება იდენტური გაფორმების მქონე ფუძეების შემადგენლობაში მთელი კავკასიის მასშტაბითაც. ნVნ ფუძის კავშირი სავარაუდოა მთელი მსოფლიოს სრულიად სხვადასხვა ენობრივი ოჯახების წარმომადგენელთა მეტყველებაში დადასტურებულ, ფართოდ გავრცელებულ, უმეტესად „დედის“ (მშობელი) აღმნიშვნელ ნVნ (ნანა/ ნენა / ნონა / ანე....) ძირებთანაც, იხ.: ენა ფორმა მნიშვნელობა ქართული ნენა, ნენე, ნანა, ნინო, ნონა, ნუნუ დედა, ბებია, ქალის საკუთარი სახელი სომხური **Նանա** (Nana) საკუთარი სახელი / ძვ. ქალღმერთი თურქული Anne დედა სანსკრიტი Nana, Naini ქალის სახელი აქადური / ბაბილონური Nanaea / Inanna სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი არაბული Nānā, Nana ბებია სპარსული Nana, Nané ბებია, ძუძუ, დედა ინგლისური Nanny, Nana ძიძა / ბებია ესპანური Nana ძიძა იტალიური Nonnina, Nonna ბებია ფრანგული Nana (სასაუბრო) ახალგაზრდა ქალი / გოგონა გერმანული Nana, Nänni ძიძა შვედური Nanna სკანდინავიური ქალღმერთი უნგრული Nana, Néni ბებია, დეიდა ინდონეზიური Nenek ბებია სუაჰილი Nana ბებია ფილიპინური Nana, Nanay დედა იაპონური Na-na-chan გოგონას სახელი კორეული Nana ქალის სახელი ამოსავალი ნანა საზოგადო სახელიდან საკუთარ სახელად ტრანსფორმაციის გზით მივიღეთ ქალის ასევე ფართოდ გავრცელებული სახელები ქართულში – ნანა, ნენე, ნინო, ნონა, ნუნუ... ეტიმოლოგიური ტრანსფორმაციის ტრაექტორია ამ სახით წარმოგვიდგება: ნVნ დედა (ვინც შობა) > ოჯახის > გვარის > თემის, ეთნოსის, ერის დედა > ყველა ადამიანის დედა > ყველა სულიერი თუ უსულო არსების დედა / დიდი დედა / ქალ-ღვთაება > ქალის საკუთარი სახელი (ქალღვთაების პატივსაცემად დარქმეული)> ქალი (საზოგადო სახელი)

**საკვანძო სიტყვები:** ნანა, დიდი დედა, ეტიმოლოგია.

**Nino Jorbenadze**

Doctor of Philology
Senior Research Fellow
Arn. Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0005-7894-1438
ninoaka55@yahoo.com

**Iamze Gagua**

Doctor of Philological Sciences
Associate Professor
Tbilisi State University

**Nargiz Akhvlediani**

Doctor of Philology
Chief Research Fellow
Batumi State University

**Lela Chothalishvili**

Doctor of Philology
Professor
European University

## THE ETYMOLOGICAL TRAJECTORY OF THE ROOT ნVნ AND THE CULT OF THE GREAT MOTHER NANA IN THE CONTEXT OF WORLD CIVILIZATIONS

The cult of the Georgian Great Mother, Nana, dates back to the Eneolithic era. As V. Bardavelidze notes, important information about Nana is given in Georgian fairy tales and legends, and her cult is manifested in the ritual of caring for and treating those suffering from infectious diseases known in Georgian as “Batonebi” (measles, smallpox, etc.). The scholar connects the refrain of these famous Georgian songs: “Iav Nana, Vardov Nana, Iav Naninao” with the cult of the goddess Nana. In the ritual of “sending off” the illness, the astral nature of the Great Mother Nana, her connection with the sun is confirmed by the circular movement around the sick person. It seems that “Iavnana” has lost its original character and purpose, today it is used as a lullaby. Before that, at some point, it was sung to children during the illness. Presumably, it is from this

period that the song features “ia” (meaning flower) and “vardi” – with an associative connection with the bumps characteristic of the aforementioned diseases and in order to win the hearts of the Masters of the illness, by comparing them with the flowers of this rash. Initially, the root “ia” here probably did not even denote a flower... The form “vardo” in the text, perhaps, appeared later after the reinterpretation of the root “ia” (*<aia) as the name of a flower. Here, in this case, it is already possible to connect the “iav” component of “iav-nana” with the root “Aia” (Aia-Colkheti), which requires further deep interdisciplinary research and exploration. As for the root ნvნ, its original meaning must have been “mother”, “the one who gave birth”. The root ნvნ is still found today as a name denoting “mother” in Georgian dialects. The root ნvნ is found with the meaning of “mother” in stems with identical formations throughout the Caucasus. The connection of the root ნvნ is also likely with the widespread roots N(V)N (Nana/ Nena / Nona / Ane....) denoting mostly “mother” (parent), which are attested in the speech of representatives of completely different language families around the world: Georgian: Nena, Nene, Nana, Nino, Nona, Nunu (mother, grandmother, woman’s Proper name) Armenian: Նանա (Nana) (Proper name / anc. Goddess) Turkish: Anne (mother) Sanskrit: Nana, Naini (female name) Akkadian / Babylonian: Nanaea / Inanna (goddess of love and fertility) Arabic: Nānā, Nana (grandmother) Persian: Nana, Nané (grandmother, breast, mother) English: Nanny, Nana (nanny / grandmother) Spanish: Nana (nanny) Italian: Nonnina, Nonna (grandmother) French: Nana (young woman / girl) German: Nana, Nänni (nanny) Swedish: Nanna (Scandinavian goddess) Hungarian: Nana, Néni (grandmother, aunt) Indonesian: Nenek (grandmother) Swahili: Nana (grandmother) Filipino: Nana, Nanay (mother) Japanese: Na-na-chan (girl’s name) Korean: Nana (female name) Transforming from a Common name to a Proper name, we have also received widespread female names in Georgian – Nana, Nene, Nino, Nona, Nunu... The trajectory of etymological transformation is presented as follows: N(V)N Mother (one who gives birth) > Mother of the family > communit > ethnical group > whole nation > Mother of all people > Mother of all beings / Great Mother / Goddess > Proper name of a woman (named in honor of a goddess)> Woman (Common name)

**Keywords:** Nana, Great Mother, Etymology.

**იოსტ გიპერტი**

დოქტორი
პროფესორი
ჰამბურგის უნივერსიტეტი
ჰამბურგი, გერმანია
bay7254@uni-hamburg.de

## ქართული ხელნაწერები გერმანიაში

*გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერები განთავსებულია ოთხ საცავში: ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და გიოტინგენის, ჰალესა და ლაიფციგის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ახალი მონაცემები, რომლებიც მიღებულია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჰამბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურების შესწავლის ცენტრში განხორციელებული სიღრმისეული სამეცნიერო და ფილოლოგიური კვლევის შედეგად, ევროკავშირის სამეცნიერო საბჭოს (ERC) პროექტის — „წიგნიერების განვითარების პროცესი კავკასიის რეგიონებში" — ფარგლებში.*

**Jost Gippert**

PhD
Professor
University of Hamburg
Hamburg, Germany
bay7254@uni-hamburg.de

## GEORGIAN MANUSCRIPTS IN GERMANY

Georgian manuscripts in Germany are hosted in four repositories: the Berlin Staatsbibliothek and the university libraries of Göttingen, Halle, and Leipzig. In the present paper, I will report on new insights concerning these manuscripts that were brought about by thorough scientific and philological research in the past two years at the Centre for the Study of Manuscript Cultures, University of Hamburg, within the ERC project "The Development of Literacy in the Caucasian Territories".

**ევგენია რავცოვა**

დოქტორანტი
მანჩესტერის უნივერსიტეტი
მანჩესტერი, გაერთიანებული სამეფო
ORCID: 0000-0002-0344-3689
jevgenija.ravcova@postgrad.manchester.ac.uk

# სიძველეთა ძიებაში: კავკასიის მუზეუმის დაკარგული ფრესკები

მოხსენება ეხება კავკასიის მუზეუმში XIX საუკუნის კიბის დეკორატიული ფრესკების სერიას. 1881 წელს მუზეუმის პირველმა დირექტორმა, გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და მკვლევარმა გუსტავ რადდემ (1831-1903), ავსტრიელ მხატვარს, ფრანც კსავერ სიმს (1853-1918), აუკრძალა ფრესკების შექმნა. შექმნილი მხატვრული ციკლი მოიცავდა შემდეგ თემებს: კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლა, იასონი და მედეა, ნოე, რომელიც ვენახს რგავს, ორი ამაზონი, თამარ დედოფალი, მეფე დავით აღმაშენებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ფრესკები XIX საუკუნის შენობის დანგრევის შედეგად განადგურდა, მათი რეპროდუქციები და აღწერილობები შემორჩა. ეს საშუალებას იძლევა, რომ კავკასიის მუზეუმის დეკორატიული სქემა განვიხილოთ, როგორც ვიზუალური დოკუმენტი, რომელიც წარმოიშვა 1880-იანი წლების ტიფლისის პოლიტიკურ, აკადემიურ და კულტურულ გარემოში. მოხსენება განიხილავს ფრესკების ციკლს, მათ კავშირს მუზეუმის კოლექციებსა და სივრცეებთან, და აღნიშნავს, თუ როგორ ასახავდა ისინი ტიფლისის ინტელექტუალურ, აკადემიურ, მხატვრულ და იმპერიულ ადმინისტრაციულ გარემოს.

ფრესკების იკონოგრაფია აერთიანებს ბიბლიურ ამბებს, ანტიკურ ბერძნულ მითოლოგიასა და საქართველოს შუა საუკუნეების მეფეებს, რაც განიხილება კავკასიის იმპერიული პოლიტიკისა და ქართული ნაციონალისტური მოძრაობის კონტექსტში. ფრესკები გვაძლევს საშუალებას, რომ განვიხილოთ, როგორ ფორმირდა და გამომჟღავნდა მუზეუმისა და აკადემიური ცოდნის წარმოება XIX საუკუნის ბოლოს ტიფლისში.

**საკვანძო სიტყვები:** მუზეუმი; ისტორია; ფერწერა; ანტიკურობა; იმპერია; დედოფალ თამარი; მეფე დავით მშენებელ

**Jevgenija Ravcova**

PhD Candidate
University of Manchester
Manchester, United Kingdom
ORCID: 0000-0002-0344-3689
jevgenija.ravcova@postgrad.manchester.ac.uk

## IN SEARCH OF ANTIQUITY: THE LOST MURALS OF THE CAUCASUS MUSEUM

This paper examines the series of 19th-century decorative murals on the staircase of the Caucasus Museum. In 1881, the first director of the Museum, German naturalist and explorer Gustav Radde (1831-1903), commissioned Austrian painter Franz Xaver Simm (1853-1918) to create the murals. The resulting cycle depicted the following subjects: Prometheus chained to a rock, the arrival of the Argonauts to Colchis, Jason and Medea, Noah planting a vine, two amazons, Queen Tamar, and King David the Builder.

Although the murals perished with the destruction of the 19th-century building, reproductions and descriptions have survived. This allows the decorative scheme of the Caucasus Museum to be considered as a visual document emerging in the political, academic, and cultural environment of 1880s Tiflis. The paper analyses the mural cycle, its relation to the Museum's collections and spaces, and discusses how it reflected the intellectual, scholarly, artistic, and imperial administrative landscape of Tiflis at the time.

The murals' iconography fuses Biblical stories, Ancient Greek mythology, and Georgia's medieval kings, considered against the backdrop of imperial policies in the Caucasus and the emergence of the Georgian nationalist movement. The murals serve as a vehicle to elucidate how museological and scholarly knowledge production was shaped by, and in turn reflected, the relations in late 19th-century imperial Tiflis.

**Keywords:** museum; history; painting; antiquity; empire; Queen Tamar; David the Builder

**ულრიკა სიოდერლინდი**

დოქტორანტი, მკვლევარი
